ტურინის პროცესი:

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში - 2024წ.

განაცხადი

წინამდებარე ანგარიში ევროპის განათლების ფონდისთვის (ETF) არის მომზადებული INCOM-ის მიერ.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ETF და ის ევროკავშირის ინსტიტუციების შეხედულებებს არ წარმოადგენს.

© ევროპის განათლების ფონდი (European Training Foundation), 2024წ.

ანგარიშის გამოყენება შესაძლებელია, წყაროს მითითებით.

This translation has been produced by the ETF for information purposes. In case of doubt as to the accuracy of the information contained herein, please refer to the original version that can be found at: Torino Process Review of Policies for Lifelong learning in Georgia - 2024

წინასიტყვაობა

2022 წელს, ევროპის განათლების ფონდმა (ETF) ტურინის პროცესის მეექვსე რაუნდი დაიწყო - პროფესიული განათლების (VET) სისტემის ორწლიური მიმოხილვა აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის, ცენტრალური აზიის, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებში. „ტურინის პროცესის“ (TRP) მიზანია ქვეყანაში მიმდინარე განვითარების აღწერა და ანალიზი, ასევე ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენა და დადგენა, თუ როგორ უზრუნველყოფენ ქვეყნები თავიანთი პროფესიული განათლების სისტემების მობილიზებას ამ გამოწვევებზე საპასუხოდ.[1]

მიმდინარე რაუნდში, ტურინის პროცესი ორ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას:

- განათლების და გადამზადების, კერძოდ კი პროფესიული განათლების სისტემების მუშაობა, კარგი და სამართლიანი შესაძლებლობების შექმნის თვალსაზრისით მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის („ტურინის პროცესის“ 1-ლი დონე); და
- იმ პოლიტიკის ანალიზი, რაც ზეგავლენას ახდენს განათლების და გადამზადების სისტემების ეფექტურობაზე, რომლის მიზანიცაა ისეთი სფეროების გამოვლენა, სადაც გაუმჯობესება არის საჭირო და პრაქტიკული რჩევების მომზადება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სათანადო სისტემებზე გადასვლასთან დაკავშირებით („ტურინის პროცესის“ მე-2 დონე).

წინამდებარე მიმოხილვა ქვეყნის მონაწილეობის მეორე დონეს შეეხება („ტურინის პროცესის“ მე-2 დონე). აღნიშნული დონე ხელს უწყობს იმის დადგენას, თუ რას აკეთებენ ქვეყნები თავიანთი პოლიტიკის და სისტემების შედეგების გასაუმჯობესებლად, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის გადმოსახედიდან. ეს გულისხმობს ქვეყნებში არსებული პოლიტიკის და სისტემური მოწყობის ეფექტურობის დოკუმენტირებას და ინტერპრეტაციას შემდეგი კონტექსტის გათვალისწინებით: ა) მოთხოვნა სწავლის შესაძლებლობებზე და ბ) შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მოვლენები, რომლებმაც შეიძლება აღნიშნულ მოთხოვნაზე ზეგავლენა მოახდინოს.

მიმოხილვის პროცესი ოთხი ეტაპისგან შედგებოდა:

- მოსამზადებელი ფაზა: ქვეყნის მიერ ოფიციალური ინტერესის გამოხატვა; საკითხების, პრიორიტეტებისა და დაინტერესებული მხარეების ერთობლივად იდენტიფიცირება პარტნიორი ქვეყნის და ევროპის განათლების ფონდის მიერ;
- სამაგიდო კვლევის ფაზა: ქვეყნის ან სხვა ორგანიზაციების (ევროპის განათლების ფონდის ჩათვლით) მიერ მომზადებული პირველადი და მეორადი მონაცემების და დოკუმენტაციის მიმოხილვა;
- საველე ფაზა: ქვეყანაში განხორციელებული მისიის დროს მთავარი ინფორმატორების რუკის შედგენა, ინტერვიუების, ფოკუსური ჯგუფების და სხვა შეხვედრების გამართვა სადისკუსიო ჯგუფებთან;

[1] „ტურინის პროცესის ჩარჩოს“ სრული მიმოხილვა შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://bit.ly/47YGA6l.

- ანგარიშის მომზადება: ანგარიშის პროექტის შედგენა, ხარისხის უზრუნველყოფა, ვალიდაცია და გავრცელება.

საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნის საფუძველზე, ქვეყანაში განხორციელებული მიმოხილვის მთავარი საგანი იყო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა და, განსაკუთრებით, ზრდასრულთა განათლება. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი საკითხები და რეკომენდაციები განხილული და დაზუსტებული იქნა 2024 წლის 21 ოქტომბერს დისტანციურად გამართულ ღონისძიებაზე. ტურინის პროცესი „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას“ განმარტავს როგორც სიცოცხლის მანძილზე განხორციელებულ სასწავლო აქტივობას, რომლის მიზანიცაა ცოდნის, უნარ-ჩვევების ან/და კვალიფიკაციის ამაღლება პირადი, სოციალური ან/და პროფესიული მიზნებისთვის. „ზრდასრულთა განათლება“ ფორმალური, არაფორმალური ან ინფორმალური სწავლების სხვადასხვა სახის აქტივობებს გულისხმობს, როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მიმართულებით, რასაც 15 წლის და უფროსი ასაკის პირები ახორციელებენ საწყისი განათლების და გადამზადების დასრულების შემდეგ.

ანგარიში მოამზადეს ევროპის განათლების ფონდის (ETF) ექსპერტებმა უილ ბარტლეტმა და თეა სიფრაშვილმა. კვლევას ზედამხედველობას უწევდა ETF-ის გუნდი, ETF-ის წარმომადგენლის, კრისტიანა ბურციოს ხელმძღვანელობით. კვლევა ETF-ის პროექტის კონტექსტში განხორციელდა, რომლის კოორდინატორიც იყო მიჰაილო მილოვანოვიჩი, ხოლო ანგარიშის რეცენზია კრისტინა მერეუტამ და პიოტრ სტრონკოვსკიმ მოამზადეს. ევროპის განათლების ფონდი მადლობას უხდის საქართველოში მოქმედ ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომლებიც მთელს პროცესში იღებდნენ მონაწილეობას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მის დასრულებაში. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალურ დირექტორს ქ-ნ ირინე მარგიშვილს, ტურინის პროცესის ეროვნულ კოორდინატორს ქ-ნ სოფიო ბუჯიაშვილს, და პროფესიული უნარების სააგენტოს თანამშრომელთა გუნდს.

შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველომ ბევრი სხვადასხვა პოლიტიკური რეფორმა განახორციელა, რამაც მისი მთლიანი შიდა პროდუქტის სწრაფ ზრდას შეუწყო ხელი ბოლო წლების განმავლობაში. აღმასვლას განიცდის რამდენიმე ისეთი ტრადიციული სექტორი, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და მშენებლობა, თუმცა აქვე სახეზეა საწარმოო მეთოდების, ცოდნის და უნარების გაუმჯობესების საჭიროება. ეს კი იმ ფონზე ხდება, როცა მაღალია მოთხოვნა ზოგიერთ ახალ დარგში, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები, თუმცა, აქ საჭიროა ინვესტირება იმისთვის, რომ მუშახელი გადამზადდეს და კონკურენტული გახდეს. კერძოდ, თანამედროვე უნარების და ცოდნის ნაკლებობა უფრო მეტად უფროსი ასაკის მუშაკებისთვის წარმოადგენს დაბრკოლებას და სწორედ ამ მუშახელის შენარჩუნება და მათი კვალიფიკაციების ამაღლება იქნება მნიშვნელოვანი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისთვის მომავალში.

სამუშაო ძალის უნარების გაუმჯობესების საჭიროების მიუხედავად, მთავრობამ განათლებასა და გადამზადებაზე შედარებით ნაკლები დანახარჯები მიმართა. სასწავლო შედეგების ხარისხი სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია, ხოლო კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევები გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ქვედა ზღვარს უახლოვდება. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების მქონე ზრდასრულთა წილი ევროკავშირში არსებულ მაჩვენებელს უახლოვდება, შედარებით ცოტა ადამიანი მიჰყვება პროფესიული განათლების გზას. ევროკავშირში არსებული სიტუაციის ანალიზი მიუთითებს, რომ საქართველო უფრო მეტ სარგებელს მიიღებდა, თუ შრომის ბაზარზე არსებული უნარები და ადამიანური კაპიტალი გაუმჯობესდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადამიანების უმეტესობა დადებითად არის განწყობილი ზრდასრულთა განათლების მიმართ, მათი ფაქტობრივი ჩართულობის დონე ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ ყველაზე დაბალი მაჩვენებელზე დაბალია. ამის გამომწვევი მიზეზი კი, უპირველეს ყოფილსა, არის გადამზადების შეზღუდული შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი სოფლად, ასევე, არასაკმარისი დაფინანსება, მოქნილი გრაფიკის ნაკლებობა, ფინანსური და საინფორმაციო ბარიერები, მოკლევადიანი კურსების და დისტანციურად სწავლის შესაძლებლობების სიმწირე.

ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის ჩარჩო

საქართველოში ზრდასრულთა განათლებისთვის ადეკვატური სამართლებრივი ჩარჩო არის შემუშავებული. „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონი ზრდასრულებისთვის პროფესიული კოლეჯების ფორმალურ ქსელზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს და ასევე არაფორმალური განათლების კონცეფციასაც აღიარებს, როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილს; უფრო მეტიც, კანონის უახლესი რედაქციით, შესაბამის კანონქვემდებარე აქტებთან ერთად,[2] შემოღებულია მოკლე ციკლის

[2] *საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის დადგენილება #131 „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება №71/ნ „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება #971850 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო*

პროფესიული მომზადების პროგრამები, რომლებიც შესაფერისია ზრდასრულთა მომზადებისა და გადამზადებისთვის. „2017-2021 წწ განათლების ერთიანმა სტრატეგიამ“ პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების მასშტაბის ზრდა გამოიწვია. „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ კანონის (2020) მიღების შემდგომ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“ (SESA) შეიქმნა, რომელიც შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკას უზრუნველყოფს, ზრდასრულთა საგანმანათლებლო აქტივობების მხარდასაჭერად. პროფესიულ კოლეჯებს მოუწოდებენ, რომ მოკლე ციკლის პროგრამები შესთავაზონ ზრდასრულებს. შემუშავებულია პროცედურები არაფორმალური და ინფორმალური სწავლის ვალიდაციის მხარდასაჭერად (VNFIL),[3] ხოლო იურიდიული პირებს, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, შეუძლიათ აკრედიტაცია გაიარონ და წინარე განათლების ვალიდაცია უზრუნველყონ. კონკრეტულ რეგულაციებში დადგენილია პროცესები და პროცედურები წინარე განათლების აღიარებისთვის (RPL), თუმცა, ამ შესაძლებლობების გამოყენების მაჩვენებელი შეზღუდულია.

ზრდასრულთა განათლების ინსტიტუციური ჩარჩო

ზრდასრულთა ფორმალური განათლების პოლიტიკის განხორციელების და დანერგვის ერთ-ერთი მთავარი უწყებაა „პროფესიული უნარების სააგენტო“ (შემდგომში მოხსენიებული მოკლედ როგორც „უნარების სააგენტო“), რომელიც მთავრობისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის დაფინანსებით შეიქმნა 2021 წელს როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობა, კერძო სექტორთან ურთიერთქმედებისა და პარტნიორობის ხელშეწყობის მიზნით. მის მანდატში შედის პროფესიული განათლების ეროვნული კვალიფიკაციების შემუშავება, პროფესიული განათლების მიმწოდებლების შესაძლებლობების გაძლიერება, პროფესიულ განათლებაში ინკლუზიური მიდგომების ხელშეწყობა და დაფინანსების გამოყოფა გადამზადების პროვაიდერებისთვის. 2019 წლიდან მოყოლებული, უნარების სააგენტომ დაახლოებით 500 პროგრამა დააფინანსა ზრდასრულთათვის. მაშინ, როდესაც უმეტეს შემთხვევაში ზრდასრულთა განათლების პროგრამების მიმწოდებლები საზოგადოებრივი და კერძო პროფესიული განათლების კოლეჯები არიან, უნარების სააგენტომ 20 კერძო კომპანიას გაუწია დახმარება არაფორმალური პროგრამების შემუშავებაში, ზრდასრულთა განათლების და გადამზადების მხარდასაჭერად. პროფესიული სასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება უნარების სააგენტოს მოვალეობაში შედის, თუმცა, მეორე მხრივ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) არის პასუხისმგებელი ზრდასრულთა განათლების და გადამზადების პროგრამების, ასევე ზრდასრულთა განათლების პროვაიდერების მიერ მიწოდებული პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე. უნარების სააგენტო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #59/ნ „ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #67/ნ „ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საფასურის განსაზღვრის თაობაზე“.

[3] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილება #459 „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასურის დამტკიცების შესახებ“

დაწესებულებების და მათი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციას და მათ ანიჭებს უფლებას, რომ საგანმანათლებლო და გადამზადების პროგრამების განახორციელონ. დღემდე, უნარების სააგენტოს მიერ აკრედიტებულია 543 მოკლე ციკლის საგანმანათლებლო და გადამზადების პროგრამა, რომლებსაც ძირითადად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ.

ზრდასრულთა განათლების პროვაიდერები

ნებისმიერ იურიდიულ პირს აქვს უფლება, რომ ფორმალური, სახელმწიფოს მიერ აღიარებული მოკლე ციკლის საგანმანათლებლო კურსები მიაწოდოს ზრდასრულებს, რაც NCEQE-ს მხრიდან დამტკიცების საგანს წარმოადგენს და ასევე შეუძლია მიიღოს დაფინანსება უნარების სააგენტოსგან. სხვა შესაძლო წყაროებს შორისაა: დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, კერძო დონორები, თავად პროვაიდერები, ან ინდივიდუალური მსმენელები. ზრდასრულთა ფორმალური განათლების მომსახურების მიმწოდებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორისაა: სახელმწიფო პროფესიული კოლეჯები, საზოგადოებრივი-კერძო პროფესიული კოლეჯები, კერძო პროფესიული კოლეჯები, ზრდასრულთა განათლების ცენტრები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და უნივერსიტეტები. კერძო სექტორის პროვაიდერები, როგორც კომერციული კომპანიები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა ზრდასრულთა განათლების ცენტრები, ზრდასრულთა არაფორმალურ განათლების მომსახურებას უზრუნველყოფენ. ასევე არსებობს სხვადასხვა საჯარო ორგანოებიც, რომლებიც ზრდასრულთა არაფორმალური განათლების შესაძლებლობებს უზრუნველყოფენ თავიანთი ბენეფიციარებისთვის.

ზრდასრულთა განათლების შესახებ საქართველოში არსებული მონაცემები არასრულია და ძირითადად „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებულ განათლების და გადამზადების პროგრამებს მოიცავს. 2022 წელს, პროფესიული განათლების დონეზე არსებული ზრდასრულთა განათლების პროგრამები მიწოდებული იქნა 67 პროფესიული განათლების კოლეჯის და 19 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, რომლებშიც 5,000-ზე მეტი სტუდენტი ირიცხებოდა, საიდანაც ნახევარი ზრდასრული მსმენელი იყო. სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროვაიდერების მიერ შეთავაზებული მოკლე ციკლის საგანმანათლებლო კურსების ტიპური ბენეფიციარები არიან სამუშაოს მაძიებლები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან www.worknet.gov.ge პორტალზე და რომლებსაც აფინანსებს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, უნარების განვითარების მუნიციპალური პროგრამების მსმენელები, სასჯელაღსრულების სამსახურის რეინტეგრაციის პროგრამების ბენეფიციარები და სხვა პირები, ვინც პირდაპირ არიან ჩარიცხული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. როგორც წესი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები იმ ქალაქებს მოიცავს, სადაც ისინი არიან დაფუძნებულნი.

ზრდასრულთა განათლების მომსახურებას აგრეთვე 14 ზრდასრულთა განათლების ცენტრი (AEC) უზრუნველყოფს, რომელთა დანიშნულებაა სამოქალაქო ჩართულობის და თემის განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინკლუზიის მხარდაჭერა. მათ მიერ უზრუნველყოფილ ზრდასრულთა განათლების კურსებს შორისაა: ენების შემსწავლელი, საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT), საბუღალტრო აღრიცხვის და საოჯახო ფინანსების, სამუშაოს მოძიების უნარ-ჩვევების და მოკლე პროფესიული კურსები, ასევე ხელოვნება, თეატრალური ხელოვნება და სამოქალაქო განათლება. დაარსებიდან

მოყოლებული, ზრდასრულთა განათლების ცენტრების კურსებს 17,000 ზრდასრული მსმენელი დაესწრო.

გარდა ამისა, ზოგიერთი კომპანია თავის თანამშრომლებს გადამზადებას სთავაზობს ან საკუთარ სასწავლო ცენტრებში, ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების მეშვეობით, რომელთა შორის ასევე საჯარო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე შექმნილი პროვაიდერებიც არის. ზრდასრულთა განათლების მომსახურების მიმწოდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორისაა: საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი. სპეციალიზებული კერძო სექტორის სასწავლო კომპანიები ასევე პირდაპირ უზრუნველყოფენ მომზადების და გადამზადების შესაძლებლობებს ზრდასრულთათვის, თუმცა მათთან ჩარიცხვის შესაძლებლობა შეზღუდულია, რამდენადაც სასწავლო ადგილებზე მოთხოვნა გაცილებით აჭარბებს მიწოდებას.

ზრდასრულთა განათლების ეკოსისტემაში ჩართულ მხარეებს შორის რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუციაა. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო (SESA) სამუშაოს მაძიებლებისთვის მოკლე ციკლის პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებს აფინანსებს, რომლებიც, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ავტორიზებული სასწავლებლის მიერ არის მიწოდებული. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს რეგიონული ოფისები აქვს ცხრა რეგიონში, სადაც სრული განაკვეთით მომუშავე კონსულტანტები არიან დასაქმებულები. აღნიშნული პერსონალი სამუშაოს მაძიებლებს სხვადასხვა სახის მომზადების და გადამზადების შესაძლებლობების გამოყენებაში ეხმარებიან. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA), რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია, საგანმანათლებლო და უნარების ასამაღლებელ სასწავლო პროგრამას ახორციელებს ტექნოლოგიური კომპანიებისთვის. გარდა ამისა, სააგენტო ტრენინგებს მართავს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტებისთვის, რომლებმაც შეიძლება საერთაშორისო სერტიფიკატები აიღონ IT სფეროში, ასევე IT კომპანიების საკუთარი პროგრამებისთვის და IT სპეციალისტებისთვის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დასაქმების პროგრამის ფარგლებში. ამას გარდა, ის IT და ციფრული უნარების ასამაღლებელ ტრენინგებს უზრუნველყოფს სამუშაოს მაძიებლებისთვის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (EIEC) ფორმალური და არაფორმალური გადამზადების პროგრამას ახორციელებს ზრდასრულებისთვის გარემოს დაცვის, მწვანე უნარების და სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ასევე, დაწყებითი და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის, სკოლაში აგრარული განათლების ხელშესაწყობად. ტრენინგი ასევე ხორციელდება სამინისტროს პერსონალისთვის, მუნიციპალიტეტების, მედიის ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის.

ციფრული კურსები და დისტანციურ რეჟიმში ზრდასრულთა სწავლის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა პანდემიის პერიოდში, და ეს ტენდენცია შემდგომშიც გაგრძელდა. ამის შედეგად, ამჟამად ბევრი ორგანიზაცია არსებობს, რომლებიც მთელ რიგ სხვადასხვა სასწავლო კურსს ახორციელებენ. #143[4] დადგენილების საფუძველზე,

[4] 2024 წლის 30 აგვისტოს №143/n ბრძანება პროფესიული განათლების პროგრამების კომპონენტების დისტანციური სწავლების ფორმატში განხორციელების წესებისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ.

პროფესიული განათლების, მომზადების და გადამზადების პროგრამის კომპონენტები შეიძლება დისტანციურად იქნას მიწოდებული. პროფესიული ორიენტაციის სისტემები ბოლო პერიოდში გაუმჯობესდა და ძალისხმევაც იქნა მიმართული იმაზე, რომ პროფესიული განათლების სარგებელი და ფასეულობა უფრო მეტად წარმოჩენილიყო უფრო ფართო საზოგადოებაში. პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტები ყველა საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობენ, თუმცა პრაქტიკაში ისინი სტუდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილთან ურთიერთქმედებენ.

ზრდასრულთა განათლების მიმართ არსებული საჭიროებები და მოლოდინები

ზრდასრულთა განათლების პოტენციურ ბენეფიციარებს შორის არიან: უმუშევრები, სოციალურად დაუცველი ადამიანები, როგორებიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, თანამშრომლები რომლებიც გადამზადებას საჭიროებენ, პროფესიონალები, ვისაც უნარების გაუმჯობესება ესაჭიროება და შრომის ბაზარზე შესვლის მსურველი არააქტიური პირები (მაგ. შრომის ბაზარზე დაბრუნებული ქალები, მარტოხელა დედები, ყოფილი პატიმრები, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები). დარეგისტრირებული უმუშევრების შემთხვევაში, სააგენტოს კარიერის დაგეგმვის კონსულტანტები სამუშაოს მაძიებლებს ეხმარებიან, რომ მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო კურსების მოიძიონ. ყოველწლიურად სააგენტო 3,000 სამუშაოს მაძიებელს მომზადება-გადამზადებაში ეხმარება. გადამზადება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას დამსაქმებლების, ან უნივერსიტეტებში არსებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ცენტრების მიერ, მაგ. როგორიცაა თბილისის უნივერსიტეტის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ცენტრი. თავიანთი მაცხოვრებლების სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილებაში მუნიციპალიტეტებიც აქტიურად ერთვებიან. მაგალითად, თბილისის მერიის მხარდაჭერით შრომის ბაზარზე დაბრუნებული ქალების გადამზადება მიმდინარეობს.

პრეკარიულ სამუშაოზე დასაქმებულ პირებს შეუძლიათ, რომ ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობებით ისარგებლონ საკუთარი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, უფრო სტაბილური სამუშაოს შოვნის პერსპექტივით. არაფორმალურ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმულ, ან დროებით კონტრაქტზე მომუშავე პირებმაც შეიძლება მიიღონ ზრდასრულთა განათლება, რათა უფრო მუდმივ სამუშაოზე გადავიდნენ. ზრდასრულთა განათლება ასევე ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და იძულებით გადაადგილებული პირებისთვისაც, რათა თავიანთი უნარები გააუმჯობესონ ან აიმაღლონ. ზრდასრულთა განათლების რამდენიმე პროვაიდერი არსებობს, რომლებიც აღნიშნულ ჯგუფებს შესაბამის მომსახურებას უწევენ. მაგალითად, თბილისის მერია მხარს უჭერს მოწყვლადი ჯგუფების გადამზადებას, როგორებიცაა იმიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურ შემწეობაზე მყოფი პირები და მრავალშვილიანი ოჯახის წერები, ხოლო საჯარო მმართველობის სკოლის სამიზნე ჯგუფებში თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები შედიან.

ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობები და მათზე წვდომა

ზრდასრულთა ფორმალური განათლება მზა სახით არის ხელმისაწვდომი სწავლის მსურველთა უმეტესობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ პროვაიდერებს შეიძლება დაწესებული ჰქონდეთ სასწავლებელში ჩაბარებისთვის საჭირო მოთხოვნები, მათ უმეტესობას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა არ გააჩნია სასწავლო პროგრამებში

ჩასარიცხად, თუმცა, გადამზადების პროგრამებზე შეიძლება გარკვეული სახის სპეციფიკური წინარე ცოდნა იყოს საჭირო. ავტორიზაციის მისაღებად, პროფესიული განათლების და სხვა მომზადება-გადამზადების პროვაიდერებმა მინიმალური სტანდარტები უნდა დააკმაყოფილონ, რომლებიც საკმაოდ მაღალია. 2022 წელს, გრძელვადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე თავისუფალი ადგილების რაოდენობა 15,000-ზე მეტი იყო, ხოლო მოკლე ციკლის მომზადების ვარიანტები უფრო ნაკლები მოცულობით იყო შეთავაზებული. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფორმალური და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ზრდასრულთა განათლების მიწოდება ფაქტობრივ საჭიროებებს ძალიან ჩამოუვარდება, რასაც მოწმობს არსებულ კურსებზე ჩარიცხვის მსურველთა დიდი რაოდენობა ყველა ტიპის სასწავლებლის შემთხვევაში, ყველა დონეზე. უფრო მეტიც, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლაში ჩართვის ამსახველი სტატისტიკა საქართველოში იმაზე ნაკლებია, ვიდრე მსგავსი მდგომარეობის ქვეყნებში რეგიონის მასშტაბით, ან განვითარების მსგავს დონეზე მყოფ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. შესაბამისად, ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობების შემდგომი განვითარებისა და არსებული ადგილების გაფართოების მხრივ დიდი პოტენციალი არსებობს.

ადამიანური და ფინანსური რესურსები

უწყვეტი განათლების პროვაიდერებს მრავალფეროვანი ადამიანური რესურსები გააჩნიათ, ვისაც სპეციალიზებული გამოცდილება აქვს მიღებული სხვადასხვა პროფესიასა თუ დარგში. თუმცა, პროფესიული კოლეჯების უმრავლესობაში სასწავლო პერსონალის მთლიანი შემადგენლობა ან მათ უმეტესობა კონტრაქტის საფუძველზე მუშაობს, რამაც შესაძლოა, ერთი მხრივ, დროთა განმავლობაში თანამშრომელთა მოტივაცია გააუარესოს, მეორე მხრივ კი კურსის განვითარების შესაძლებლობა, ან მსმენელების მონიტორინგი შეასუსტოს.

ზრდასრულთა განათლება სხვადასხვა წყაროებიდან არის დაფინანსებული, როგორიცაა: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (უნარების სააგენტოს მეშვეობით), დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, თბილისის მუნიციპალიტეტი, სხვა სახელმწიფო ინსტიტუციები, როგორიცაა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, „აწარმოე საქართველოში“ და პრობაციის სააგენტო, სხვა შესაბამისი სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობები, დონორები და მომხმარებელთა მიერ გადახდილი საფასური. ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობები უფრო მეტად თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებშია კონცენტრირებული, ვიდრე სოფლად და ნაკლებად განვითარებულ მუნიციპალიტეტებსა თუ რეგიონებში. ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობები შეზღუდულია ბიუჯეტის და სამართლებრივი კომპეტენციების გამო; მათ სახელმწიფოსგან უფრო მეტი ფინანსური მხარდაჭერა სჭირდებათ იმისათვის, რომ ნაკლებად ძვირი ან უფასო სასწავლო შესაძლებლობები უზრუნველყონ ზრდასრული მსმენელებისთვის საკუთარ თემებში.

დაფინანსების უმეტესი ნაწილი უფრო პროვაიდერებზეა მიმართული და არა ინდივიდებზე. პროფესიული განათლების კურსები პერ-კაპიტა დაფინანსების სისტემით ფინანსდება (ვაუჩერული სისტემა), რომლის დროსაც სწავლის მსურველებს ნებისმიერი კურსის არჩევა შეუძლიათ საჯარო დაწესებულებაში. ამის მიზანი ის არის, რომ პროვაიდერებს შორის ხარისხი გაიზარდოს კონკურენციის ხარჯზე, თუმცა გამოთქმულ

იქნა ეჭვები ამ სისტემის ეფექტიანობის შესახებ. უნარების სააგენტო ვაუჩერებს გასცემს გრძელვადიანი ზრდასრულთა განათლების პროგრამებისთვის, ხოლო დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს სახელმწიფო ვაუჩერს გადასცემს, რისი გამოყენებაც მათ პროფესიულ კოლეჯებში შეუძლიათ მოკლევადიან კურსებზე ჩასარიცხად. სხვა კურსები კი კომერციულ საფუძველზეა მიწოდებული კერძო პროვაიდერების მიერ. ინოვაციური მიდგომით, ზრდასრულთა განათლების ზოგიერთმა ცენტრმა სოციალური საწარმოები შექმნა იმისათვის, რომ თავიანთი ვალდებულება შეასრულონ და მოწყვლადი ჯგუფების წევრებს ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობა შეუქმნან.

პოლიტიკის რეკომენდაციები

წინამდებარე ანგარიში იმ ძირითად გამოწვევებს ასახავს, რაც ზრდასრულთა განათლების წინაშე დგას და 28 რეკომენდაციას გვთავაზობს ზრდასრულთა საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისა და განათლების მიწოდების შესაძლებლობების გაფართოებისთვის. რეკომენდაციები ანგარიშის ცალკეულ სექციებში განხილულ ძირითადი სფეროების მიმართ არის შემუშავებული, კერძოდ: (i) ზრდასრულთა განათლების პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩო, (ii) ზრდასრულთა განათლების პროვაიდერები, (iii) ზრდასრულთა განათლების მიმართ არსებული საჭიროებები და მოლოდინები, (iv) ზრდასრულთა განათლების მიღების შესაძლებლობების არსებობა და მასზე წვდომა, (v) ზრდასრულთა განათლების სექტორში არსებული ჩარიცხვის შესაძლებლობები და გაფართოების პოტენციალი, ადამიანური რესურსების თვალსაზრისით და (vi) ფინანსური რესურსები, რომლებიც საქართველოში ზრდასრულთა განათლების ეფექტურად განვითარებისთვის იქნება საჭირო.

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა 5

შინაარსი 12

1. ზოგადი კონტექსტი 13
1.1. ეკონომიკური ტრანზიცია და განათლების მდგომარეობა საქართველოში 13

2. ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის და ინსტიტუციური ჩარჩო 21
2.1. ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის ახალი მიმართულებები 22
2.2. ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის განხორციელების ინსტიტუციური ჩარჩო 25

3. ზრდასრულთა განათლების პროვაიდერები 28
3.1. საგანმანათლებლო დაწესებულებები 29
3.2. კერძო სექტორი 36
3.3. საჯარო სექტორი 40
3.4. ზრდასრულთა პროფესიული ორიენტაციის პროვაიდერები 46

4. საჭიროებები და მოლოდინები ზრდასრულთა განათლების კერძო ონლაინ დასაქმების პორტალებისთვის 47
4.1. ზრდასრული მსმენელების საჭიროებების და მოლოდინების დაკმაყოფილება 48
4.2. დამსაქმებლების მოლოდინები 53

5. ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფაზე წვდომა 54
5.1. ჩარიცხვის პირობები 54
5.2. ფიზიკური წვდომა 55
5.3. წვდომასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვები 55

6. პროგრამებში არსებული ადგილები და გაფართოების პოტენციალი 56
6.1. ადამიანური და ფინანსური რესურსები 57

7. დასკვნები და რეკომენდაციები 60
7.1. პოლიტიკის რეკომენდაციები 61

8. გამოყენებული ლიტერატურა 66

9. დანართი 67

1. ზოგადი კონტექსტი

1.1. ეკონომიკური ტრანზიცია და განათლების მდგომარეობა საქართველოში

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, საქართველომ რადიკალურად შეიცვალა კურსი ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქვეყანამ ინტენსიური პოლიტიკური რეფორმების პერიოდი გაიარა, მათ შორის, განათლების სექტორშიც. ამ რეფორმების მიზანი იყო ევროკავშირის სისტემებსა და სტრუქტურებთან შესაბამისობის მიღწევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ რესურსების განაწილებაში უმთავრესი როლი ბაზარზე არსებულ ძალებს ეთამაშათ. 2004-2022 წლებში, რეალური მშპ საშუალოდ 5.5%-ით გაიზარდა, რაც მხოლოდ ირლანდიის 5.6%-იან მაჩვენებელს ჩამორჩება ევროკავშირში და გაცილებით მაღალია, ვიდრე გერმანიაში მიღწეული 1.3%. 2023 წელს რეალური მშპ კიდევ უფრო სწრაფად გაიზარდა და 10%-ს აჭარბებს უკვე ზედიზედ მეორე წელია (ევროკომისია, 2023a).

2022 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთების შემდეგ, ევროპულმა საბჭომ საქართველოს 2023 წლის დეკემბერში კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, მაგრამ გაწევრიანების პროცესი ფაქტობრივად შეაჩერა, საქართველოში „ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის[5] მიღების კონტექსტში“. მანამდე, 2016 წელს, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება გააფორმა, რომლის ფარგლებშიც საქართველო და ევროკავშირი თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ, რათა ხელი შეეწყოთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის განათლების და გადამზადების ყველა დონეზე[6]. 2021 წლიდან მოყოლებული, 6,500-ზე მეტმა სტუდენტმა და პროფესიონალმა მიიღო მონაწილეობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ERASMUS+-ის ფარგლებში განხორციელებულ გაცვლით პროგრამებში ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, გადამზადება, ახალგაზრდობის საკითხები და სპორტი. დამატებით, 92 ქართველი სტუდენტი შეირჩა Erasmus Mundus სტიპენდიებისთვის. ევროკავშირთან დაკავშირებული პოლიტიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, საქართველოს მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ის წვლილს შეიტანს სხვადასხვა აქტივობებსა და სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც ევროკავშირის პოლიტიკურ თანამშრომლობასთან არის დაკავშირებული განათლების, პროფესიული განათლების და ზრდასრულთა განათლების სფეროში.

ტრადიციულად, საქართველო აგრარული ქვეყანა იყო, მაგრამ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ სექტორში მცირე ინვესტიციები ჩაიდო, რადგან სოფლის მეურნეობა პოლიტიკის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა. ეს სიტუაცია 2012 წელს

[5] ევროპული საბჭოს დასკვნები 2024 წლის 27 ივნისი. 2024 წლის 24 ივლისის მდგომარეობით https://www.consilium.europa.eu/en/policies/eastern-partnership/georgia/

[6] ევროკავშირის განათლების პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტია 2020 წლის განათლებისა და გადამზადების ჩარჩო (ET 2020), რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მიდგომას ეფუძნება, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის საბჭოს რეზოლუციაში მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესახებ, რომლის მიხედვით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა მოიცავს სიცოცხლის განმავლობაში განხორციელებულ ყველა სასწავლო აქტივობას და რაც მიზნად ისახავს ცოდნის, უნარების და კომპეტენციების გაუმჯობესებას პირად, სამოქალაქო, სოციალურ ან/და დასაქმებასთან დაკავშირებული პერსპექტივით (Pfanzelt et al., 2021).

შეიცვალა, როდესაც სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ სფეროდ გამოცხადდა და სახელმწიფოს მხარდაჭერით ამ დარგის აღორძინება დაიწყო. საექსპორტო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ქვესექტორი სხვასთან შედარებით უფრო განვითარდა, მათ შორის, მეთხილეობა, მეფუტკრეობა და მებაღეობა, თუმცა სხვა სექტორები ჯერ კიდევ სუსტია. ძირითად დაბრკოლებას ის წარმოადგენს, რომ ამ დარგში ცალსახად იკვეთება უნარების ნაკლებობა. ფერმერები კვლავ ტრადიციულ მეთოდებს მისდევენ და ხშირად არ არიან ინფორმირებულნი გაუმჯობესებული საწარმოო ტექნოლოგიების შესახებ. ფერმერთა უნარების განვითარებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქტიულობის და შემოსავლების გაზრდისთვის.

სხვა ტრადიციულ დარგებს შორისაა სამასპინძლო სექტორი, ტურიზმი და მშენებლობა. სამუშაო ძალის თვალსაზრისით, ტურიზმი დაღმასვლას განიცდის, რადგანაც მაღალია კვალიფიციური მუშახელის მიგრაცია. მთლიანობაში, ტრადიციულ სექტორებში დასაქმებული პერსონალის უნარები არასაკმარისია. საჭიროა ზრდასრული პერსონალის გადამზადება და მათი უნარების ამაღლება.

ახლად წარმოქმნილ დარგებს შორისაა საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) და ბიზნეს აუთსორსინგის სექტორი, სადაც პირველად უნდა მოხდეს ახალი უნარების განვითარება. ზოგიერთი ადგილობრივი ექსპერტის აზრით, საქართველო მომსახურებაზე ორიენტირებული ეკონომიკა ხდება, რომელიც ისეთ სფეროებზე იქნება დაფუძნებული, როგორიცაა ლოჯისტიკა, IT სერვისი და ქოლცენტრები[7]. IT სფეროში უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნა მუშახელზე, თუმცა, ამის პარალელურად, ზრდასრულთა განათლების და გადამზადების მხრივ შესაძლებლობები შედარებით ნაკლებია. ბევრი დამსაქმებელი აცხადებს, რომ ახალი თანამშრომლების უნარები მათ მოლოდინს ვერ პასუხობს[8]. ზრდასრული ასაკის კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოზიდვისთვის, რაც საჭიროა ტექნოლოგიების გადაცემის და ახალი სამუშაო პრაქტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად.

1.1.1. შრომის ბაზარი

დასაქმების დიდი წილი დაბალი დამატებითი ღირებულების მქონე სექტორებზე მოდის მაშინ, როდესაც უფრო მაღალპროდუქტიულ სექტორებში საკმარისი მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილები ვერ შეიქმნა (ევროკომისია, 2023b). სამუშაო ძალის გამოკვლევის (LFS) მიხედვით, 2023 წელს დასაქმების წილი მომსახურების სფეროში 62.4% იყო, რასაც მოსდევს სოფლის მეურნეობა (21.1%) და მრეწველობა (16.5%). ფაქტობრივად, საქართველოს აქვს ორმაგი ეკონომიკა, სადაც სოფლად წარმოდგენილია დაბალპროდუქტიული სამუშაო ძალა, ხოლო ქალაქებში კი ისეთი მუშახელი, რომლებიც უფრო მაღალანაზღაურებად მრეწველობის და მომსახურების სექტორში მუშაობენ (Posadas et al., 2018).

[7] ინტერვიუ „აწარმოე საქართველოსთან“.

[8] ეს განცხადება გაკეთებულია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, რომელშიც 3,000 დამსაქმებელია გაწევრიანებული.

შრომის ბაზრის სტრუქტურა ბოლო წლების მანძილზე სწრაფად იცვლებოდა, ხოლო განათლების და გადამზადების სისტემა ვეღარ ახერხებდა ამ ცვლილებების შედეგად უნარების მიმართ გაზრდილი მოთხოვნა (Posadas et al., 2018). როგორც #1 ცხრილიდან ჩანს, 2022-2023 წლებში (კოვიდის პანდემიის შემდეგ), სასოფლო-სამეურნეო სექტორის გარდა (100,000-ზე მეტი დასაქმებულით), ყველაზე დიდი დამსაქმებელი იყო საბითუმო და საცალო ვაჭრობა; მოტოციკლეტების და ავტომობილების შეკეთება, განათლება, მშენებლობა, მრეწველობა, სახელმწიფო მართვა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაზღვევა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ჯანდაცვა და სოციალური სამუშაო. ამათგან, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შემდეგ დარგებში იზრდება: (i) საბითუმო და საცალო ვაჭრობა; მოტოციკლეტების და ავტომობილების შეკეთება, (ii) მშენებლობა, (iii) სახელმწიფო მართვა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაზღვევა, და (iv) ტრანსპორტი და დასაწყობება.

სხვა მცირე სექტორებს შორის, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ყველაზე მეტად სახელოვნებო, გართობისა და რეკრეაციის, აგრეთვე ადმინისტრაციის და დამხმარე სერვისების სფეროებში გაიზარდა. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა შემდეგ სფეროებში დაფიქსირდა: საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობები (36.5%) (მცირე ბაზიდან), განთავსება და კვების მომსახურება (18.6%), მშენებლობა (8.5%), საბითუმო და საცალო ვაჭრობა; მოტოციკლეტების და ავტომობილების შეკეთება (7.1%) და მრეწველობა (7.0%), ტრანსპორტი და დასაწყობება (6.5%), ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე სერვისები (5.2%).[9]

სურათი 1: დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2022 & 2023 (ათასებში)



[9] კიდევ ერთი შედარებით სწრაფად მზარდი სექტორი იყო უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა (8.9%), რომელიც ძალიან მცირე ბაზიდან გაიზარდა.

წყარო: საქსტატის ონლაინ მონაცემთა ბაზა „დასაქმებულთა განაწილება პროფესიის და სქესის მიხედვით“. შენიშვნა: პროფესიები დაფუძნებულია NACE Rev 2.0 კლასიფიკაციაზე დასაქმებულთა განაწილება სახეების (Nace rev. 2) მიხედვით*

შრომის ბაზარი ასევე არაფორმალური დასაქმების მაღალი დონით ხასიათდება, რამაც სამუშაო ძალის დაახლოებით 27.6% შეადგინა 2023 წელს, რომლის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის[10]. საქართველოში არ არსებობს სოციალური დაცვის ქსელი და უმუშევრობის შემწეობის სისტემა, შესაბამისად, ზრდასრული ასაკის დასაქმებული პირები იმ საარსებო შემოსავალზე არიან დამოკიდებულნი, რასაც თავად გამოიმუშავებენ. ამის შედეგად, გაზრდილია პრეკარიული შრომის და პლატფორმულ ეკონომიკაში მუშაობის მაჩვენებელი, რაც დამატებითი გადამზადების თუ უნარების განვითარების შესაძლებლობას იშვიათად იძლევა (დიაკონიძე, 2020). გენდერული უთანასწორობაც დიდია: 2023 წელს დასაქმების მაჩვენებელი (15+) მამაკაცებისთვის იყო 52%, ქალებისთვის კი - მხოლოდ 37% (საქსტატი, 2024)[11]. 15-29 წლის განათლების, დასაქმებისა და ტრენინგის მიღმა მყოფი (NEET) ახალგაზრდების წილმა 2022 წელს 30.7% შეადგინა, რაც თითქმის სამჯერ მაღალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე (11.7%), დიდი გენდერული სხვაობით. მსოფლიო ბანკის (2019) მონაცემებით, ამ კატეგორიაში ხვდება 29 წლის ასაკის ახალგაზრდა ქალების ნახევარი.[12]

1.1.2. განათლების სისტემა

ვიდრე საქართველოში არსებული ზრდასრულთა საგანმანათლებლო ჩარჩოს აღწერაზე გადავალთ, ჯერ მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ ფორმალური განათლების სისტემის რამდენიმე მთავარი მახასიათებელი. საქართველოში განათლების მიღება სავალდებულოა 6-დან 14 წლამდე ასაკის ადამიანებისთვის. სავალდებულო საშუალო განათლების მიღების შემდეგ, მომდევნო საფეხური სამწლიანია და მისი მიღება სხვადასხვა გზით შეიძლება, როგორიცაა: ზოგადი განათლება (ISCED დონე 3), ზოგადი და პროფესიული განათლების ინტეგრირებული მოდელი (ISCED დონე 4)[13], ან მხოლოდ პროფესიული განათლება (ISCED დონე 3)[14] (სხვადასხვა ხანგრძლივობით). გარდა ამისა, სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი პროფესიული პროგრამები (ISCED დონე 4 ან 5)[15]. საქართველოს მოსახლეობაში, სწავლის საშუალო ხანგრძლივობა 12.8 წელია.

საგანმანათლებლო სფეროზე გაწეული საბიუჯეტო დანახარჯები 2021 წელს მშპ-ს 3.6%-ს შეადგენდა, რაც დაბალია როგორც ევროკავშირის საშუალო 5%-იან მაჩვენებელზე, ასევე

[10] რიცხვი აღებულია ILOSTATის ონლაინ მონაცემთა ბაზიდან, შრომის სტატისტიკოსთა 19-ე საერთაშორისო კონფერენციის (ICLS) სტანდარტების საფუძველზე.

[11] რიცხვები აღებულია ILOSTATის ონლაინ მონაცემთა ბაზიდან.

[12] განათლების, დასაქმებისა და ტრენინგის მიღმა მყოფი (NEET) ქალების უმეტესობა არააქტიურია, ან შრომის ბაზრის გარეთაა, მაშინ როდესაც NEET მამაკაცების უმეტესობა უმუშევარია. ოჯახის შემადგენლობა (კერძოდ, შვილების ყოლა) და ოჯახური მდგომარეობა იმ ფაქტორებს წარმოადგენს, რაც NEET სტატუსზე ახდენს ზეგავლენას. სოციოეკონომიკური სტატუსი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, სადაც NEET-ების 60%-ზე მეტი დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდანაა (მსოფლიო ბანკი, 2019).

[13] საშუალო პროფესიული განათლება – ინტეგრირებული პროგრამები.

[14] საბაზო პროფესიული განათლება.

[15] საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლება.

დაბალშემოსავლიანი და საშუალოშემოსავლიანი ყველა ქვეყნის 4.4%-იან მაჩვენებელზე. ასეთი დაბალი დანახარჯები უარყოფითად აისახა საგანმანათლებლო სისტემის და სასწავლო გეგმების ხარისხზე (ევროკომისია, 2022). სწავლის შედეგების ხარისხი, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამით“ (PISA) იზომება, რეგიონის სხვა ქვეყნებს ჩამორჩება და გაცილებით დაბალია, ვიდრე ევროკავშირის ყველა ქვეყანაში. საქართველო 59-ე ადგილზე იყო იმ 80 ქვეყანას შორის, რომლებიც PISA-ს 2022 წლის რაუნდში იღებდნენ მონაწილეობას 15 წლის მოსწავლეების მათემატიკაში ცოდნის და უნარების შეფასების თვალსაზრისით. დაბალი მაჩვენებლების მქონე 15 წლის მოსწავლეების წილი იყო 66% მათემატიკაში, 67% კითხვაში და 65% მეცნიერებაში, რაც ევროკავშირში საშუალოდ არის 29.5%, 26.2% და 24.2%, შესაბამისად[16]. PISA-ს შედეგების მიხედვით, სკოლაში აკადემიური მოსწრების მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი ძლიერ განმსაზღვრელს წარმოადგენს.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საგანმანათლებლო სისტემაში მრავალი რეფორმა გატარდა. 2005 წელს ეროვნული სასწავლო გეგმა შემოიღეს და მმართველობაც სკოლის დონეზე იქნა დელეგირებული, რითაც სკოლის ხელმძღვანელებს გადაწყვეტილების მიღების ავტონომია მიენიჭათ. ძირითადი დაფინანსების რეფორმის ფარგლებში ერთ სულ მოსახლეზე დაფინანსების სისტემა დაინერგა (ოფიციალურად მოხსენიებული როგორც „ვაუჩერული“ სისტემა, თუმცა ის არასდროს არ გაცემულა ფიზიკური ფორმით), რომლის მიზანიც იყო, რომ მშობლებისთვის უფრო მეტი არჩევანის მიცემა სკოლებს შორის. აღნიშნული ღონისძიებით უფრო მეტად უნდა შესწყობოდა ხელი კონკურენციას სკოლებს შორის და, ამგვარად, მათი ეფექტურობა და საქმიანობის შედეგებიც უნდა ამაღლებულიყო (Gilauri, 2017). თუმცა, ამან შედეგად მოიტანა არასაკმარისი დაფინანსების გამოყოფა ზოგიერთი ისეთი სკოლისთვის, სადაც მოწყვლადი მოსწავლეები ირიცხებოდნენ და რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ ერთი რეფორმა გატარდა, რომლის ფარგლებშიც ფორმულაზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელი იქნა შემუშავებული, „ვაუჩერების“ საჭიროების მიხედვით გადაანგარიშების მიზნით. ერთ სულ მოსახლეზე დაფინანსება ასევე იქნა შემოღებული უნივერსიტეტებისა და პროფესიული განათლებისთვის, და ბოლო დროს - ზრდასრულთა განათლებისთვისაც[17]. „ვაუჩერების“ გამოყენება სადავო აღმოჩნდა, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა, ამით განათლებაზე თანაბარი წვდომა შემცირდა, რადგანაც უკეთესი რესურსებით უზრუნველყოფილი სკოლები უფრო მეტ მოსწავლეს იზიდავს და მეტ დაფინანსებას იღებს, ხოლო არაპრივილეგირებულ რაიონებში მდებარე და ნაკლები რესურსებით უზრუნველყოფილი სკოლები მოსწავლეებს და, შესაბამისად, დაფინანსებასაც კარგავენ. აღნიშნული ღონისძიებების საბოლოო შედეგი კი ის იყო, რომ საგანმანათლებლო კუთხით უთანასწორობა განათლების ყველა დონეზე გაიზარდა (Ziderman, 2017).

[16] OECD-ის PISA 2022 წლის 15 წლის ასაკის მოსწავლეთა მოსწრების შეფასებაში, „ჩამორჩენა“ ნიშნავს ერთ ქულას ტესტის შკალაზე მეორე დონის ქვემოთ.

[17] უმაღლეს განათლების დონეზე მათ უწოდებენ „სტუდენტურ გრანტებს“ და იგივე ღირებულება აქვს ნებისმიერი სასწავლო სფეროსათვის; პროფესიულ და ზრდასრულთა განათლებაში მათ უწოდებენ „ვაუჩერებს“ და მათი ღირებულება განსხვავებულია - დაფუძნებულია მოსალოდნელი ხარჯების რეალურ გაანგარიშებაზე და დაკავშირებულია ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობასთან.

ზოგადსაგანმანათლებლო ან საშუალო საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამების კურსდამთავრებულებმა შეიძლება სწავლა უმაღლეს პროფესიულ პროგრამებში, ან ბაკალავრიატში განაგრძონ. ამგვარი შესაძლებლობა არ არის ხელმისაწვდომი საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებისთვის, თუმცა, მათ სწავლის გაგრძელება ინტეგრირებულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეუძლიათ. პრაქტიკაში, მსმენელების უმეტესობა საშუალო პროფესიული განათლების გზას მიჰყვება და მხოლოდ 11% ირჩევს პროფესიული განათლების გზას უმაღლეს საგანმანათლებლო დონეზე.

თუკი იმ მოსახლეობის წილს ავიღებთ, ვისაც 25+ წლის ასაკში (ე.ი. ზრდასრულებს) 2022 წელს მიღებული ჰქონდა საშუალო საფეხურის განათლება, მათგან თითქმის ორ მეხუთედს (38.8%) დასრულებული ჰქონდა ზედა საფეხურის საშუალო განათლება და ერთ მეხუთედს (20.0%) - საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი განათლება[18]. ქართულ კონტექსტში ეს იმას ნიშნავს, რომ ზრდასრულთა მხოლოდ ერთ მეხუთედს აქვს დამთავრებული პროფესიული კოლეჯი. პროფესიულ განათლებაზე გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსება სულ განათლებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო დანახარჯების 5%-ზე ნაკლებია, ხოლო ფორმალური ზრდასრულთა პროფესიული განათლება კიდევ უფრო ნაკლებად ფინანსდება (მსოფლიო ბანკი, 2022a). 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში, 2020 წელს ერთ მესამედს (33.8%) ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია.[19]

მიუხედავად იმისა, რომ განათლებაზე გაწეული ხარჯები მშპ-ს შედარებით მცირე წილს წარმოადგენს, იმ დასაქმებული პირების პროპორცია, ვინც მესამე საფეხურის განათლება მიიღო, 2011 წლის 31.2%-დან 34.6%-მდე გაიზარდა 2019 წელს, რაც ევროკავშირის 27 ქვეყნის 34.55-იანი საშუალო მაჩვენებლის ეკვივალენტურია იმავე წელს[20]. იმავდროულად, იმ დასაქმებულთა წილი, რომლებსაც საბაზოზე ნაკლები განათლება ჰქონდათ მიღებული, 2011 წელს დაფიქსირებული 1.5%-დან 0.26%-მდე შემცირდა 2019 წელს, ხოლო იმ დასაქმებულთა წილი, რომლებსაც ჰქონდათ მხოლოდ დაწყებითი განათლება, ოდნავ შემცირდა 7.0%-დან 6.3%-მდე, ხოლო შუალედური (საშუალო ან საშუალოსშემდგომი არაუმაღლესი) განათლების მქონე დასაქმებულთა წილი 60.4%-დან 58.8%-მდე შემცირდა იმავე პერიოდში.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა წინ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიმართ აღებული ძირითადი ვალდებულებების შესრულების გზაზე და ლისაბონის აღიარების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. ქვეყანამ ასევე მიიღო ბოლონიის დეკლარაცია 2004 წელს. ახალი კანონით უმაღლესი განათლების შესახებ შემოღებული იქნა სამსაფეხურიანი საგანმანათლებლო სისტემა და ცენტრალიზებული ჩარიცხვის სისტემა, უნივერსიტეტების ავტონომიურობა გაძლიერდა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მნიშვნელობას ხაზი გაესვა. აღნიშნული რეფორმების გატარებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის პროცესში არსებული კორუფცია აღმოიფხვრა და დამსახურებაზე დაფუძნებული სისტემა

[18] მონაცემები მსოფლიო ბანკის მსოფლიო განვითარების ინდიკატორებიდან [ცვლადის კოდი SE.TER.CUAT.BA.ZS].

[19] მონაცემები აღებულია ILOSTAT ონლაინ მონაცემთა ბაზიდან.

[20] მონაცემები საქართველოსთვის აღებულია ILOSTATის ონლაინ მონაცემთა ბაზიდან, ხოლო ევროკავშირის 27 ქვეყნებისთვის - Eurostat-იდან [ცვლადის კოდი lfsa_egaed].

დამკვიდრდა (გილაური, 2017). თუმცა, კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ამ პროცესმა უთანასწორობასა და წვდომასთან დაკავშირებული გამოწვევები ვერ გადაჭრა დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის (ჩიტაშვილი, 2020). კურსდამთავრებულთა უნარების მიხედვით, საქართველო 141 ქვეყნიდან მხოლოდ 125-ე ადგილზეა გლობალურ კონკურენტუნარიანობის ინდექსში. ეს სურათი აჩვენებს, რომ საშუალო და უმაღლესი განათლების დასრულების შედარებით კარგი მაჩვენებლების მიუხედავად, საგანმანათლებლო სისტემაში მიღწეული სწავლის შედეგები შეზღუდული და არათანაბრად განაწილებულია.

საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების მიზნით გაკეთებულ განაცხადთან დაკავშირებით გაცემული ევროკომისიის დასკვნის თანახმად, საქართველომ ადამიანური კაპიტალი უნდა გააძლიეროს განათლების რეფორმის გზით, რათა უზრუნველყოფილი იქნას შრომის ბაზრისა და ინოვაციურობისთვის საჭირო უნარები, ასევე გააძლიეროს ქვეყნის შესაძლებლობა, რომ ევროკავშირში არსებულ კონკურენციის წნეხს გაუმკლავდეს (ევროკომისია, 2022). 2023 წელს ევროკომისიამ დაასკვნა, რომ „... საგანმანათლებლო მიღწევების, ხარისხისა და შრომის ბაზართან შესაბამისობის შეზღუდული დონე საქართველოს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის პოტენციურ ზრდას აფერხებს“ (ევროპული კომისია, 2023b). უნარების მხრივ არსებითი ჩავარდნა სახეზეა, ციფრულ უნარებთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია როგორც არაადეკვატური შეთავაზებით, ასევე პროგრამების ხარისხით (PMCG, 2023; ETF, 2020).

1.1.3. ზრდასრულთა განათლება

ზრდასრულთა განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) მთავარი კომპონენტია. ის მოიცავს განათლებას და გადამზადებას ზრდასრულთათვის, მათი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით პირად, სამოქალაქო, სოციალურ და დასაქმებასთან დაკავშირებულ სფეროებში (ჯარვისი, 2010). ეს კონცეფცია ტრადიციულ საკლასო გარემოს სცდება და სწავლის მოქნილ გზებს მოიცავს, რომლებიც არაფორმალური და ინფორმალური სწავლის გამოცდილებებს აღიარებს და ამტკიცებს. ზრდასრულთა განათლება ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს გზები უნარების განვითარების, შეძენის და ვალიდაციისთვის, ზრდასრულთა მიერ დაგროვებული სხვადასხვა ცოდნის და ცხოვრებისეული გამოცდილების აღიარებით. ევროპის განათლების ფონდი (ETF) „ზრდასრულებად“ 25 წლის და უფრო მეტი ასაკის პირებს მიიჩნევს. მაშინ, როცა ევროპის განათლების ფონდი ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ზრდასრულთა განათლებაზე ხელი ყველა იმ ადამიანის მიუწვდებოდეს, ვისაც ეს სჭირდება ან სურს, ის ამავდროულად აქცენტს აკეთებს არაპრივილეგირებულ მსმენელთა სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებზე, მათ შორის იმ პირებისა, რომლებიც გენდერულ დისბალანსს აწყდებიან, ან მიგრანტთა თემს მიეკუთვნებიან (ETF, 2023).

სურათი 2: ზრდასრულთა მონაწილეობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლაში (25-64 წლის მოსახლეობის პროცენტული წილი), ETF-ის პარტნიორი ქვეყნები 2022წ.



მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა საქართველოსთვის პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს, ზრდასრულთა განათლებაში მონაწილეობის მაჩვენებელი (ე.ი. 25-64 წლის ადამიანთა წილი, ვინც გამოკითხვამდე 4 კვირის განმავლობაში რაიმე სახის განათლება ან გადამზადება გაიარა) 2022 წელს 2%-ზე ნაკლები იყო. ზრდასრულთა განათლების საერთო დონე საქართველოში რეგიონულის სხვა მსგავს ქვეყნებსა და ევროკავშირზე დაბალია (იხ. სურათი #1). ადამიანების უმეტესობა საქართველოში დადებითად არის განწყობილი ზრდასრულთა განათლების მიმართ. DVV International-ის მიერ ჩატარებული კვლევით (2021) გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა (18-65 წლის) სამი მეხუთედი (60%) ზრდასრულთა განათლებას „სასარგებლოდ“ მიიჩნევს. ასევე აღსანიშნავია ქიტიაშვილის და ტასკერის მიერ მანამდე შესრულებული სხვა კვლევა (2016), რომელმაც აჩვენა, რომ გამოკითხულ ზრდასრულთა შორის თითქმის ყველა (93%) დადებით დამოკიდებულებას ავლენდა უწყვეტი განათლების მიმართ, ხოლო გამოკითხულთა ოთხი მეხუთედი (80%) აღნიშნავდა, რომ მათ წინა წელს უწყვეტი განათლებაში ჩართვის საჭიროება ჰქონდათ, რაც არ დაკმაყოფილებულა. ბარიერები, როგორიცაა ფინანსების და ინფორმაციის ნაკლებობა, აგრეთვე სწავლისთვის საჭირო დროის გამოყოფა ბევრ ზრდასრულს ხელს უშლის, რომ საგანმანათლებლო შესაძლებლობებით ისარგებლოს.

ზრდასრულთა განათლება საქართველოში სხვადასხვა სახის განათლებას და გადამზადებას გულისხმობს, როგორიცაა:

- მომზადების და გადამზადების პროგრამები, რომელთა დასრულებისას სერტიფიკატი გაიცემა (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს 2-5 დონეებზე)
- 25+ ასაკის ჯგუფის მომზადება პროფესიული განათლების სადიპლომო პროგრამებში (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს 3-5 დონეებზე)
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემოთავაზებულ არაფორმალური მოკლე ციკლის პროფესიული გადამზადება

- არაფორმალური გადამზადება არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო სააგენტოების, დონორების და კერძო კომპანიების მიერ სამუშაო გარემოში გადამზადების სახით

2019 წლიდან მოყოლებული, ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში ზრდასრულთათვის რამდენიმე ახალი პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამა და კვალიფიკაცია იქნა შეტანილი, რომელთა მეშვეობით ზრდასრულებს საკუთარი უნარების ამაღლება და შრომის ბაზარზე ინტეგრაცია შეუძლიათ. მომზადების და გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამების რაოდენობა მზარდია: 2021 წელს მხოლოდ 34 ახალი პროგრამა დამტკიცდა, 2022 წელს - 163[21], ხოლო 2023 წელს - 133. თუმცა, კონკრეტულ წელს აქტიურად შეთავაზებული პროგრამების რაოდენობა სხვადასხვა იყო: 2022 წელს 282, ხოლო 2023 წელს მხოლოდ 124. EMIS-ის მონაცემებით, 2023 წელს მომზადების და გადამზადების პროგრამებზე 7,240 კანდიდატი ჩაირიცხა, რაც წინა წლის მაჩვენებელს თითქმის 39%-ით აღემატება. საზოგადოებრივი და კერძო კოლეჯების პროფესიული განათლების პროგრამებში 2022 წელს 7,151 ზრდასრული ასაკის მსმენელი (24-26 წლის და უფრო მეტი ასაკის) სწავლობდა, ხოლო კურსდამთავრებულთა რაოდენობა 4,182 იყო[22].

2. ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის და ინსტიტუციური ჩარჩო

საქართველოს მიღებული აქვს კანონები „უმაღლესი განათლების შესახებ“ (2004[23]), „ზოგადი განათლების შესახებ“ (2005)[24] და „პროფესიული განათლების შესახებ“ (2007, 2018)[25]. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიზანი იყო „ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში“. 2005 წელს მიღებული „პროფესიული განათლების კონცეფციით“ ზრდასრულთა განათლების კონცეფცია განისაზღვრა, რასაც მოჰყვა პირველი „კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ 2007 წელს. აღნიშნული კანონი მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპებს ეფუძნებოდა და ზრდასრულებს პროფესიულ კოლეჯებზე წვდომის შესაძლებლობას უქმნიდა (Pfanzelt et al., 2021). 2009 წლამდე პროფესიული განათლების მსმენელთა დაახლოებით ნახევარი 22 წელზე უფროსი ასაკის იყო.

2013-2020 წლების „პროფესიული განათლებისა და გადამზადების სტრატეგიით“ მიზნად იქნა დასახული პროფესიული განათლების შესაბამისობაში მოყვანა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. სწორედ ეს დოკუმენტი გახდა შთაგონების წყარო 2018 წელს მიღებული ახალი კანონისთვის „პროფესიული განათლების შესახებ“, სადაც აღიარებული იქნა არაფორმალური განათლების ცნება, როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რითაც ის რეგულირებული პროფესიებისთვის მოთხოვნილი უწყვეტი განათლების აქტივობებში იქნა გათვალისწინებული (Pfanzelt et al., 2021). კანონით შემოღებული იქნა მოკლე ციკლის, ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების

[21] მათგან 27 იყო სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება, 18 - კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, ცხრა - კერძო არასაგანმანათლებლო დაწესებულება და სამი - სახელმწიფო არასაგანმანათლებლო დაწესებულება (პროფესიული განათლების დეპარტამენტის ანგარიში, 2022).

[22] საქსტატი (2023), საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული

[23] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2004), საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.

[24] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2005), საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

[25] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2018), საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ.

საჭიროებებისთვის შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაციები. შემდგომში მიღებული იქნა კანონქვემდებარე აქტები, სადაც დადგინდა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები პროფესიული განათლების დაწესებულებებისა და პროგრამებისთვის (Siprashvili, 2023).

„2017-2021 წლების განათლების ერთიანი სტრატეგიით“ განათლების ყველა დონე და განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა. მასში მითითებულია განათლების მიღების ალტერნატიული გზები და იმის საჭიროება, რომ სწავლის მსურველთა ასაკი იქნას მხედველობაში მიღებული (Pfanzelt et al., 2021). თავის წინამორბედის მსგავსად, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წწ“ (UNSESG) ძლიერ აქცენტს აკეთებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლაზე. სტრატეგიის ამოცანა 2.3.1 მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების გაძლიერებას ითვალისწინებს ინოვაციური, მრავალფეროვანი და ინკლუზიური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოქნილი ქსელის მეშვეობით. ამ ამოცანით გათვალისწინებულ აქტივობებში შედის პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მასშტაბის გაზრდა, რომლის საზომიცაა შეთავაზებული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების რაოდენობა. აღნიშნული აქტივობების განხორციელებაზე უნარების სააგენტო და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო არიან პასუხისმგებელნი.

„სოციალური დახმარების შესახებ“ კანონით დადგენილია ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკა სოციალური მომსახურების შესახებ, რომელთა შორისაც არის უნარების განვითარება და დასაქმებაში ხელშეწყობა. „გენდერული თანასწორობის“ და „შშმ პირების“ შესახებ კანონებით გარანტირებულია თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ასევე უზრუნველყოფილია გენდერულ თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

„დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ კანონი (2020) სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს დასაქმების ხელშეწყობის და აქტიურ შრომის ბაზრის პოლიტიკაში (ALMPs) მონაწილეობის უფლებამოსილების თაობაზე. „შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია“ (2019) და 2024-2028 წლების სტრატეგიის პროექტი მიზნად ისახავს ქალების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას, რომელთა შორისაა: ახალგაზრდები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული პირები, ეკო-მიგრანტები, დაბრუნებული მიგრანტები, ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მცხოვრები პირები, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები, მოქალაქეობის არმქონე პირები და მარტოხელა დედები. თავისი დაარსებიდან, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დაფინანსებული აქვს სხვადასხვა „აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკა“ (ALMPs) სამუშაოს მაძიებლებისთვის, მათ შორის, პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამები. გადამზადებასთან ერთად, აღნიშნული პროგრამების ფარგლებში შემოთავაზებულია კარიერის დაგეგმვა, კონსულტაციები, ძირითადი უნარების პროგრამები და სტაჟირებები კერძო კომპანიებში. ევროპის განათლების ფონდის მიერ „აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის“ თაობაზე 2023 წლისთვის შეგროვებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ დასაქმების საკითხებზე კონსულტაცია 11,018 მონაწილეს გაეწია (მათგან ბევრი სოციალური დახმარების მიმღებია), 3,911-მა ისარგებლა პროფესიული განათლების პროგრამით, ხოლო მხოლოდ 144-მა გაიარა სტაჟირება (დასაქმების სტიმულირების ფორმა). მონაწილეთა უმეტესობა იყვნენ ქალები და 29 წელზე უფროსი ასაკის პირები.

2.1. ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის ახალი მიმართულებები

2024 წლის 5 თებერვალს გამართულ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზანი გააჟღერა:

> *„ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია პროფესიული განათლების წინ წამოწევა. პროფესიული განათლება აუცილებლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის და აკმაყოფილებდეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს.“*[26]

პროფესიული განათლების სტრატეგია 2024-2030 პრიორიტეტად ზრდასრულთა განათლებას მიიჩნევს, რისთვისაც დაფინანსება უნდა გაიზარდოს.[27] პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეძლევათ მოტივაცია, რომ ზრდასრულებს მოკლე ციკლის პროგრამები შესთავაზონ, ხოლო გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP) საზოგადოებრივ პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობს ამ პროგრამების მასშტაბის გასაზრდელად. სხვა დონორებიც, მათ შორის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და აზიის განვითარების ბანკი (ADB), სხვადასხვა სექტორში მოკლე ციკლის პროგრამების განხორციელებას უჭერენ მხარს.

ამ დრომდე, მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სწავლის „მეორე შანსს“ იმ ზრდასრულთათვის, ვისაც ისეთი საბაზისო უნარების გამომუშავება სურთ, როგორებიცაა წიგნიერება ან რაოდენობრივი წიგნიერება, ასევე საზოგადოებრივი განათლება აქტიური მოქალაქეობისა და პირადი განვითარებისათვის (Pfanzelt et al., 2021). ზრდასრულთა განათლების კონცეფცია მთლიანად შემოიფარგლებოდა მხოლოდ უწყვეტი პროფესიული განათლებით და პროფესიულ განვითარებაზე მიმართული გადამზადებით, სადაც აქცენტი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერაზე კეთდებოდა. თუმცა, მოსალოდნელია, რომ ეს სიტუაცია შეიცვლება, რადგანაც საქართველოში რეგულაციები, პროცედურები და ინსტრუმენტები გადაიხედა ევროკავშირის 2012 წლის საბჭოს რეკომენდაციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, რომელიც არაფორმალური და ინფორმალური სწავლის ვალიდაციას (VNFIL) ეხება (ევროკომისია, 2023b). ამჟამად შესაძლებელია არაფორმალური განათლების აღიარება და არაფორმალური განათლების აღიარების რეგულაციაც (2011) გადაიხედა 2019 წელს.[28] ამ რეგულაციით არაფორმალური განათლების მიმწოდებლებს უფლება მიეცათ, რომ წინარე არაფორმალური და ფორმალური სწავლება აღიარონ და დაამოწმონ, ასევე დადგინდა აღიარების პროცესები და პროცედურები. თუმცა, რეგულაციის გამოყენება მცირე მასშტაბით ხდებოდა და „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ (NCEQE) მონაცემთა ბაზაში არაფორმალური

[26] https://www.mes.gov.ge/content.php?id=13686&lang=eng

[27] სტრატეგია დამტკიცდა განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის #1225908 ბრძანებით 27 სექტემბერს 2024 წელს.

[28] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის #459 დადგენილება „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასურის დამტკიცების შესახებ“.

განათლების აღიარებისთვის მხოლოდ 13 მომსახურების მიმწოდებელია რეგისტრირებული.[29] [30]

წინარე სწავლის აღიარება (RPL) ორი დამატებითი ბრძანებით რეგულირდება: „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი“ (განათლების მინისტრის #98n ბრძანება, 2010 წ.)[31] და „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ (განათლების მინისტრის #121n ბრძანება, 2020 წ.).[32] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) პასუხისმგებელია წინარე სწავლის აღიარებაზე და სერტიფიცირებული ჰყავს 13 დაწესებულება და 50 კონსულტანტი მოცემულ პროცედურებში ჩართვის მიზნით. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) მიხედვით 14 სხვადასხვა სექტორია გამოვლენილი, სადაც წინარე ცოდნის აღიარება შეიძლება მოხდეს. თუმცა, პრაქტიკაში ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს და დღემდე ეს სერვისი მხოლოდ 40-მა პირმა გამოიყენა ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, კონსულტანტების მხარდაჭერით.[33] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მიზნად ისახავს აღიარების პროცესის გამარტივებას და ამ მიმართულებით კოორდინირებულ ძალისხმევაში სახელმწიფო ინსტიტუციებსაც რთავს.

დუალური გადამზადების ხარისხის ასამაღლებლად მარეგულირებელი ჩარჩო დაინერგა, ასევე შემუშავდა სამუშაო გარემოში სწავლების (WBL) წესები და კრიტერიუმები, პროფესიული კოლეჯების და კომპანიების ფუნქციების და პასუხისმგებლობების განსაზღვრისთვის, სტუდენტთა უფლებების დაცვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების ხელშეწყობის მიზნით. ამასთან დაკავშირებით, საქართველო 2022 წელს „შეგირდობის ევროპულ ალიანსს“ (EAfA) შეუერთდა.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც პირველად 2011 წელს იქნა შემოღებული, 2019 წელს გადაიხედა. საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიულ სტანდარტებზეა დაფუძნებული 2011 წლიდან.[34] 2019 წლიდან მოყოლებული, ყველა პროფესიული განათლების სასწავლო გეგმა რეფორმირებული იქნა და მოდულების საფუძველზეა შემუშავებული, შემოღებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები პროფესიული

[29] https://eqe.ge/ka/page/static/873/araformaluri-ganatlebis-aghiareba

[30] ევროპის განათლების ფონდსა და უნარების სააგენტოს მიერ 2024 წლის ოქტომბერში დისტანციურად ორგანიზებულ ვალიდაციის შეხვედრაზე მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ „VNFIL-ის სისტემა ძალიან რთულია, გამჭვირვალობა აკლია და გამარტივებას საჭიროებს. თავიდან მიაჩნდათ, რომ პასუხისმგებელი ორგანო სავაჭრო-სამრეწველო პალატა იქნებოდა, მაგრამ ამას მცირე დაინტერესება მოჰყვა, ამიტომ საგანმანათლებლო სისტემამ ეს საკუთარ თავზე იტვირთა, თუმცა მეტი მხარდაჭერა არის საჭირო. უნდა განხორციელდეს ცვლილებები, რის შემდეგაც მეტ კერძო კომპანიებს შეეძლებათ განაცხადის შემოტანა. აუცილებელია კავშირების დამყარება კერძო სექტორთან.“

[31] https://www.matsne.gov.ge/en/document/view/1031772?publication=0

[32] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5065322?publication=0

[33] ინფორმაცია მოწოდებულ იქნა ევროპის განათლების ფონდისა და უნარების სააგენტოს მიერ 2024 წლის 21 ოქტომბერს დისტანციურად გამართულ ვალიდაციის შეხვედრაზე, სადაც აღინიშნა: „ზრდასრული მოსახლეობა არაფორმალურ გარემოში შეძენილ ცოდნასა და უნარებს ფლობს. მათი არაღიარება კი მოტივაციის შემცირებას გამოიწვევს და ზრდასრულთა შრომის ბაზარზე შესვლას შეზღუდავს, თუ მათ საკუთარი უნარების სერტიფიცირების პროცესის თავიდან გავლა დასჭირდებათ.

[34] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს პრინციპებს მიჰყვება.

პროგრამებისთვის. კერძო სექტორთან თანამშრომლობით 150-ზე მეტი ახალი პროფესიული კვალიფიკაცია შემუშავდა.[35]

2.2. ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის განხორციელების ინსტიტუციური ჩარჩო

2.2.1. პოლიტიკის მართვა და კოორდინაცია

ზრდასრულთა ფორმალური განათლების პოლიტიკის მართვის, კოორდინირების და განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუცია არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო პროგრამების დაფინანსება საქართველოს „უნარების სააგენტოზე" არის დელეგირებული.[36] უნარების სააგენტო 2021 წელს შეიქმნა საჯარო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის დაფინანსებით, კერძო სექტორთან ურთიერთქმედებისა და პარტნიორობის ხელშეწყობის მიზნით. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც სხვადასხვა დარგის წარმომადგენელ 38 ბიზნეს ასოციაციას აერთიანებს; მასში 3,000 კომპანია არის გაწევრიანებული, რომელთა უმეტესობაც მცირე და საშუალო საწარმოა რეგიონებიდან; მრავალი მათგანი კი სასოფლო-სამეურნეო სექტორთან არის დაკავშირებული.

უნარების სააგენტო პარტნიორობის პლატფორმას უზრუნველყოფს, რომელიც საჯარო, კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო პარტნიორებს აერთიანებს უნარების ეკოსისტემის განვითარების მიზნით როგორც ახალგაზრდებისთვის, ასევე ზრდასრულებისთვის.[37] მის მანდატში შედის პროფესიული განათლების ეროვნული კვალიფიკაციების შემუშავება, პროფესიული განათლების მიმწოდებლების შესაძლებლობების გაძლიერება, პროფესიულ განათლებაში ინკლუზიური მიდგომების ხელშეწყობა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსების განაწილება მომზადება-გადამზადების პროვაიდერებისთვის.[38] 2019 წლიდან მოყოლებული, უნარების სააგენტომ ზრდასრულებისთვის შემუშავებული დაახლოებით 500 პროგრამისთვის გასცა დაფინანსება.[39] მიმდინარეობს დარგობრივი

---

[35] განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2022). პროფესიული განათლება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 2022 წლის ანგარიში. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი.

[36] უნარების სააგენტომ ის ფუნქციები შეითავსა, რასაც ადრე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ზრდასრულთა განათლების სამსახური ასრულებდა.

[37] უნარების სააგენტო პრიორიტეტად მიიჩნევს თანამშრომლობას კერძო სექტორთან და ასევე თანამშრომლობას განათლების და ბიზნესის სფეროებს შორის. მომავალში სააგენტო შეხვედრას გეგმავს კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, პერსონალის გადამზადების გაუმჯობესების საკითხის განსახილველად (მონაწილეთა კომენტარები ევროპის განათლების ფონდისა და უნარების სააგენტოს მიერ 2024 წლის 21 ოქტომბერს გამართული ვალიდაციის დისტანციურ შეხვედრაზე).

[38] პროფესიული კოლეჯების დაფინანსება პირდაპირ ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

[39] 2023 წელს, უნარების სააგენტომ დანერგა Moodle-ზე დაფუძნებული სწავლის მართვის სისტემა (LMS), რითაც შეიქმნა პლატფორმა ზრდასრულთა პედაგოგების, არაფორმალური სწავლების მასწავლებლებისა და სხვა პირებისთვის, სტუდენტებისა და საზოგადოებისთვის ციფრული კურსების და სასწავლო რესურსების მომზადებისა და ატვირთვისთვის. უფასო კურსები ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის 2024 წლიდან, სხვადასხვა საგნებში, როგორიცაა, მათ შორის IT, ფინანსები, მეწარმეობა და ტექნიკური უნარები.

უნარების ორგანიზაციების ჩამოყალიბება, და როდესაც ისინი ფუნქციონირებას დაიწყებენ, უნარების სააგენტო თავის საკოორდინაციო როლს შეასრულებს ამ ორგანოებთან ერთად. უნარების სააგენტო ხელს უწყობს დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომ ისინი ზრდასრულთა სწავლების პროვაიდერები გახდნენ. ის ასევე კერძო კომპანიებსაც ეხმარება, რომ ოფიციალურ პროფესიულ განათლებაში ჩაერთონ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განაცხადის შეტანით და მოკლე ციკლის მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების გზით.

გარდა ამისა, უნარების სააგენტო ხელს უწყობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს საგრანტო სქემის მეშვეობით, რათა განახორციელონ ექსტრაკურიკულარული და არაფორმალური პროგრამები პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესობას საზოგადოებრივი და კერძო პროფესიული კოლეჯები ახორციელებენ, უნარების სააგენტომ კონსულტაცია გაუწია 20 კერძო კომპანიას არაფორმალური პროგრამების შემუშავების მიზნით, ზრდასრულთა განათლების და გადამზადების ხელშესაწყობად და მიზნად ისახავს 15 ახალი პროგრამის შემუშავებას. ყველა ასეთი ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების პროგრამა მოთხოვნაზე ორიენტირებული უნდა იყოს და სასურველია, რომ ისინი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელით განხორციელდეს, სადაც პროფესიული განათლების პროვაიდერები კომპანიებთან იქნებიან დაკავშირებულნი თავიანთი პროგრამების აქტუალურობის და ხარისხის უზრუნველსაყოფად. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსმენელთა მიერ სწავლის დასრულების მაჩვენებელი ამ პროგრამებში უფრო მაღალია, ვიდრე ოფიციალურ სადიპლომო პროგრამების შემთხვევაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზრდასრულებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ ახალი უნარების შეძენა და შრომის ბაზარზე გადასვლა, ან დასაქმების სტატუსის გაუმჯობესება შედარებით მოკლე დროში.

მაშინ როდესაც უნარების სააგენტო პასუხისმგებელია პროფესიული განათლების პროვაიდერების შესაძლებლობების გაძლიერებაზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოვალეობაში ზრდასრულთა განათლების პროგრამების აკრედიტაცია შედის და ის ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ის ავტორიზაციას გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ახორციელებს მათი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას და მათ მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლებას ანიჭებს.

ფორმალური განათლების ყველა პროვაიდერმა პერიოდული ავტორიზაცია უნდა გაიაროს, ხოლო უმაღლესი განათლების შემთხვევაში პროგრამის აკრედიტაციაც არის საჭირო. არსებული პროგრამებისთვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ექსპერტთა კომიტეტს ქმნის, რათა შემოწმდეს, პროვაიდერი მოქმედებს თუ არა დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. ზრდასრულთა განათლების პროგრამების პროვაიდერებმა შესაბამისი სტანდარტები უნდა დააკმაყოფილონ, როცა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატების გაცემის უფლებას ითხოვენ, თუმცა, ყველა თავდაპირველი განცხადების მიიღება არ ხდება. ყველა გადაწყვეტილება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ქვეყნდება, აკრედიტებული პროვაიდერების დეტალებთან ერთად და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი დაახლოებით ორი თვის ვადაში განიხილავს განაცხადს ახალი პროგრამის დასამტკიცებლად. დღემდე მას აკრედიტებული აქვს 543 მოკლე ციკლის მომზადება-გადამზადების პროგრამა. მათი უმეტესობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ხორციელდება, 76 მოკლევადიანი პროგრამის გარდა, რომელთა მიწოდებას არასაგანმანათლებლო პროვაიდერები უზრუნველყოფენ.[40]

2.2.2. ხარისხის უზრუნველყოფა

უნარების სააგენტო ზრდასრულთა განათლების პროვაიდერებს დახმარებას უწევს, რომ, ერთი მხრივ, თავიანთი საგანმანათლებლო პროგრამები შეიმუშაონ მომზადება-გადამზადების პროვაიდერების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტებთან, ასევე, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული დოკუმენტაციის მომზადებაში. სააგენტო პასუხისმგებელია საგანმანათლებლო და პროფესიული სტანდარტების, პროფესიული განათლების პროგრამებისა და მათი მოდულების შემუშავების კოორდინაციაზე. მისი მიზანია მხარდაჭერა გაუწიოს ზრდასრულთა განათლების ყველა ტიპის პროვაიდერს და ამჟამად გადამზადების პროვაიდერების კატალოგს ამზადებს. ის კომპანიებს სახელმძღვანელო მითითებებს აძლევს მსგავსი გადამზადების ორგანიზების და დაფინანსების საკითხებზე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოვალეობაში შედის ზრდასრულთა განათლების პროვაიდერებისთვის უფლებამოსილების მინიჭება, რომ ინდივიდის არაფორმალური და ინფორმალური წინარე სწავლის აღიარებისა და ვალიდაციის პროცესში ჩაერთონ. მისი „კვალიფიკაციების განვითარების სამსახური“ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საკითხებში საკონტაქტო ორგანოს წარმოადგენს და წინარე სწავლის აღიარების პროცესში დახმარებას უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ კიდევ ფართოდ არ გამოიყენება, უკვე შემუშავებულია წინარე სწავლის აღიარების სამართლებრივი, ინსტიტუციური და მეთოდოლოგიური საფუძვლები და საპილოტე ეტაპიც დასრულებულია. აღნიშნული პროცესი საშუალებას აძლევს შესაბამის პირებს, რომ დოკუმენტურად დაამოწმონ ის, რაც მათ ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ ისწავლეს, შემდეგ კი ასეთი დოკუმენტები კარიერის წინსვლისთვის, ან შემდგომი განათლებისა და გადამზადებისათვის გამოიყენონ.[41] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ამას გარდა, უნარების ეკოსისტემის თაობაზე კვლევებს და ანალიზს ახორციელებს და კოორდინაციას უწევს საერთაშორისო თანამშრომლობას უნარების განვითარებასთან დაკავშირებით.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური“ სტანდარტების შემუშავებასა და გაუმჯობესებაზე არის პასუხისმგებელი, ხოლო სპეციალური ექსპერტთა კომიტეტები პროფესიული განათლების პროგრამების ავტორიზაციას და მონიტორინგს უზრუნველყოფენ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იმ ექსპერტთა რეესტრს

[40] განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემთა ბაზა მომზადება-გადამზადების პროგრამებში ჩარიცხვის შესახებ, 2024წ.

[41] მინისტრის ბრძანება #188n „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესების დამტკიცების“ შესახებ ამ პროცესის პროცედურებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს განსაზღვრავს.

აწარმოებს, რომლებიც პროგრამის ხარისხის შეფასებებს ახორციელებენ. პროგრამები მონიტორინგს ექვემდებარება სამი წლის (და მომავალში ხუთი წლის) განმავლობაში, შემდეგ კი პროვაიდერებმა ავტორიზაცია ხელახლა უნდა გაიარონ. დღემდე არც ერთ პროგრამას არ დაუკარგავს ლიცენზია ამ პროცესის შედეგად. ეს პროცესი უფრო მეტად იმისთვის არის შემუშავებული, რომ მათ გაუმჯობესებაში დაეხმაროს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2019 წელს განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) მართვასა და განვითარებაზეა პასუხისმგებელი. მოსალოდნელია, რომ ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო „ხელს შეუწყობს ქვე-სექტორებს შორის გამტარობას, რათა კვალიფიკაციები უფრო უკეთესად მოერგოს შრომის ბაზრის საჭიროებებს, ასევე უზრუნველყოფილი იქნას განათლებისა და გადამზადების ხარისხი და კვალიფიკაციების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონეც ამაღლდეს“ (Pfanzelt et al., 2019: 35).

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მიზნად ისახავს ევროკავშირის სტანდარტების და პროცედურების ინტეგრაციას თავის საქმიანობაში (მაგ. ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის ინდიკატორების გამოყენება) და ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ჩარჩოში. ევროკავშირის გაცვლით პროგრამებში ჩართვა მობილობას შეუწყობს ხელს. დიპლომის დანართები ევროკავშირის რეგულაციების მოთხოვნას წარმოადგენს ევროპასის CV-ზე და შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოს კვალიფიკაციების საზღვარგარეთ აღიარებისთვის. ევროპის განათლების ფონდი ამ აქტივობების განვითარებაში მონაწილეობს, თანასწორთა სწავლის ღონისძიებების და მხარდაჭერის სხვა ფორმების გზით.

ზრდასრულთა განათლების ხარისხისთვის მნიშვნელოვანია იმ უნარების რელევანტურობა, რომლებიც შრომის ბაზარს მიეწოდება. შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის კვლევა და გამოქვეყნება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციებში შედის. ამ ანგარიშებში მოცემულია დაწესებულებაში უნარების კვლევა წელიწადში ორჯერ და შრომის ბაზრის კვლევა ყოველწლიურად. სამინისტრო ასევე შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS) პლატფორმის მართვაზეა პასუხისმგებელი. გარდა ამისა, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო დამსაქმებლების გამოკითხვებს ატარებს, რაც მათი სამუშაო ძალის გადამზადების პროგრამებისთვის სექტორების შერჩევის საფუძველს წარმოადგენს.

3. ზრდასრულთა განათლების პროვაიდერები

ნებისმიერ იურიდიულ პირს აქვს უფლება, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებული მოკლე ციკლის კურსების მიმწოდებლის სტატუსი მოიპოვოს. სამთავრობო დადგენილების საფუძველზე, ნებისმიერ იურიდიულ პირს (მაგ. კომპანიას ან არასამთავრობო ორგანიზაციას, არაფორმალური განათლების ცენტრს) შეუძლია განახორციელოს სასწავლო პროგრამა, მიიღოს კონკურენტული სახელმწიფო დაფინანსება და გასცეს სახელმწიფო სერტიფიკატი. როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, ზრდასრულთა განათლების ახალი პროგრამის განხორციელების უფლება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან უნდა იქნას მოპოვებული, შემდეგ კი პროგრამის მიმწოდებელმა უნარების სააგენტოს უნდა მიმართოს შემოთავაზებული პროგრამის დასაფინანსებლად. ნებართვების გაცემის საფუძველია მინიმალური მოთხოვნების მიღწევა ამ პროგრამებისთვის, რაშიც შედის პროგრამის განსახორციელებლად საკმარისი რესურსების ფლობა და

ადმინისტრაციული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ყველაზე პრობლემურ საკითხებს ინფრასტრუქტურასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები წარმოადგენს.

საქართველოში ზრდასრულთა განათლების მიმწოდებლები ფართო და მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს. მათ შორის არიან შემდეგი ორგანიზაციები:

- საგანმანათლებლო დაწესებულებები
  - სახელმწიფო პროფესიული კოლეჯები
  - საზოგადოებრივი-კერძო კოლეჯები
  - კერძო პროფესიული კოლეჯები
  - ზრდასრულთა განათლების ცენტრები
  - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები
  - უნივერსიტეტები, განსაკუთრებით მათი მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ცენტრები
- სახელმწიფო ორგანოები
- კერძო ორგანოები
  - კერძო კომპანიების შიდა სასწავლო ცენტრები
  - კერძო კომპანიები, როგორც არაფორმალური სწავლების პირდაპირი მიმწოდებლები
  - არასამთავრობო ორგანიზაციები

შემდეგ ნაწილში რამდენიმე ამგვარი პროვაიდერი ორგანიზაცია, ასევე მათი სტრუქტურა და შემოთავაზებული მომსახურება არის აღწერილი.

3.1. საგანმანათლებლო დაწესებულებები

3.1.1. პროფესიული კოლეჯები

ზრდასრულთა განათლების მიმწოდებელი დაწესებულებების მთავარ ჯგუფს საზოგადოებრივი პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები წარმოადგენენ, რომლებიც პროფესიულ კურსებს, მათ, შორის გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებს სთავაზობენ ყველა ასაკობრივი ჯგუფის მსმენელებს. ბოლო წლებში ბევრი პროფესიული კოლეჯი განახლდა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა, ასევე ახალი კოლეჯები და ფილიალები დაარსდა, რაც პროფესიული განათლების სისტემის გეოგრაფიულ არეალს გააფართოებს. საზოგადოებრივ პროფესიულ კოლეჯებს ბიზნეს სექტორთან ოფიციალური და რეგულარული სტრუქტურირებული დიალოგის გარკვეული ფორმა აქვს (როგორც ეს ავტორიზაციის მოთხოვნით არის გათვალისწინებული), მაგრამ ეს მექანიზმის ყოველთვის ეფექტურად არ მუშაობს. ასევე შედარებით ცოტაა თანამშრომლობაზე დაფუძნებული პარტნიორობები (თვალსაჩინო გამონაკლისია „კონსტრუქტ2“ კოლეჯი - იხილეთ ქვემოთ).

2022 წელს პროფესიული კურსების („პროფესიული პროგრამები“) მიმწოდებელი იყო 67 პროფესიული კოლეჯი, საიდანაც 26 საზოგადოებრივი, ხოლო 41 კერძო დაწესებულებაა.

ამას გარდა, პროფესიული პროგრამები შეთავაზებული იქნა 19 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საიდანაც 15 საჯარო, 4 კი კერძო დაწესებულებაა.[42]



წყარო: მომზადებულია EMIS-ის მონაცემების საფუძველზე, 2024 წ.

იმავე წელს, ამ კოლეჯებში ჩარიცხული სტუდენტების 44.5% (5,000-ზე მეტი) ზრდასრული პირი იყო.[43] ზრდასრულთა გადამზადება ასევე ხორციელდება პროფესიული კოლეჯების ან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული სხვა მომზადება-გადამზადების პროგრამის მიმწოდებლების მიერ (შემდგომში მოხსენიებული როგორც მოხსენიებული როგორც მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლები). 2023 წელს, მომზადება-გადამზადების პროგრამები 5,837-მა მსმენელმა დაასრულა (2022 წელთან შედარებით 40%-ით მეტი, რაც რაოდენობრივად 3,900 იყო).[44] კოლეჯები გრძელვადიან პროგრამებს ამჯობინებენ, დიდი ფინანსური სარგებლის გამო.[45]

ჩანართი 2: კოლეჯი „იკაროსი“

კოლეჯი „იკაროსი“ (https://icarus.edu.ge) თბილისში მდებარეობს და ოთხ გრძელვადიან სადიპლომო პროგრამას, ასევე მრავალ მოკლე ციკლის კურსს სთავაზობს მსმენელებს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით. მოკლე ციკლის კურსების შინაარსი ბაზრის მოთხოვნებს პასუხობს, ამიტომ კურსები შეიძლება

[42] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პროფესიული განათლების სტატისტიკა, „საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც სტუდენტთა მიღებას აცხადებენ პროფესიული განათლების პროგრამებზე“.

[43] განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები, წარმოდგენილი „ზრდასრულთა განათლების მარეგულირებელ და პოლიტიკის ჩარჩოში საქართველოში“.

[44] იქვე.

[45] მიმდინარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

საჭიროებიდან გამომდინარე დაიხუროს ან გაიხსნას. სულ 12 გადამზადების კურსი არსებობს[46], ძირითადად ტურიზმის და მომსახურების სფეროში. თითოეული პროგრამა მოდულებისგან შედგება და თავისი სწავლის შედეგები გააჩნია. კოლეჯში მოკლე ციკლის კურსებზე 1,200 მსმენელი, ხოლო გრძელვადიანი კურსებზე 500 მსმენელი ირიცხება, რომლებიც ტურიზმის და მომსახურების მიმართულებით სწავლობენ. კოლეჯი სამ ცვლაში, კვირაში შვიდ დღეს მუშაობს. გაკვეთილები დილის 9:00 საათზე იწყება და საღამოს 11:30 საათამდე გრძელდება. როგორც წესი, სტუდენტები კონკრეტული გეგმებით და მიზნებით შემოდიან კოლეჯში და სწავლის დიდი სურვილი აქვთ. სწავლება უფასოა. მასწავლებლების ხელფასები საათობრივად გამოიანგარიშება, სტუდენტისთვის დათმობილი ერთი საათის მიხედვით. ბიუჯეტის ერთი მეხუთედი ადმინისტრაციულ ხარჯებზეა გათვლილი. მოკლე ციკლის კურსებისთვის დაფინანსებას უზრუნველყოფს უნარების სააგენტო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და თბილისის მუნიციპალიტეტი. კოლეჯის მთელი თანამედროვე აღჭურვილობა სახელმწიფოს მიერ იქნა მოწოდებული. ამჟამად კოლეჯის სიმძლავრეები არასაკმარისია და მსმენელების რაოდენობის გაზრდაც შეიძლება. განახლების პროგრამის შედეგად, კიდევ 4,000 მსმენელის მიღება გახდება შესაძლებელი.

ჩანართი 3: სსიპ კოლეჯი „იბერია“ ქუთაისში

ქუთაისში მდებარე სსიპ კოლეჯი „იბერია“ ზრდასრულებს სამთვიან მოკლე ციკლის კურსებს სთავაზობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქართული სამზარეულო, ქალის ტანსაცმელი, სტილისტი, მეღვინეობა, ხელოსნობა, ელექტრონიკა და მარკეტინგი. სწავლების ეს სფეროები კერძო სექტორთან თანამშრომლობით განისაზღვრება. კოლეჯში ასევე 18 გრძელვადიანი პროგრამა მიმდინარეობს, როგორიცაა: აღრიცხვა, სოფლის მეურნეობა, შედუღება, ხის მხატვრული დამუშავება, თმის მომსახურება, სამკერვალო წარმოება, კომპიუტერული ქსელები, ელექტროობა. ეს კოლეჯი ორიდან ერთ-ერთი „უნარების ჰაბიდან“ გახდება საქართველოში, რისთვისაც 20 ახალ გრძელვადიან პროგრამას დაამატებს. კოლეჯში შემოთავაზებული იქნება ახალი კურსი - მექატრონიკა იმის მიუხედავად, რომ ამ სფეროში ბევრი მასწავლებელი არ არის. კურსების ხარისხს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს.

კოლეჯში ჩარიცხვის შესაძლებლობა არჩეულ კურსზე ან პროგრამაზეა დამოკიდებული. მცენარეთა დაცვის პროგრამაზე სწავლის დასაწყებად მსმენელს მოეთხოვება, რომ წინარე ცოდნას ფლობდეს სოფლის მეურნეობის დარგში მაშინ, როდესაც ხელოსნობის კურსზე რაიმე წინასწარი გამოცდილება საჭირო არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მოტივაცია, რომელიც გასაუბრებების დროს ფასდება. მსმენელები მთელი იმერეთიდან და სხვა რეგიონებიდანაც მოდიან; მათთვის კოლეჯს საცხოვრებელი კამპუსი აქვს, რომელიც 55 სტუდენტზეა გათვლილი და ერთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ამჟამად კოლეჯში 550 სტუდენტი სწავლობს გრძელვადიან პროგრამებზე და დაახლოებით 250 - მოკლე ციკლის კურსებზე. კურსდამთავრებულთა დაახლოებით 75% სამსახურს კურსის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში პოულობს. მთავარ გამოწვევას სტუდენტთა

[46] იკაროსის მიერ შეთავაზებული მოკლე ციკლის კურსები: აზიური სამზარეულო, ბარის ორგანიზება და ოპერირება, ბისკვიტის ცომით და კრემიანი ნამცხვრების მომზადება სერიული წარმოებისთვის, კერძების მომზადების ტექნოლოგია, საკვებისა და სასმელების მომსახურება (F&B), კულინარიული პროდუქტების მომზადების ტექნოლოგია, პურ-ფუნთუშეულის/ფენოვანი ცომით ნამცხვრების მომზადება, საკონდიტრო მინი პროდუქციის მომზადება, სამზარეულოს დასუფთავება (სტიუარდინგი), სამზარეულოს ჭურჭლის რეცხვა, დასუფთავების სერვისი, ფრანგული საკონდიტრო, ფრანგული კულინარია, ქიმწმენდის სერვისი, ხორცის გადამუშავება და ხორცპროდუქტების მომზადების ტექნოლოგია.

მოტივაცია წარმოადგენს, რადგან ზოგიერთ მსმენელს მეტი სტიმული და მეტი ზედამხედველობა სჭირდება.

კოლეჯი სახელმწიფო დაფინანსებას იღებს იმ პროგრამებისთვის, რომლებიც მსმენელებისთვის დასაქმებაში ხელშეწყობას ისახავს მიზნად კურსის დასრულების შემდეგ. დაფინანსების წყაროებია უნარების სააგენტო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აზიის განვითარების ბანკს გამოყოფილი აქვს დაფინანსება ახალი შენობისთვის. თბილისისგან განსხვავებით, აქ შედარებით მცირე რაოდენობის კომპანიას აქვს სურვილი, რომ თავიანთი თანამშრომლების გადამზადების საფასური გადაიხადონ.

ზოგიერთმა კომპანიამ ერთობლივი სასწავლო კომპანიები შექმნა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად, საჯარო-კერძო პარტნიორობის სახით. პროფესიული განათლების რეფორმის მეშვეობით, ზრდასრულთა განათლების მიმართ საქართველოში დანერგილი მიდგომის ძირითადი პრინციპია პარტნიორობის შექმნა ბიზნეს სექტორთან (ევროკომისია, 2023b). ამის მაგალითები შეიძლება მოძიებული იქნას სამშენებლო სექტორში, სარკინიგზო ტრანსპორტის სექტორსა და ტურიზმის სექტორში. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ კერძო სექტორი პირდაპირ ჩაერთოს კოლეჯის ორგანიზებასა და მართვაში. ამ კოლეჯების კურსდამთავრებულებს კი შეეძლებათ, რომ სამსახური პარტნიორ კომპანიაში ან სხვაგან იპოვონ საქართველოს მასშტაბით.

ჩანართი 4: „კონსტრუქტ2“ კოლეჯი

ზესტაფონში მდებარე კოლეჯი „კონსტრუქტ2“ საჯარო-კერძო პარტნიორობის მაგალითია, რომელიც მსმენელთა იმ სპეციფიკური ჯგუფისთვის შეიქმნა, ვინც სამშენებლო მრეწველობაში უნარების განვითარება სურთ. კოლეჯი პარტნიორობას წარმოადგენს უნარების სააგენტოსა და შპს ბიქეი ქონსტრაქშენს შორის, რომელიც საქართველოს მეორე უმსხვილესი სამშენებლო კომპანიაა. კომპანია ისეთ სპეციფიკურ პროექტებზე მუშაობს, როგორიცაა სასტუმროები, სავაჭრო ცენტრები, საოფისე შენობები, საცხოვრებელი კომპლექსები, სპორტული დარბაზები და სხვა. კომპანია ყველაზე მეტად დაინტერესებულია მოკლე ციკლის კურსების მიწოდებით, რადგან კურსდამთავრებულებს პირდაპირ კომპანიაში დასაქმება შეუძლიათ. კოლეჯი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც საჯარო-კერძო პარტნიორობის პრინციპით შეიქმნა. კოლეჯს დახმარებას უწევს USAID, რომლის ფარგლებშიც მიღებული აქვს ავეჯი. მოკლე ციკლის კურსებზე მიღება რეგულარულად, წელიწადში სამჯერ ცხადდება. კოლეჯი ყოველწლიურად 60 სტუდენტს იღებს 16 მოკლევადიან კურსზე. მოდულური პროგრამები 2014 წელს დაინერგა. კურსები იმით არის მიმზიდველი, რომ გადამზადებულ და კვალიფიციურ მშენებელს შეუძლია ისეთი სამსახური იშოვოს, სადაც 8,000 ლარამდე ხელფასს გამოიმუშავებს. კოლეჯს ასევე ჰყავს კონსულტანტი, ვინც მასწავლებლებთან ერთად მუშაობს, სხვადასხვა ასაკის ჯგუფებს შორის დაძაბულობის მოსაგვარებლად. ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში „კონსტრუქტ2“-ის ფილიალის გახსნის მიზნით.

3.1.2. ზრდასრულთა განათლების ცენტრები

ზრდასრულთა განათლების მომსახურებას ზრდასრულთა განათლების 14 ცენტრი (AEC) უზრუნველყოფს, რომლებიც საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) მიერ არის დაფუძნებული, DVV International-ის მხარდაჭერით (რომელიც თავის მხრივ

ძირითადად გერმანიის დახმარების სააგენტოს, GIZ-ის მიერ არის დაფინანსებული). ზრდასრულთა განათლების ცენტრების მიზანია შეუწყოს ხელი სიღარიბის შემცირებასა და სამოქალაქო ჩართულობას, ასევე თემის განვითარებას, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც პროფესიული კოლეჯი არ არსებობს. ეს ცენტრები ხელს უწყობენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ ინტეგრაციას იმ რეგიონებში, სადაც ისინი ფუნქციონირებენ. მაგალითად, ხონის ზრდასრულთა განათლების ცენტრი (GAEN-ის სასწავლო ცენტრი) იძულებით გადაადგილებული პირებით დასახლებულ სოფელში, ძველ სამხედრო დასახლებაში მდებარეობს. კოლეჯი მსმენელებს კურსებს სთავაზობს სამკერვალო საქმე, ციფრულ უნარები, მათ შორის პროგრამირება და რობოტიკა, შედუღება და ტანსაცმლის დიზაინი. აღნიშნული კურსები უფასოა ადგილობრივი თემის ზრდასრული მსმენელებისთვის.

ზრდასრულთა განათლების ცენტრები არაფორმალურ საზოგადოებრივ განათლებას უზრუნველყოფენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა ენები, კომპიუტერული ტექნოლოგია, ბუღალტრული აღრიცხვა და სამუშაოს ძიების უნარ-ჩვევები, მოკლე ციკლის პროფესიული გადამზადების კურსები და კულტურა, მათ შორის სახვითი სახელოვნებო ვორქშოპები და თეატრალური წარმოდგენები, სამოქალაქო განათლება და სხვა მსგავსი თემები (Pfanzelt et al., 2021). ძალიან პოპულარულია საოჯახო ფინანსების კურსები, რომლებიც მაცხოვრებლებს ასწავლის, თუ როგორ იმოქმედონ ბანკებთან ურთიერთობისას და საბანკო სესხებთან დაკავშირებით. მასწავლებლები ხშირად პროფესიული კოლეჯებიდან არიან მოწვეულნი. 2006-დან 2021 წლამდე ზრდასრულთა განათლების ცენტრის კურსებზე დაახლოებით 200,000-ზე მეტი ზრდასრული სწავლობდა (Pfanzelt et al., 2021). ამჟამად ზრდასრულთა განათლების ცენტრები კურსებს სთავაზობს 17,000 ზრდასრულ მსმენელს. აღნიშნულ ცენტრებს სურვილი აქვთ, რომ ფორმალური კურსებიც შესთავაზონ, მაგრამ ამისთვის მათ ლიცენზია სჭირდებათ, რომ ისეთი სხვადასხვა პირობები დააკმაყოფილონ, როგორიცაა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა და უსაფრთხოების ოფიცრები.

ზრდასრულთა განათლების ცენტრები მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის ფარგლებში მოქმედებენ და თანამშრომლობენ როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე ინფრასტრუქტურისა და ადგილობრივი განვითარების სამინისტროსთან. ისინი ქვევიდან-ზევით მიმართულ მიდგომას იყენებენ მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობისას, რათა მათთვის უფრო გასაგები გახდეს, თუ როგორ შეიძლება დახარჯონ ფული ზრდასრულთა განათლებაზე. ზრდასრულთა განათლების ცენტრების წარმატება მუნიციპალიტეტში მოქმედ ხელმძღვანელ პირებზეა დამოკიდებული. ადგილობრივი თვითმმართველობების უმრავლესობას აქვს სურვილი, რომ ზრდასრულთა განათლებას მხარი დაუჭიროს, მაგრამ ბევრი შეშფოთებულია იმით, რომ ამით შეიძლება ცენტრალური მთავრობის მიერ დადგენილი ხარჯვის წესები დაარღვიონ, თუ რესურსებს ზრდასრულთა განათლებისთვის გამოყოფენ. არაფორმალური განათლებისთვის ყველაზე სტაბილური დაფინანსება ადგილობრივი მთავრობისგან მოდის, რომელიც პირდაპირ მიიღებს სარგებელს მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებით, ან საკუთარი თანამშრომლების გადამზადებით. ბევრი ზრდასრულთა განათლების ცენტრი მუნიციპალურ შენობებშია გახსნილი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცენტრები მუნიციპალიტეტს ქირას უხდიან ამ სივრცეებით სარგებლობისთვის, ეს უკანასკნელი იშვიათად დებს ინვესტიციებს ამ ობიექტების გაუმჯობესებაში.

3.1.3. უნივერსიტეტები

რამდენიმე უნივერსიტეტი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მსმენელებს ზრდასრულთა განათლების პროგრამებს სთავაზობს პირადი და პროფესიული განვითარებისთვის. პროგრამების შესახებ სტატისტიკის წარმოება ცენტრალურ დონეზე არ ხდება და არ არის ხელმისაწვდომი. კვლევის დროს კონკრეტული დაწესებულებებიდან შეკრებილი მონაცემები ქვემოთ არის მოცემული.

ჩანართი 5: თბილისის უნივერსიტეტის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ცენტრი

თბილისის უნივერსიტეტის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ცენტრი 2009 წელს დაარსდა, ბოლონიის პროცესში საქართველოს ჩართვის შედეგად, საუნივერსიტეტო სისტემაში ზრდასრულთა განათლების განსავითარებლად. მისი მიზანია სხვადასხვა პროგრამების შეთავაზება ზრდასრულებისთვის, რაც მათ საშუალებას აძლევს, რომ უნივერსიტეტის რესურსები ახალი უნარების შესაძენად გამოიყენონ. ისინი კლიენტთა სხვადასხვა ჯგუფებს უწევენ მომსახურებას, როგორიცაა: ზრდასრულები, ხანდაზმულები და ბავშვები. კურსებს შორისაა: კომპიუტერული პროგრამირება, რბილ უნარები, მასწავლებლის უნარები - ყველაფერი მოთხოვნის შესაბამისად. კურსის დაწყებისთვის სტუდენტების მინიმალური რაოდენობა 6-დან 10-მდე მერყეობს. კურსების თაობაზე რეკლამა სოციალურ მედიაში კეთდება, რადგან სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის რთულია ხოლმე თავისი სახელით რეკლამის გაკეთება. უნივერსიტეტი არ ანიჭებს კრედიტებს თავის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კურსების ფარგლებში, თუმცა, დასრულების სერტიფიკატებს გასცემს, ჩაბარებული გამოცდის შედეგებიდან გამომდინარე. ცენტრს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ლიცენზია არ სჭირდება, რადგან ეს მხოლოდ პროფესიული კოლეჯებისთვის არის საჭირო, ხოლო კერძო მიმწოდებლებს და უნივერსიტეტებს ასეთი აკრედიტაცია არ მოეთხოვებათ. უნივერსიტეტში დანერგილია საკუთარი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ეს სამსახური უნივერსიტეტისგან ფინანსურ რესურსებს არ იღებს, ამიტომ მისი კომერციული პროგრამები უნივერსიტეტის თვითდაფინანსებადი ნაწილი გახდა. ყველა პროგრამა ფასიანია. სამწუხაროდ, დაბალშემოსავლიანი პირები, ვისაც პროფესიული განვითარების სურვილი აქვს, სწავლის საფასურის გადახდას ვერ ახერხებენ. მათ კურსებზე გაცილებით უფრო მეტი მოთხოვნაა, ვიდრე ამის დაკმაყოფილება არის შესაძლებელი. კურსები ხშირად მოთხოვნადი ხდება კანონმდებლობაში გატარებული ცვლილების შემდეგ, რამაც შეიძლება მოთხოვნა წარმოშვას ახალ უნარებზე, მაგალითად, სურსათის უვნებლობის სტანდარტების სფეროში. იმის მიუხედავად, რომ კომპანიებს ამგვარის სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი დასჭირდებათ, ისინი მაინც იშვიათად გამოხატავენ სურვილს, რომ ამგვარი კურსის საფასური გადაიხადონ.

ჩანართი 6: აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი)

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 53 წლის წინ დაარსდა, როგორც პედაგოგიური ინსტიტუტი. ამჟამად ის იმერეთის რეგიონში ყველაზე დიდი უნივერსიტეტია, რომელიც მასწავლებლების მომზადება-გადამზადებას უზრუნველყოფს, სადაც საგანმანათლებლო პროფესიას დაახლოებით ათასი სტუდენტი ეუფლება, 370 სკოლიდან. დეკანი სტუდენტებს მათი მოტივაციის და უნარების საფუძველზე ირჩევს. მონიტორინგის მიზნით, უნივერსიტეტი კითხვარს აგზავნის ტესტის დაწყებამდე და (პრეტესტი) და დასრულების შემდეგ (პოსტტესტი, რომლებიც მოტივაციის გასაზომად გამოიყენება. უნივერსიტეტში არსებობს „ტრენერთა ტრენინგის“ კურსი ზრდასრულთა

ტრენერებისთვის, სადაც წელიწადში 25 სტუდენტი სწავლობს. ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“ მხარს უჭერს კოლეჯის დირექტორების გადამზადებას ამ სფეროში. უნივერსიტეტი მსმენელებს ასევე სთავაზობს გრძელვადიან პროგრამას ძვირფასი ლითონებისა და ქვების სფეროში და ამ კურსით ბანკების თანამშრომლები და სესხის ოფიცრები არიან დაინტერესებულნი. ძვირფასი ლითონების კურსი ორი დონის სერტიფიკატს გასცემს, სპეციალური დანართით.

უნივერსიტეტი საბუღალტრო აღრიცხვის მოკლე ციკლის კურსებს სთავაზობს, რომელთა ხანგრძლივობაც რამდენიმე კვირიდან სამ თვემდეა და რაზეც მოთხოვნა მაღალია. ასევე შემოთავაზებულია მოკლე ციკლის მომზადება-გადამზადების კურსები შემდუღებლებისა და ამწის ოპერატორებისთვის, რომლებზეც მაღალი მოთხოვნაა შრომის ბაზარზე. ეს ძირითადად არსებული თანამშრომლების გადამზადებას მოიაზრებს. ასევე ხორციელდება გაყიდვების მართვის კურსი, რომელსაც ის კომპანიები აფინანსებენ, რომლებიც შემდეგ ამ კურსდამთავრებულებს ასაქმებენ. კურსის დასრულების შედეგად შესაბამისი სერტიფიკატი გაიცემა. უნივერსიტეტი გადამზადების მოდულებს ქმნის კომპანიების სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად და ახალ სილაბუსებს შეიმუშავებს გარე მოთხოვნების მიხედვით. ცენტრმა უნივერსიტეტის სილაბუსების „უნივერსალური დიზაინის“ კონკურსში გაიმარჯვა, ე.ი. სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგია, რომელსაც სხვა უნივერსიტეტებსაც გაუზიარებენ.

3.1.4. საზოგადოებრივ საქმეთა სკოლა

საზოგადოებრივ საქმეთა სკოლა საჯარო დაწესებულებაა, რომელიც 2005 წელს დაარსდა და 2006 წლიდან მოყოლებული ზრდასრულთა განათლების ორი ტიპის პროგრამას ახორციელებს: ქართული ენის სწავლება არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის, ასევე საჯარო მმართველობის პროგრამა საჯარო მოხელეებისთვის. სკოლა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობს.

სტუდენტებს სასწავლებელში ჩარიცხვა 16 წლიდან შეუძლიათ და ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, თუმცა ისინი ქვეყანაში კანონიერად უნდა ბინადრობდნენ. სკოლა უზრუნველყოფს როგორც დისტანციურ, ისე პირისპირ სწავლებას. ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა და წელიწადში 5,200 სტუდენტს აღწევს. ბევრი მსმენელი მოქმედი მასწავლებელია, ვისაც ქართული ენის უფრო მაღალ დონეზე დაუფლება სურს[47] (1,600), შემდეგ მოდიან აბიტურიენტები, სამხედრო მოსამსახურეები და საჯარო მოხელეები უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან. დაგეგმილია მსმენელთა რაოდენობის გაზრდა. 2022/2023 აკადემიურ წელს სკოლაში 92 მსმენელი ირიცხებოდა, შემდეგ კი ზედა ზღვარი 250 მსმენელამდე გაიზარდა 2023/2024 აკადემიურ წელს. სკოლას ასევე ცენტრალური მთავრობის თანამშრომლების გადამზადებაც შეუძლია, მაგრამ ვიდრე სამინისტროებს თავიანთ ბიუჯეტში სწავლების მიზნით სახსრები გამოყოფილი აქვთ, ისინი ხელმისაწვდომ რესურსს ამ მიზნით იშვიათად იყენებენ ხოლმე.

კურსები სრულად არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ თორმეტ სასწავლო ცენტრში. სახელმწიფოდან მიღებული ძირითადი დაფინანსების გარდა, სკოლა მსმენელებს ფასიან კურსებსაც სთავაზობს. მათ შორისაა 30 სხვადასხვა ტექნიკური ენის შემსწავლელი კურსი,

[47] შეფასებების მიხედვით (ტაბატაძე, შ., გორგოძე, ნ., 2015; სახელმწიფო სტრატეგია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის შესახებ 2021-2030), არაქართულენოვან სკოლების (აზერბაიჯანელი და სომეხი მოსწავლეების სკოლები) უმრავლესობის მასწავლებლებს სჭირდებათ სახელმწიფო ენის გადამზადება.

მაგ. ენა ინჟინრებისთვის. ასევე ხელმისაწვდომია კურსები სხვადასხვა თემაზე, როგორიცაა სკოლების მოვლა-პატრონობა. გასულ წელს სკოლამ საჯარო მოხელეთა ინტეგრაციის პროგრამა შეიმუშავა, რომელშიც 80 ტრენერი იყო ჩართული. ენის სწავლებასთან ერთად, ეს პროგრამა საჯარო მოხელეთა კარიერულ განვითარების საჭიროებებზეა მორგებული. ამ პროგრამის ფარგლებში სწავლება მთლიანად ქუთაისში მიმდინარეობს. ქართული ენის სწავლება ხდება როგორც რეგიონში, ასევე ქუთაისში. მსმენელები ქუთაისში სამჯერ ჩადიან. მათთვის უფასო კვება, ტრანსპორტი, წიგნები და სოციალური ღონისძიებებია გათვალისწინებული ქუთაისში. ბენეფიციართა რაოდენობა შედარებით დაბალია, პროგრამის მაღალი საფასურის გამო. ამ წელს მათ 30 ბენეფიციარი ეყოლებათ ორ ჯგუფში. სკოლა მსმენელებს ასევე სთავაზობს კურსს სახელმწიფო მმართველობაში, რომელიც ქუთაისში გაიმართება, მოთხოვნის შესაბამისად როგორც ფიზიკურ გარემოში, ასევე დისტანციურად. მუნიციპალიტეტებს თავიანთი ბიუჯეტიდან 1% აქვთ გამოყოფილი საკუთარი პერსონალის გადასამზადებლად. სამთავრობო დადგენილებით, ნებისმიერ მუნიციპალიტეტს შეუძლია შეისყიდოს მათი მომსახურება ტენდერის გარეშე. პროექტების მართვის კურსზე ერთი რეგიონის თერთმეტი მუნიციპალიტეტია ჩარიცხული. სკოლის მონაცემთა ბაზაში ბევრი ექსპერტია შეყვანილი და მათ კონკრეტული კურსის შეთავაზებაც შეუძლიათ, მოთხოვნის შესაბამისად, თითქმის ნებისმიერ ადმინისტრაციულ საკითხზე. ხშირ შემთხვევაში, ეს ექსპერტები საჯარო მოხელეები არიან, ვისაც მდიდარი გამოცდილება აქვს და კონკრეტულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაგალითად, ტრენერად მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება, კონკრეტული უცხო ენის ცოდნა, მაგისტრის ხარისხი კონკრეტულ საგანში და შიდა კავშირები. სკოლა UNHCR-ის მხარდაჭერით ახორციელებს პროგრამას იძულებით გადაადგილებული პირებისთვის და ასევე თანამშრომლობს World Vision-თან, UNESCO-სა და USAID-თან.

მასწავლებლებს ენის სწავლების სამწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეთ, ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლებაში. სკოლას საკმარისი რაოდენობით ქართული ენის მასწავლებლები არ ჰყავდა, ამიტომ 170-საათიანი კურსი შეიმუშავა ქართული ენის სწავლების საკითხზე, მეთოდოლოგიის თანხლებით, ეთნიკური უმცირესობებისთვის. მათ ტრენერებიც კი გადაამზადეს უშუალოდ ამ კურსისთვის.

3.2. კერძო სექტორი

3.2.1. კომპანიები რომლებიც საკუთარ თანამშრომლებს უზრუნველყოფენ ტრენინგებით

კომპანიებს საკუთარ პერსონალის გადამზადება კომპანიის შენობაში/ტერიტორიაზე შეუძლიათ - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სახით, კომპანიის შენობის/ტერიტორიის გარეთ მდებარე საკუთარ სასწავლო ცენტრებში. ასევე შესაძლებელია თანამშრომლებს გაგზავნა სხვა ტიპის სასწავლო ორგანიზაციებში, როგორც ზემოთ იყო აღწერილი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლევის მიხედვით, გამოკითხული კომპანიების 8%-მა უზრუნველყო გადამზადება საკუთარი თანამშრომლებისთვის (Pfanzelt et al., 2021). საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (GCCI) ტრენერთა ტრენინგის პროგრამას ახორციელებს და დღემდე 80-მდე კომპანიამ გაიარა ეს ტრენინგი, რათა მათ სამუშაოზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამების მიწოდება შეძლონ თავიანთი თანამშრომლებისთვის. ეს სასწავლო პროგრამა

შემუშავებულია გერმანული მიდგომის მიხედვით ზრდასრულთა განათლებისადმი, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მხარდასაჭერად. თუმცა, სამუშაო ძალის კვლევა მიუთითებს, რომ ყველა დასაქმებულთა მხოლოდ 0.06%-მა გაიარა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება 2000 წელს, რაც მიუთითებს, რომ ამ ტიპის ტრენინგის უმეტესობა კომპანიების ობიექტების გარეთ იმართება, საგანმანათლებლო დაწესებულებში.

მიუხედავად ამისა, ბევრი კომპანია აცხადებს, რომ მათი თანამშრომლების ჩარიცხვა/დაშვება ოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზედმეტად ბიუროკრატიული პროცესია. ამიტომ ისინი თავს იკავებენ თავიანთი თანამშრომლების პროფესიული განათლების კოლეჯებში გაგზავნისაგან და ურჩევნიათ, რომ საკუთარი სასწავლო ცენტრები თავად შექმნან[48]. აღნიშნულის მაგალითებია: კონსტრუქტ2 პროფესიული გადამზადების კოლეჯი, კომპანია ენერგოპრო, ნატალიას აკადემია (კოსმეტიკა), ყველა მათგანი დაარსებულია ოფიციალური ავტორიზაციის საფუძველზე. სხვა კომპანიებმა შექმნეს საკუთარი სასწავლო ცენტრები, როგორიცაა შპს „საუნდ დიზაინ სტუდიო“-ს (Sound Design Studio) მიერ დაარსებული სასწავლო აკადემია, რომელმაც გახსნა ტრენინგ ცენტრი როგორც თანამშრომლებისთვის, ასევე სხვა პირებისთვის (იხ. ჩანართი 7).

მთავარ გამოწვევად რჩება მეტი პარტნიორობის ხელშეწყობა პროფესიული განათლების კოლეჯებსა და ბიზნეს სექტორს შორის. ამჟამად, ამგვარი თანამშრომლობა ეფექტურად არ მუშაობს ნაწილობრივ იმიტომ, რომ როგორც დამსაქმებლებს, ასევე კოლეჯებს სურთ, რომ საგანმანათლებლო აქტივობები თავად გააკონტროლონ და მართონ.

ჩანართი 7: „საუნდ დიზაინ სტუდიო“ (თბილისი)

ტექნოლოგიური სექტორის კომპანიის მაგალითი, რომელიც საკუთარი თანამშრომლების გადამზადებას თვითონ უზრუნველყოფს, არის შპს „საუნდ დიზაინი“, სტარტაფ ტექნოლოგიური კომპანია, რომელიც სწრაფად გაფართოვდა კინოინდუსტრიაში. კომპანია უახლეს ტექნოლოგიას იყენებს ფილმებისთვის საუნდტრეკების დასამზადებლად. ხმის ინჟინრების, ფოლი არტისტებისა და საუნდტრეკის კომპოზიტორებისთვის ტრენინგის არარსებობის გამო, სხვა სპეციალობებთან ერთად, აღნიშნულმა კომპანიამ საკუთარი გადამზადების აკადემია შექმნა, რომელიც პერსონალს ამზადებს არა მხოლოდ საკუთარი კომპანიისთვის, არამედ მთლიანად საქართველოში განვითარებადი ინდუსტრიისთვის. კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმებას სატელევიზიო და კინოინდუსტრიაში, სარეკლამო ინდუსტრიაში და კომპანიებში, რომლებსაც სურთ შექმნან ვიდეო კლიპები თავიანთი ვებსაიტებისთვის და ა.შ.

3.2.2. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ზრდასრულთა სწავლების კურსებს სთავაზობენ

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN) 2014 წელს დაარსდა DVVI-ს მიერ ზრდასრულთა განათლების ცენტრებთან თანამშრომლობით (იხ. 2.5.3), ზრდასრულთა განათლების მიმწოდებლების მხარდასაჭერად და მათი სახელით ადვოკატირებისათვის. ქსელი სასწავლო მასალებს ამზადებს სასწავლო სესიებისა და სემინარებისათვის რათა ხელი შეუწყოს მისი წევრი ორგანიზაციების პროფესიონალურ

[48] ინტერვიუ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან

განვითარებას[49]. ზრდასრულთა განათლების ასოციაციამ, რომელიც 2009 წელს დაარსდა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ეროვნული სტრატეგია შეიმუშავა; თუმცა, ის არ იქნა დამტკიცებული მთავრობის მიერ (Pfanzelt et al., 2021).

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (GCCI)[50] წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის კორპორაციაა, რომელიც აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატებს და აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატებს, ასევე ოფიციალურად რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტებს და ასოციაციებს აერთიანებს. კანონის თანახმად, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ვალდებულია, რომ ბიზნეს სუბიექტების პროფესიული განათლების დონე და კვალიფიკაცია გაუმჯობესოს, ასევე სხვადასხვა სახის ტრენინგები გამართოს. ამჟამად ის მინიმუმ 1000 სასწავლო ადგილს უზრუნველყოფს არაფორმალურ მოკლე ციკლის კურსებზე ისეთ საგნებში, როგორიცაა ფინანსები, კომპანიების საჭიროებიდან გამომდინარე. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ასევე ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურებას უწევს კომპანიებს, რათა მათ მუშახელის მოკლევადიანი ტრენინგისა და გადამზადების პროგრამების შემუშავებაში დაეხმაროს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არასამთავრობო ორგანიზაცია ზრდასრულთა განათლების სერვისებში არის საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), რომელიც ფერმერებისათვის მოკლე ციკლის არაფორმალური მომზადების და გადამზადების პროგრამებს უზრუნველყოფს. ასოციაცია 2012 წელს დაარსდა, როგორც არაკომერციული, არამომგებიანი იურიდიული პირი. ამჟამად ის 4000-მდე ფერმერს აერთიანებს მთელი საქართველოს მასშტაბით და თანამშრომლობს 16 როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო პროფესიული განათლების კოლეჯთან. ამას გარდა, ასოციაცია პროფესიული გადამზადების პროექტს ახორციელებს პატიმრების, ყოფილი პატიმრების, პრობაციონერების და მათი ოჯახების დასაქმების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის უნარებში მათი შემოსავლის მხარდაჭერისა და რეაბილიტაციისთვის. ამგვარ არაფორმალურ სასწავლო პროგრამებს შორის იყო სათბურების მოწყობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ბევრმა ყოფილმა პატიმარმა გათავისუფლების შემდეგ ყვავილების წარმოების და გაყიდვის საკუთარი ბიზნესი დაიწყო, რაც მათ რეაბილიტაციაში ეხმარება. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ასევე გაეროს განვითარების პროგრამასა და შვეიცარიის დახმარების სააგენტოსთან თანამშრომლობდა პროფესიული განათლების ახალი მოდელის განსახორციელებლად, სხვადასხვა სოფლის მეურნეობის ტრენინგ პროგრამის ფარგლებში.

ჩანართი 8: საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია (რუსთავი)

ასოციაცია 1990-იან წლებში დაარსდა ადგილობრივი ცემენტის, ქიმიური და მეტალურგიული ქარხნების დახურვის საპასუხოდ და ტრენინგებს მართავს პროექტის მენეჯმენტში, პრეზენტაციის უნარ-ჩვევებში, პროექტების წერაში, რობოტიკასა და კოდირებაში. მისი ყოველწლიური საზაფხულო სკოლა ისეთ საგნებს მოიცავს, როგორიცაა CV-ის მომზადება, კრიტიკული აზროვნება, წიგნიერება, პრეზენტაციის უნარები და უცხო ენები. კურსები ათ კაცამდე მცირე ჯგუფებისთვის ტარდება. მისი პროგრამები

[49] 2021 წელს მის ვებ გვერდზე იდო ინფორმაცია 241 სასწავლო პროვაიდერი ორგანიზაციის და 2,496 კურსის თაობაზე (Pfanzelt et al., 2021).

[50] უნარების სააგენტოს თანადამფუძნებელი.

აკრედიტებული არ არის, რადგან ისეთი ყოველდღიური უნარების გაუმჯობესებას ეხება, რისთვისაც აკრედიტაცია არ მოითხოვება. ასოციაცია ასევე დიდ სასწავლო პროგრამას ახორციელებს მანქანების შეკეთების თემაზე. ბევრ ადგილობრივ მეწარმეს მანქანები ამერიკიდან შემოჰყავს და მათ რუსეთში ან ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში ყიდის. რუსთავი ამ ბიზნესის ცენტრია და ადგილობრივ მოსახლეობას აუქციონებში მონაწილეობისა და მანქანების შეკეთების უნარები სჭირდება. მსმენელები მიიჩნევენ, რომ ეს კარგი ინვესტიციაა.[51]

3.2.3. კერძო კომპანიები რომლებიც ზრდასრულთა სწავლების კურსებს სთავაზობენ

კერძო სექტორი ზრდასრულთა მომზადების და გადამზადების შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. თუმცა, ადგილების შეზღუდული რაოდენობის გამო, ზრდასრული მონაწილეების მოთხოვნა სასწავლო ადგილებზე მიწოდებას აღემატება. ტრენინგის პროვაიდერთა ჯგუფი მთავრობის დადგენილებით გაფართოვდა, რომელიც სერვისის მიწოდების ავტორიზაციას აძლევს კერძო საწარმოებსა და სხვა არაფორმალურ პროვაიდერებს შესაბამისი დოკუმენტაციის მიღების საფუძველზე.[52] სხვადასხვა კერძო კომპანია ახლა ტრენინგებს მართავს საზოგადოებისთვის, მათ შორის ზრდასრულებისათვის. ისინი მოკლევადიან ტრენინგებს უზრუნველყოფენ კომერციულ საფუძველზე. IT სფეროში სწავლების მაგალითია კომპანია სქილვილი, რომელიც ტრენინგებს თბილისისა და ქუთაისის ოფისების მეშვეობით მართავს.

კერძო კომპანიის კიდევ ერთი მაგალითი რომელიც ზრდასრულების გადამზადებას უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო სექტორში, არის შპს „კატალისი“, რომელიც დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა ტრენინგებს აორგანიზებს, მაგ. 13 მოკლე ციკლის კურსი მონაწილე ფერმერებისთვის, ასევე რამდენიმე მიკრო კურსი (ერთდღიანი ან უფრო მოკლე კურსები). მათ საკუთარი პროგრამები შეიმუშავეს ფერმერების მოსამზადებლად ბოსტნეულის პროდუქტების მოყვანაში და ვენახებისა და ხეხილის ბაღების განვითარებაში მარწყვისა და ჟოლოს კულტურებისთვის. კომპანია ასევე აწყობს ტრენინგს ევროკავშირის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რეგულაციების შესახებ, რადგან ისინი პესტიციდებს ეხება. ტრენინგს ძირითადად მცირე ფერმერები ესწრებიან, რომელთა ნაწილი თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან, ვისაც საკუთარი ჟოლოს მეურნეობის შექმნა სურთ. სხვებს პროფესიული განათლება, ან მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ. უმეტესობა უკვე თავის ფერმაში მუშაობს, ან შესაძლოა ამჟამად დასაქმებული იყოს. მონაწილეთა ასაკობრივი დიაპაზონი 30-55 წელია. მათი მოზიდვა / რეკრუტირება ინფორმაციის ხალხში გავრცელების შედეგად ხდება. კურსები პოპულარულია, რადგან წინარე მატერიალური ტექნიკური უნარ-ჩვევები არ არის საჭირო (ჟოლოს მოყვანა შესაძლებელია მცირე კერძო მიწის ნაკვეთებზეც კი), მონაწილეობა უფასოა, ისევე როგორც ტრენინგში გამოყენებული სახარჯი მასალები (პესტიციდები). ტრენინგის ხარჯებს სახელმწიფო ფარავს, თუმცა ბოლო დროს კომპანიამ თავისი წვლილიც შეიტანა. ტრენინგს ატარებს უმაღლესი განათლების და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ორი

[51] ინტერვიუ საგანმანათლებლო ინიციატივების ქართულ ასოციაციასთან.

[52] №131 დადგენილება „მოკლევადიანი პროფესიული მომზადების/გადამზადების კურსების განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურების და სწავლების მიმწოდებლად აღიარების წესებისა და პირობების შესახებ“. დადგენილებაში ნათქვამია, რომ მოკლევადიანი პროფესიული კურსები შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი იურიდიული პირის მიერ, თუ ისინი ხარისხის სტანდარტებს აკმაყოფილებს (Pfanzelt et al., 2021).

კონტრაქტორი და ასევე ტრენერები ადგილობრივი ფერმებიდან, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ გამოსაყენებელ პესტიციდებს. ტრენინგის მხარდასაჭერად საქართველოში ევროპელი პარტნიორი ინსტიტუტების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ (მაგალითად, კომპანია დელტა) და ორგანიზება გაუკეთდა სტუდენტების გაცვლას.

3.3. საჯარო სექტორი

ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და უზრუნველყოფის სფეროში რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულება აქტიურობს. ადგილობრივი და ეროვნული დონის სახელმწიფო ორგანოებს შორისაა ადგილობრივი ხელისუფლება, სამინისტროები და სამთავრობო უწყებებს. ისინი ზრდასრულთა განათლებასთან დაკავშირებით თავიანთი საქმიანობის პროგრამებს შეიმუშავებენ და ზოგჯერ კონტრაქტის საფუძველზე ქირაობენ სხვადასხვა საჯარო და კერძო პროვაიდერებს ზრდასრულთა გადამზადების მიზნით (როგორიცაა პროფესიული განათლების კოლეჯები ან უნივერსიტეტები). ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ზრდასრულთა განათლების სერვისებს უშუალოდ საკუთარი დაწესებულებების მეშვეობით აწვდიან (როგორიცაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი განათლების ცენტრი - იხ. 2.3.4.4.).

3.3.1. შრომის და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და გადაკვალიფიცირება „შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის“ მნიშვნელოვანი მიზანია. დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი მხარს უჭერს ამ მიზანს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს (SESA, 2020 წლიდან) საქმიანობის გზით, სამუშაოს მაძიებელთა მოკლევადიანი პროფესიული სწავლებისა და გადამზადების პროგრამების დაფინანსებით, რომლებიც ავტორიზებული პროფესიული განათლების ან მომზადების და გადამზადების პროგრამის პროვაიდერების მიერ იმართება. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო თავის მომსახურებას უწევს სამუშაოს მაძიებლებს და დამსაქმებლებს, დასაქმების ხელშეწყობის შესახებ კანონის შესაბამისად. ის მხარს უჭერს პროფესიულ სწავლებას, სტაჟირებას, კარიერულ ხელმძღვანელობას, საშუამავლო და საზოგადოებრივ სამუშაოებს. უნარების სააგენტოსგან განსხვავებით, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო თავის მხარდაჭერას კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე მიმართავს, როგორცაა სამუშაოს მაძიებლები, რაც ზრდასრულთა სწავლის შესაძლებლობებს უზრუნველყოფს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP)[53] მეშვეობით. სამუშაოს მაძიებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი დასაქმებული ან უმუშევარი პირი, ვისაც ახალი სამუშაოს პოვნა ან პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება სურს. მხარდაჭერის მისაღებად ისინი უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები საპენსიო ასაკამდე (ქალები 60, მამაკაცები 65). დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს პროგრამები თანაბრად არის გადანაწილებული ახალგაზრდებსა და ზრდასრულ მონაწილეებზე და სწავლის სხვადასხვა სფეროს მოიცავს, როგორიცაა სკოლამდელი განათლება, სოციალური ზრუნვა, ტურიზმი, კულინარია, IT პროგრამები და სხვა.

[53] ETF (2023). *ტურინის პროცესის სისტემის მონიტორინგის ანგარიში: საქართველო, ტურინი: ევროპის სასწავლო ფონდი.*

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ ასევე გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი თავდაცვის სამინისტროსთან, დემობილიზებული ჯარისკაცების გადამზადების მიზნით.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს აქვს საველე ოფისები ცხრა რეგიონში, სადაც დასაქმებულია სრულ განაკვეთზე კონსულტანტები, რომლებიც სამუშაოს მაძიებლებს დასაქმების სერვისებს სთავაზობენ.[54] გარდა ამისა, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებს შეუძლიათ აგრეთვე უზრუნველყონ მუნიციპალურ დონეზე საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამასთან (ერთ-ერთი ALMP ღონისძიება) არასრულ განაკვეთზე მომსახურება. ყველაზე მეტად იმ ქალაქების მაცხოვრებლები სარგებლობენ, სადაც სერვისებია განლაგებული და ამიტომ, მისი მოქმედების გასაფართოებლად, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო გეგმავს, რომ სრულ განაკვეთზე კონსულტანტების მომსახურება კიდევ 20 მუნიციპალიტეტსა და თბილისის ოთხ რაიონში გახადოს ხელმისაწვდომი.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვისის მოდელი ყოველწლიურად ახლდება, ახალი ამოცანების დანერგვით. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ტრენინგის ეფექტურობას ამოწმებს, რათა მტკიცებულებები შეაგროვოს იმის შესახებ, თუ რა მუშაობს და რა არა. მთავარი დასკვნა ის გახლავთ, რომ ტრენინგი ნაკლებად ეფექტური იქნება სამუშაოს მაძიებელთა მოტივაციის გარეშე. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ასევე ახორციელებს დამსაქმებელთა საკუთარ გამოკითხვას, ხოლო ინფორმაციის კიდევ ერთი ძირითადი წყაროა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მართული LMIS პროგრამა და საქართველოს სტატისტიკის სამსახურის სამუშაო ძალის კვლევა. ის ყველაზე მოთხოვნადი სექტორების ჩამონათვალს ადგენს და ამ ნუსხას პროფესიული განათლების კოლეჯებს, უნარების სააგენტოს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აწვდის. სამომავლოდ, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ასევე უნარების პროგნოზირების კვლევას გეგმავს. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს აქვს გაიდლაინები და სახელმძღვანელოები პროფილირებისა და კარიერული ხელმძღვანელობის კონსულტაციებისთვის, რომლებიც ახლახან განახლდა.

3.3.2. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედი უწყებაა. მისი მთავარი მიზანია გაზარდოს მცირე ბიზნესის სტარტაფების მაჩვენებელი და ქვეყნის ინოვაციური ეკოსისტემა. ის მხარს უჭერს კვლევებს ხელოვნური ინტელექტის, ბაქტერიოფაგების (როგორც ანტიბიოტიკების ალტერნატივის) და სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესახებ. ამ უკანასკნელისთვის საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო მიზნად ისახავს გაზარდოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობის ბიზნესების მიერ. სასწავლო პროგრამა სახელწოდებით „Do It In Georgia“ ტექნოლოგიურ კომპანიებს განათლების და უნარების განვითარების შესაძლებლობით უზრუნველყოფს. ვებ პორტალი ხელმისაწვდომია ტრენინგის ყველა პროვაიდერისთვის, რათა მათ თავიანთი ინფორმაცია ატვირთონ. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო წელიწადში ორ

[54] კონსულტანტები იყენებენ 2014 წელს დაარსებულ „Worknet“ შრომის ბაზრის ონლაინ მართვის სისტემას, რომელიც ამჟამად განახლებულია ახალ სისტემაზე სახელწოდებით „New Worknet“.

განაცხადს აკეთებს და ტრენინგს აფინანსებს წარმატებული განმცხადებლებისათვის. გარდა ამისა, სააგენტოს ჩატარებული აქვს ტრენინგი 1000 IT სპეციალისტისთვის მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, დატრენინგებული ყავს 3000 IT სპეციალისტი Google-ისა და Amazon-ის საერთაშორისო IT სერტიფიკატებით, ასევე დაორგანიზებული აქვს ტრენინგი 120 IT კომპანიისთვის საკუთარი პროგრამების ფარგლებში და 300 IT სპეციალისტისთვის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დასაქმების პროგრამაში. ის ასევე უზრუნველყოფს საზოგადოების გადამზადებას IT და ციფრული უნარების საკითხებში, რომელთა შორისაა ტრენინგები ინოვაციების მენეჯმენტში, IT პროექტების მართვაში და კურსები პროგრამირების სხვადასხვა ენაზე.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ძლიერი კავშირები აქვს უნივერსიტეტებთან, რომელთანაც მიზნად ისახავს შექმნას სამამდე „კატაპულტის ქსელი“[55]. „სტარტაპ საქართველო“ პროგრამის მეშვეობით საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო მიზნად ისახავს ოთხი „ინოვაციის აქსელერატორის“ შექმნას, რომელთაგან ერთი უკვე დაარსებულია. ამ აქსელერატორებში ისინი ერთწლიან ტრენინგს და მხარდაჭერის პროგრამას შესთავაზებენ 160 სტარტაპ ბიზნესს, რათა მათ ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე მოქმედების შესაძლებლობა მიეცეთ. გარდა ამისა, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო მხარს უჭერს ინოვაციურ საწარმოებსა და დამწყებ მეწარმეებს საკუთარი საწარმოო კაპიტალის ფონდის მეშვეობით და მხარს უჭერს ინოვაციურ დამწყებ ბიზნესს საგრანტო პროგრამის მეშვეობით, გრანტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მოკლე ტრენინგ კურსებს ერთი ან ორი კვირის განმავლობაში. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ ასევე სპეციალური საგადასახადო რეჟიმი დააწესა დამწყები კომპანიებისთვის, რომლებიც 10-წლიან საგადასახადო შვებულებას იღებენ, რაც მათ მოგების 15%-იანი და 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის გადახდის მოთხოვნისაგან ათავისუფლებს. ცალკე პროგრამის მეშვეობით საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო 30%-იან სუბსიდიას აძლევს იმ კომპანიებს, რომლებიც ინვესტირებას დებენ კვლევასა და განვითარებაში.

3.3.3. სოფლის მეურნეობის სამინისტრო: გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი განათლების ცენტრი ზრდასრულებს ფორმალურ და არაფორმალურ ტრენინგ კურსებს სთავაზობს გარემოს დაცვის, მწვანე უნარების და სოფლის მეურნეობის საგნებში. ასევე ხელმისაწვდომია ტრენინგი სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლებისთვის. მწვანე და აგრო-სტიპენდიები გათვალისწინებულია პროფესიული განათლების, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. ტრენინგი სამინისტროს თანამშრომლებისთვის, მუნიციპალიტეტების, მედია ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის იმართება. მოკლევადიანი სასწავლო და გადამზადების პროგრამები

[55] კატაპულტები არის ორგანიზაციები, რომლებიც კვლევის პრაქტიკაში გამოყენების დასაჩქარებლად და ახალი ტექნოლოგიების შემდგომი განვითარების მიზნით შეიქმნა, რათა მოხდეს მათი მასშტაბის გაფართოება და პრაქტიკაში გამოყენება. ისინი ბიზნესისთვის წვდომას უზრუნველყოფენ მათ გამოცდილებასა და შესაძლებლობებზე, რაც მათ საშუალებას აძლევს შეამოწმონ, წარმოაჩინონ და გაუმჯობესონ თავიანთი იდეები. კატაპულტები მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესებთან, უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით ფუნქციონირებენ, რათა მათ ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესებაში ხელი შეუწყონ.

გათვალისწინებულია უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით. მასწავლებლები კურსებს პროფესიული განვითარების პროგრამის მიხედვით ესწრებიან.

კურსები ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტების შესაბამისად იგეგმება. კურსები გარემოსდაცვით თემებზე და ნარჩენების მართვაზე რამდენიმე საათიდან სამ თვემდე გრძელდება. ტრენინგები ისეთ საკითხებს ეხება, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობის და ვეტერინარიის სფეროში. ზოგიერთი კურსის მიმწოდებელია პროფესიული განათლების კოლეჯები და უნივერსიტეტები, სადაც სოფლის მეურნეობის და გარემოსდაცვითი პროგრამები ისწავლება. ცენტრი თავად გთავაზობთ სამ მოკლევადიან ტრენინგ კურსს. გარემოსდაცვითი მენეჯერის კურსი უფასოა, ისევე როგორც ტყის მართვის კურსი. კურსების უმეტესობა მუნიციპალურ სამთავრობო უწყებებში ან სხვადასხვა უწყების რეგიონულ ოფისებში, ან მუნიციპალურ შენობებში ტარდება, უფასოდ.

ცენტრს 7,000-მდე მსმენელი ჰყავს, რომელთაგან დაახლოებით ნახევარი ზრდასრულია (მათ შორის სკოლის მასწავლებლები და ფერმერები). კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე სკოლის მასწავლებლების ტრენინგი 20-საათიანი სასწავლო კურსის მეშვეობით იმართება. ეს კურსები დისტანციურად არის ორგანიზებული, საღამოს საათებში. ცენტრი ტრენინგს ახორციელებს საბავშვო ბაღის მასწავლებლებისთვის ადგილზე. ფერმერები თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას პირისპირ ან ონლაინ ვებინარების მეშვეობით იღებენ. ბევრი მონაწილე ფერმერია, ვისაც კარტოფილის ან მარწყვის მეურნეობა აქვს.

გარემოსდაცვითი განათლების ცენტრს გადამზადებული ტრენერების გუნდები ჰყავს. სკოლის პროგრამისთვის 12 ტრენერია გამოყოფილი; სკოლამდელი პროგრამისთვის - ოთხი. ზოგჯერ, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს ქირაობენ, ან საგანმანათლებლო განყოფილების თანამშრომლებს სთხოვენ დახმარებას. მათ ასევე აქვთ პროგრამები პროფესიული კოლეჯებისათვის.

3.3.4. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო: აწარმოე საქართველოში

„აწარმოე საქართველოში“ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და საექსპორტო ბიზნესის ხელშეწყობაზეა პასუხისმგებელი და ახორციელებს პროგრამას „ინვესტირება საქართველოში“ (INVEST IN GEORGIA) ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. „აწარმოე საქართველოში“ მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების თანადაფინანსებას და ფინანსური უზრუნველყოფის გარანტიებს გასცემს. 2019 წელს „აწარმოე საქართველოს“ სტრუქტურაში 55 ადამიანი იყო დასაქმებული, რომელთა რაოდენობა ახლა 120-მდე გაიზარდა და კიდევ უფრო ფართოვდება დამატებითი რეგიონული ოფისებით. მცირე ბიზნესის განვითარების მთავარი დაბრკოლება ფინანსებისა და ტექნიკური ცოდნის ხელმისაწვდომობაა ბიზნესის წარმართვის შესახებ. სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ სამი რეგიონული ცენტრი დააარსა „ზრდის ჰაბების“ სახით; ისინი კომპანიების წინაშე არსებული ძირითადი საკითხების დიაგნოსტირებას ახორციელებენ, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამა კომპანიების ინდივიდუალურ საკონსულტაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს. „აწარმოე საქართველოში“ კომპანიების ინდივიდუალურ

შეფასებას აკეთებს მათი საექსპორტო მზაობის შესახებ, ასევე საშუამავლო მომსახურებას და სავაჭრო გამოფენას აორგანიზებს საზღვარგარეთ, მაგალითად, აშშ-ში. ასევე შეიქმნა პლატფორმა (TradewithGeorgia.com), რომელზეც 900 კომპანიაა რეგისტრირებული. ტიპურ საექსპორტო პროდუქტებს შორისაა ხილი და სასმელები, ტანსაცმელი და მოდა, ხოლო ახალი განვითარებადი სექტორებია სათამაშოები, შინაური ცხოველების საკვები და შესაფუთი მასალები. პლატფორმის საშუალებით იგზავნება განცხადებები გამოცხადებული სასწავლო პროგრამების შესახებ. „აწარმოე საქართველოში“ გრანტებს გასცემს შეფუთვის გაუმჯობესების კურსის ონლაინ და ოფლაინ ტრენინგზე 10 სხვადასხვა მოდულით. თითო ჯგუფში 25 მონაწილეა და წელიწადში ექსპორტის სერტიფიცირებული მენეჯერი 100 ადამიანი ხდება. ტრენინგის ღირებულებაა 90 აშშ დოლარი ერთ ადამიანზე, ესაა მონაწილეობის საფასური და კურსის დასრულების შედეგად მსმენელი ექსპორტის საკითხებში მრჩევლის სერტიფიკატს იღებს. ტრენინგს უნივერსიტეტები ატარებენ.

„ინვესტირება საქართველოში“ მიზნად ირჩევს განვითარებად ახალ სექტორებს, როგორიცაა IT სექტორი, ბიზნეს აუთსორსინგის სექტორი, სტუმარ-მასპინძლობის და ტურიზმის ტრადიციული სექტორები, ლოჯისტიკა და ახალი სექტორები, როგორიცაა საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის მთავარ დაბრკოლებას კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი წარმოადგენს. უფრო მაღალკვალიფიციური მუშახელის არსებობის პირობებში, მულტი ნაციონალური კორპორაციები ყველა ხელმისაწვდომ პირს დაიქირავებდა. ბიზნეს პროცესის აუთსორსინგის მიმართულებით 5000-მდე სამუშაო ადგილი უკვე შეიქმნა გერმანული ენის გამოყენებით. საჭიროა მეტი გერმანულენოვანი აუთსორსინგის ოფიცერი, მაგრამ ქვეყანა მათ ვერ უზრუნველყოფს ამ საგანში სასწავლო შესაძლებლობების ნაკლებობის გამო. IT სპეციალისტების მხრივ უნარები მცირეა და ამ სფეროში დამატებითი გადამზადება არის საჭირო. საქართველოში 150-მდე საერთაშორისო IT კომპანიაა დაფუძნებული, რომელთაგან ბევრმა დაიწყო საკუთარი კადრების მომზადება.

3.3.5. ადგილობრივი ხელისუფლება

ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია, რომ თავის მოსახლეობას პროგრამები შესთავაზოს. თუმცა, ბევრი მათგანი მომზადების და გადამზადების პროგრამებს არ აფინანსებს. უნარების სააგენტოს მიერ 2022 წელს შესრულებულ კვლევაში მხოლოდ ბათუმის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა მიუთითეს,[56] რომ ისინი მომზადება-გადამზადების პროგრამებს აფინანსებდნენ, ან თანადაფინანსებას უწევდნენ რაიმე სახის პროფესიულ განათლებას. ასევე, ძალიან ცოტა მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ტრანსპორტირებას და განთავსებასის.

ჩანართი 1: თბილისის მერია

თბილისის მერიას აქვს სასწავლო პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“ (www.dasakmdi.ge). ეს პროგრამა რეზიდენტებს პროფესიულ მომზადებას და გადამზადებას სთავაზობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების მოკლევადიანი კურსების საშუალებით. პროგრამა,

[56] გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ ფორმატში და უნარების სააგენტოს პერსონალი მუშაობდა ტელეფონით, რათა უზრუნველყოფილიყო შევსებული ფორმების დროული წარდგენა. თუმცა, კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებელი მხოლოდ 50%-ზე ოდნავ მეტი იყო. თბილისის მუნიციპალიტეტი არ მონაწილეობდა.

რომელიც უკვე სამი წელია გრძელდება, ასევე უზრუნველყოფს დასაქმებას კერძო სექტორის თანამშრომლობით. ეს კურსები უფასოა ბინადრობის უფლების მქონე ადამიანებისთვის, ისინი წამყვან საზოგადოებრივ და კერძო პროფესიულ კოლეჯებში იმართება და შექმნილია კოლეჯების მიერ. მუნიციპალიტეტს ასევე აქვს კარგი კავშირები ტრენინგების კერძო პროვაიდერებთან, რომლებსაც შეუძლიათ არაფორმალური კურსები შესთავაზონ, რომლებიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებას არ საჭიროებს.

ბენეფიციარების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმია საქართველოს მოქალაქეობა, თბილისში ბინადრობა და ასაკი მინიმუმ 18 წელი. კურსები 3-დან 7 თვემდე გრძელდება და როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას მოიცავს, რომელიც შეიძლება დისტანციურად ან ფიზიკურ გარემოში ჩატარდეს. მათთვის, ვინც უპირატესობას ონლაინ კურსებს ანიჭებს, მაგრამ ლექციებზე დისტანციურად დასასწრებად ცალკე ადგილი სჭირდება, მერია უფასო სამუშაო სივრცეებს უზრუნველყოფს ახლად რეაბილიტირებულ მრავალ-ფუნქციურ ბიბლიოთეკებში სასწავლო პროგრამის მთელი ვადის განმავლობაში.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს 60 სპეციალობაში სთავაზობენ მომზადებას ან გადამზადებას, მათ შორის, ისეთ სფეროებში, როგორიცაა მშენებლობა, ინჟინერია, კვების ტექნოლოგია, ტურიზმი, მომსახურება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, დიზაინი, ტრანსპორტი, ფინანსები, ჯანდაცვა და ვეტერინარია. მოცემულ კურსებზე ამჟამად 1,000-ზე მეტი ბინადრობის მქონე პირია დარეგისტრირებული. პროექტის შედეგად, პროგრამის ფარგლებში თბილისში რეგისტრირებული 18 წლის და უფროსი ასაკის 10,000-მდე მოქალაქე გადამზადდა. მათი 70%-ზე მეტი ამჟამად დასაქმებულია. 2023 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, დღემდე აღნიშნულ კურსებს 3,617 მოქალაქე დაესწრო, მათგან 2,044 ქალია და 1,573 მამაკაცი[57]. პრიორიტეტულ ჯგუფებში შედის სოციალურად დაუცველი ჯგუფები, ანუ სოციალური შემწეობის მიმღები პირები, დედები, ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. სტაჟიორთა უმეტესობა 14-29 წლის ახალგაზრდებია, დანარჩენები კი ძირითადად 45 წლამდე ასაკის ადამიანები არიან.

პროგრამის უპირატესობად ითვლება მისი მოქნილობა და ფოკუსირება პროფესიის პრაქტიკულ ასპექტსა და მრავალფეროვნებაზე. თუმცა, მთავარი ფაქტორი, რომელიც პროგრამის წარმატებას განაპირობებს, არის აქტიური კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, ბიზნეს სექტორსა და სამუშაო ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინება. პროგრამის გაფართოების ხეშემშლელი ფაქტორი ძირითადად დაფინანსებაა. IT კურსების კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა ძალიან დიდია, ისევე როგორც სამშენებლო სფეროს მუშახელზე.

სამომავლოდ კურსების მრავალფეროვნებისა და დაფინანსების მოცულობის გაზრდა იგეგმება. ამჟამად ფართომასშტაბიანი კვლევითი პროექტი მიმდინარეობს, რომლის მიზანია კურსების მიმართ ყოფილი ბენეფიციარების დამოკიდებულების შეფასება და ამ ტიპის ტრენინგის მიმართ ფართო მოსახლეობის დამოკიდებულებების გაგება, მათი სასურველი ვარიანტების გამოსავლენად. ეს კვლევა მერიას საშუალებას მისცემს, რომ მომავალში კურსების ხარისხი გააუმჯობესოს.

3.3.6. სხვა საჯარო ორგანოები

ფინანსთა სამინისტროს აკადემია (ფინანსთა სამინისტრო) საზოგადოებისთვის ტრენინგებს აორგანიზებს ფინანსების, მენეჯმენტისა და სამართლის მიმართულებით.

[57] მიმოწერა თბილისის მუნიციპალიტეტთან, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურთან. წერილი უნარების სააგენტოს #19-01242043196 22.07.2024.

ასევე ხელმისაწვდომია ზრდასრულთა მომზადება პრეზენტაციის უნარებში, ემოციურ ინტელექტში, გენდერულ თანასწორობასა და IT უნარებში. აკადემიას ორგანიზებული აქვს ტრენინგები მეწარმე ქალებს ფინანსური წიგნიერების შესახებ, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პარტნიორობით (Pfanzelt et al., 2021). იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი ტრენინგებს უტარებს საკუთარ პერსონალს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლებს მათი პროფესიული განვითარებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას უზრუნველყოფს. სასწავლო კურსებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ პატიმართა და პირობით გათავისუფლებულთათვის სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი (იუსტიციის სამინისტრო) ახორციელებს, მაგრამ ეს ძირითადად არაფორმალური ტრენინგებია, რომელიც პროფესიული განათლების დაწესებულებებთან თანამშრომლობით იმართება.

პროვაიდერების მზარდი ჯგუფი ახლა ონლაინ კურსებს სთავაზობს, რომელთა მნიშვნელობა საგრძნობლად გაფართოვდა პანდემიის დროს და მას შემდეგ ზრდას განაგრძობს. თუმცა, ოფიციალური ინფორმაციით, 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით, სასწავლო და გადამზადების პროგრამების დისტანციურად განხორციელების ლიცენზია მხოლოდ ერთი პროვაიდერს ჰქონდა, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის №143/N ბრძანებით. დისტანციური სწავლებით გარკვეულწილად შესაძლებელია სწავლაზე ხელმისაწვდომობის პრობლემის გადაჭრა, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობისთვის, თუმცა ყველა უნარ-ჩვევის მიღება ამ მეთოდით შეუძლებელია. დისტანციური სწავლების საკითხში საერთაშორისო დონეზე დაგროვებული გამოცდილება სასარგებლო მითითებას იძლევა საქართველოში ზრდასრულთა განათლების ამ ფორმის განვითარებისთვის.

საერთაშორისო პროვაიდერები, როგორიცაა ხანის აკადემია (Khan Academy), Udemy, EdX და Coursera, სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება და მათ ზრდასრული მსმენელები იყენებენ ონლაინ არსებული არაფორმალური განათლების შესაძლებლობების მეშვეობით. ხანის აკადემიას, რომელიც ქართულ ენაზე თარგმნილ მრავალფეროვან უფასო კონტენტს სთავაზობს აუდიტორიას, 2019-20 წლებში 1,4 მილიონზე მეტი ნახვა ჰქონდა (ბოჭორიშვილი, 2020). DVV International ონლაინ ტრენერთა ტრენინგებს აორგანიზებს როგორც საკუთარ „ზრდასრულთა განათლების ცენტრებში“, ასევე უზრუნველყოფს დისტანციურ ტრენინგებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტისა და ზრდასრულთა განათლების განყოფილების თანამშრომლებისთვის და, ამას გარდა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, დისტანციური სწავლების მიდგომების შესახებ (Pfanzelt et al., 2021: 41).

3.4. ზრდასრულთა პროფესიული ორიენტაციის პროვაიდერები

პროფესიული ორიენტაციის სისტემები ახლახან გაუმჯობესდა და გაწეული იქნა ძალისხმევა პროფესიული განათლების ღირებულებისა და სარგებლის პოპულარიზაციისთვის ფართო საზოგადოებაში. პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტები ყველა საზოგადოებრივ პროფესიული სასწავლებელში მუშაობენ. გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა 2024

წლის 27 აგვისტოს №139/n ბრძანებით „ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია 2024-2030“ დაამტკიცა. სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური პროფესიული ორიენტაციის პოლიტიკის განხორციელება ფორმალურ განათლებაში, თანაბარი შესაძლებლობების მხარდაჭერა ზრდასრულებისთვის, რათა ცხოვრებაში თავიანთი პოტენციალის სრულად რეალიზება მოახერხონ. მიუხედავად ამისა, დაფიქსირდა, რომ პრაქტიკაში პროფესიული კოლეჯების მიერ მოწოდებული პროფესიული ორიენტაციის სერვისები სტუდენტების მხოლოდ მცირე ნაწილამდე აღწევს და მათი უმეტესობა ნაკლებად აცნობიერებს, თუ რა სარგებელი შეუძლიათ მიიღონ გაწეული სერვისებისგან (სიფრაშვილი, 2023). საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანახმად, პროფესიული ორიენტაციის რეალური სტრუქტურა პრაქტიკაში არ არსებობს.[58] მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯები ამ სერვისს ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად უზრუნველყოფენ, სერვისები არ არის საკმარისად მორგებული ზრდასრულ მსმენელებზე. სასურველი იქნებოდა სტრუქტურული მიდგომა კარიერული დაგეგმვის უზრუნველსაყოფად ყველა ზრდასრულისთვის, ვისაც ეს სჭირდება. მუნიციპალიტეტები პროფესიულ ორიენტაციას არ უზრუნველყოფენ; მათ მხოლოდ ტრანსპორტირება აქვთ გამოყოფილი სასწავლო ცენტრებამდე, მაგრამ სხვა ბევრი არაფერი ამის გარდა.

სამუშაოს მაძიებლებს კარიერული ორიენტაციის სერვისებზე ხელი მიუწვდებათ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მეშვეობით, მისი დასაქმების მხარდაჭერის პროგრამების გზით. პროფესიული ორიენტაციის სერვისები მოიცავს რეგისტრაციას სამუშაოს მაძიებელთა მონაცემთა ბაზაში, ინფორმაციას კარიერული შესაძლებლობების შესახებ, კომპეტენციების შეფასებას, კარიერის შესახებ კონსულტაციას და ხელმძღვანელობას, ტრენინგს და გადამზადებას და კარიერულ განათლებას, ასევე ვაკანსიების ანალიზს და დამსაქმებლებისთვის პერსონალის შერჩევის სერვისებს. რაც შეეხება შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემას, რომელიც პროფესიული ორიენტაციის სერვისებს უზრუნველყოფს, მსოფლიო ბანკი (2022b) რეკომენდაციას უწევს, რომ რეალურ დროში ვაკანსიების მონაცემების ანალიზი, რომლებიც კერძო ონლაინ დასაქმების პორტალებზეა განთავსებულია, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მეთოდოლოგიის ნაწილი უნდა იყოს, მოთხოვნადი უნარების იდენტიფიცირებისა და პროგნოზირების მიზნით. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დასაქმების სერვისების ელექტრონული პორტალი („Worknet“) ამჟამად ძირითადად დაკავშირებულია საჯარო სექტორის ორგანოებთან, მაგრამ ასევე უნდა მოიცავდეს კერძო სექტორს, რათა სამუშაოს მაძიებლებს ზუსტი და დროული ინფორმაცია ჰქონდეთ გადაწყვეტილების მისაღებად.

4. საჭიროებები და მოლოდინები ზრდასრულთა განათლების კერძო ონლაინ დასაქმების პორტალებისთვის

წინამდებარე პარაგრაფი ზრდასრულთა განათლების პოტენციური ბენეფიციარების მოთხოვნებსა და მოლოდინებს, ასევე მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს განსაზღვრავს.

[58] ინტერვიუ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ზრდასრულთა განათლების პოტენციურ ბენეფიციართა მრავალფეროვნება, რომელთა შორისაა უმუშევრები, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების წევრები, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), გადამზადების მსურველი თანამშრომლები. პროფესიონალები, რომლებიც თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნავენ და არააქტიური პირები, რომლებიც შრომის ბაზარზე შესვლას ცდილობენ (როგორიცაა დაბრუნებული ქალები, მარტოხელა დედები, ყოფილი მსჯავრდებულები და ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები). ჩვენ ვაკეთებთ შეფასებას, რამდენად ეფექტურად აკმაყოფილებს ადამიანთა ზემოაღნიშნული ჯგუფების საჭიროებებს ზრდასრულთა განათლების არსებული სისტემა.

4.1. ზრდასრული მსმენელების საჭიროებების და მოლოდინების დაკმაყოფილება

4.1.1. უმუშევართა საჭიროებები

ამჟამად რეგისტრირებულია 260,000 უმუშევარი (354,000-თან შედარებით 2017 წელს)[59] და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ყოველწლიურად ატარებს 16,000 პროფესიულ კონსულტაციას მათთვის.[60] სამუშაოს მაძიებლებს ნაკლებად აქვთ სტიმული, რომ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დაუკავშირდნენ, რადგან საქართველოში უმუშევრობის შემწეობის სისტემა არ არსებობს, თუმცა ბევრი უმუშევარი სოციალურ დახმარებას იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში დარეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობას ამცირებს, ეს ასევე ნიშნავს, რომ შეიძლება არსებობდეს პოტენციური სამუშაოს მაძიებელთა დიდი რაოდენობა, რომლებიც სისტემაში ვერ რეგისტრირდებიან. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწევა ამ ადამიანებისთვის და მათ ჯგუფურ კონსულტაციებს სთავაზობს სოფლებში ვიზიტების დროს. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მონაცემებით,[61] 2023 წლის ბოლოსთვის საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამებში დასაქმებული იყო 207,542 ადამიანი, რომლებიც სოციალური დახმარების მიღებას განაგრძობენ ოთხი წლის განმავლობაში და ვისაც გადამზადების პროგრამებით სარგებლობა შეუძლიათ.

- უმუშევართა საჭიროებების დაკმაყოფილება

პროფესიული კონსულტანტების მიზანია, რომ სამუშაოს მაძიებლებს ისეთი ტრენინგის გავლაში დაეხმარონ, რომელიც მათ გამოცდილებას, განათლებას და შესაძლებლობებს საუკეთესოდ შეეფერება და არა ყველაზე პოპულარული ტრენინგის გავლაში (რომელსაც ზოგჯერ სამუშაოს მაძიებლები ითხოვენ). კონსულტანტები სამუშაოს მაძიებლების პროფილს (დახასიათებას) ამუშავებენ მათი განათლების, სამუშაო გამოცდილების, უნარების და შესაძლებლობების, ასევე სამომავლო გეგმების შემოწმების საშუალებით. შემდეგ ისინი სამუშაოს მაძიებლებს სამ ქვეჯგუფად ჰყოფენ: A, B და C კატეგორიებად.

[59] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ონლაინ მონაცემები.

[60] ინტერვიუ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან, თბილისი, 2024 წლის ივნისი.

[61] https://bm.ge/news/2023-tslis-bolostvis-saarsebo-shemtseobis-mimghebta-raodenoba-shemtsirda-ramdeni-sotsdautsveli-ighebda-shemtseobas

„A“ კატეგორიის სამუშაოს მაძიებლებში ისინი შედიან, ვინც შრომის ბაზრისთვის მზად არის. მათ შრომის ბაზრებზე იწვევენ და ნებისმიერ შესაფერის სამუშაოს სთავაზობენ, რომლის შესახებაც დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ეცნობა. სამუშაოს მაძიებლები კონსულტაციას იღებენ პროფესიული ორიენტაციის შესახებ და შესაბამის კონსულტანტთან ერთად წყვეტენ, თუ რომელ ტრენინგ პროგრამას დაესწრონ. ყოველწლიურად 3,000 სამუშაოს მაძიებელი ფინანსდება მომზადება-გადამზადების პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიზანია, რომ გადამზადებაში მონაწილეობა 3,900-მა ადამიანმა მიიღოს. მაგალითად, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს გორის ადგილობრივი ფილიალი პროფესიული განათლების კოლეჯებთან თანამშრომლობისას აქცენტს აკეთებს გადამზადებაზე. თუმცა, ბოლო სამი წლის განმავლობაში მან მხოლოდ ერთი გადამზადების პროგრამა უზრუნველყო ერთ პროფესიულ კოლეჯში. ამ კურსზე, 35 სტაჟიორიდან მხოლოდ 15-მა შეიძინა ახალი უნარები, რაც სამუშაოს დაწყებისთვის იყო საჭირო. სხვებს უბრალოდ სერტიფიკატი სურდათ, როგორც მათი უკვე არსებული უნარების დადასტურება, რათა მოგვიანებით ეტაპზე სამუშაო ეპოვათ. ინტერვიუების დროს დაფიქსირდა, რომ პროფესიული კოლეჯები ხშირად არ არიან დაინტერესებულნი ამ პროგრამებზე განაცხადების წარდგენით, არსებული ბიუროკრატიის დონის გამო და ისინი არ აფასებენ იმ ფაქტს, რომ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ირჩევს სტაჟიორებს. გარდა ამისა, ქუთაისში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ადგილობრივ ფილიალში გვითხრეს, რომ ისინი ახერხებენ ტრენინგების უზრუნველყოფას სამუშაოს მაძიებელთათვის ქუთაისის მუნიციპალიტეტში, მაგრამ არა რეგიონში არსებულ სხვა, შორს მდებარე მუნიციპალიტეტებში. ეს კიდევ ერთი მთავარი გამოწვევაა და ძირითადად განპირობებულია დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ფილიალებში საჭირო კადრების ნაკლებობით.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო „B“ და „C“ კატეგორიებს სთავაზობს პროფესიული ორიენტაციის სერვისებს, პირად სამოქმედო გეგმას და მათ შრომითი ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) ღონისძიებებზე გადაამისამართებს. ეს მოიცავს მოკლევადიან ტრენინგს და გადამზადების კურსებს პროფესიულ კოლეჯებში, ასევე სტაჟირების პროგრამას. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში დამსაქმებელს სამი სტაჟიორის აყვანა შეუძლია, რომელთა ხარჯებს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ფარავს ორიდან ექვს თვემდე პერიოდის განმავლობაში. სტაჟიორებს შედარებით დაბალ ანაზღაურებას უხდიან, თვეში სულ რაღაც 200 ლარს, რაც 2023 წლის საარსებო მინიმუმზე ნაკლებია (საქსტატი[62]). სტაჟირების დასრულების შემდეგ დამსაქმებელმა მინიმუმ ერთი სტაჟიორი უნდა დაიქირაოს ექვსი თვით, რეგულარული შრომითი ხელშეკრულებით. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ასევე სთავაზობს ტრენინგს ამ კატეგორიის სამუშაოს მაძიებლებს, რათა თავიანთი ძირითადი კომპეტენციები ისეთ სფეროებში განავითარონ, როგორიცაა სოციალური უნარები, ენები (მათ შორის ინგლისური, გერმანული,[63] ფრანგული) და IT. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ასევე ატარებს ტრენინგს სამეწარმეო უნარების განვითარებაში. თუმცა, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ქუთაისის ფილიალში

[62] https://www.geostat.ge/en/modules/categories/791/subsistence-minimum

[63] საქართველოს მოქალაქეებს გერმანიაში სამი თვის განმავლობაში შეუძლიათ სოფლის მეურნეობის სექტორში მუშაობა.

გვითხრეს, რომ პრაქტიკაში არ ჰყავთ საკმარისი პერსონალი მეწარმეობაში ტრენინგის გასამართავად.

4.1.2. შრომის ბაზარზე დაბრუნებულ პირთა საჭიროებები

პოტენციური სამუშაო ძალა მოიცავს პირებს, რომლებიც ან ეძებენ სამუშაოს, მაგრამ ამჟამად სამუშაოსთვის არ არიან მზად, ან რომლებიც მზად არიან სამუშაოდ, მაგრამ აქტიურად არ ეძებენ სამუშაოს. 2022 წელს პოტენციური სამუშაო ძალა გაფართოებული სამუშაო ძალის 23%-ს შეადგენდა (ანუ, ჩვეულებრივ განსაზღვრული სამუშაო ძალა, პლუს პოტენციური სამუშაო ძალა).[64] დიდი პოტენციური სამუშაო ძალა ზრდასრულთა განათლებისა და გადამზადების ძირითად აუცილებლობაზე მიუთითებს, რადგან ამ ჯგუფის ზოგიერთი (უცნობი) ნაწილი შეიძლება შრომის ბაზარზე დაბრუნებას ცდილობდეს დროთა განმავლობაში.

- გადამზადების მსურველი თანამშრომლების და უნარების გაუმჯობესების მსურველი სპეციალისტების საჭიროებების დაკმაყოფილება.

2023 წელს კომპანიების თითქმის მესამედმა (31.4%) თავის თანამშრომლებს შესთავაზა რაიმე სახის ფორმალური ტრენინგი ან გადამზადება (დაახლოებით იგივე მაჩვენებელი, რაც 2019 წელს).[65] ეს უფრო დაბალია მაჩვენებელია, ვიდრე ზოგიერთ ანალოგიურ ქვეყანაში, როგორიცაა ესტონეთი, სადაც კომპანიების დაახლოებით ორი მეხუთედი ტრენინგების შესაძლებლობებს სთავაზობს თავიანთ თანამშრომლებს, რაც საქართველოში კომპანიების მიერ ამ სერვისის მიწოდების უფრო მაღალი დონის შესაძლებლობებზე მიუთითებს.

გადამზადებას ასევე სთავაზობენ სხვადასხვა პროვაიდერი ორგანიზაციების, რაც მთავარია უნივერსიტეტების მეშვეობით. თბილისის უნივერსიტეტის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ცენტრი საბავშვო ბაღების გამგეების და აღმზრდელების გადამზადების პროგრამებს სთავაზობს. ისინი წელიწადში 300-მდე პედაგოგს ამზადებენ. ბოლო წლებში მათ საბავშვო ბაღებისთვის 700-800 სკოლამდელი აღზრდის პედაგოგი მოამზადეს საბავშვო ბაღში სწავლების მეთოდოლოგიაში; 2025 წლიდან საბავშვო ბაღებს აკრედიტაციის გავლა და შესაბამისად, პროფესიონალურად მომზადებული პერსონალი დასჭირდებათ. ტრენინგი, რომელიც საბავშვო ბაღების პედაგოგებისთვის ხორციელდება, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან ფინანსდება. უნივერსიტეტი ასევე კერძო საბავშვო ბაღებთან მუშაობს და მათ სწავლის საფასურს ახდევინებს. გარდა ამისა, მთავრობა თბილისის გარეთ ახალ სასწავლო ცენტრს აშენებს, ლოჯისტიკის სწავლების მიზნით, კერძო სექტორთან თანამშრომლობით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი განათლების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი ტრენინგის კურსები მოთხოვნის საფუძველზე იმართება, ფერმერების საჭიროებებისა და ინტერესების პასუხად კონკრეტულ საკითხებში. ცენტრი ტრენინგის საჭიროებების შესახებ გამოკითხვას ატარებს, რათა დაადგინოს, თუ რაში სჭირდებათ გადამზადება მათ კლიენტებს. სოფლის განვითარების სააგენტოების რეგიონული ოფისები და ექსტენციის სერვისები ასევე აგროვებენ ინფორმაციას

[64] 15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის უმოქმედობის საერთო მაჩვენებელი 2020 წელს იყო 30%.

[65] მსოფლიო ბანკის მსოფლიო განვითარების ინდიკატორების ონლაინ მონაცემთა ბაზა [ცვლადი კოდი IC.FRM.TRNG.ZS].

ფერმერების საჭიროებების შესახებ და საჭიროებების შეფასებას ახორციელებენ. სამმა საპარლამენტო კომიტეტმა (განათლება, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა) გამოიკვლია, თუ რომელი პროფესიების მხარდაჭერაა საჭირო და რეკომენდაცია გაუწია მწვანე სტიპენდიების გაზრდას სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. მეფუტკრეობაში გადამზადება საქმიანობის პერსპექტიულ მიმართულებად გამოიკვეთა და, შესაბამისად, ამ პროფესიაში ათასამდე ადამიანი გადამზადდა.

- შრომის ბაზარზე დაბრუნების მსურველი არააქტიური პირების საჭიროებების დაკმაყოფილება

ადგილობრივი ხელისუფლება მხარს უჭერს მოწყვლადი ჯგუფების წევრების ტრენინგს მათ რაიონებში. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის მერია მხარს უჭერს გადამზადებას შრომის ბაზარზე დაბრუნებული ქალებისთვის, რომლებსაც შრომის ბაზარზე წვდომა უჭირთ. ამ ჯგუფისთვის აქცენტი უფრო მეტად სოციალურ ინტეგრაციაზე კეთდება, ვიდრე დასაქმებაზე.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი სოციალურ პროგრამებს სთავაზობს ზრდასრულთა გადამზადების მხარდასაჭერად, რათა მათ ახალი კარიერის პოვნაში დაეხმაროს. ქუთაისის მუნიციპალიტეტი გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობით ზრდასრულთა გადამზადებას აფინანსებს და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აღჭურვილობას შეისყიდის. ამგვარ გადამზადებაში შედის საგანმანათლებლო კომპონენტი, დასაქმების კომპონენტი და პოზიტიური აღზრდის კომპონენტი. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად აცხადებს ტენდერს ზრდასრულთა სასწავლო პროგრამების განსახორციელებლად კონტრაქტზე, რომელიც ბოლოს ვორლდ ვიჟენმა მოიგო. სტაჟიორები მოწყვლადობის შეფასების საფუძველზე შეირჩევიან და აქცენტი, როგორც წესი, ბავშვებიან ოჯახებზე კეთდება. კონკურსანტების შეფასების კრიტერიუმებია მათ მიერ ტრენინგიდან მიღებული სარგებელი და მოტივაციის ხარისხი. თითოეულ შემთხვევას კომიტეტი განიხილავს, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების, ბავშვთა დაცვის დეპარტამენტისა და ტრენინგის პროვაიდერის წარმომადგენლებისგან შედგება, რის საფუძველზეც ხდება მსმენელების შერჩევა. მონიტორინგის შედეგად პროგრამის უპირატესობები გამოვლინდა, რომლის თანახმად ამ შესაძლებლობით ქალები უფრო მეტად სარგებლობენ, ვიდრე მამაკაცები, ხოლო თუ სტაჟიორს ორ წელზე უფროსი ასაკის შვილები ჰყავთ, მათთვის საბავშვო ბაღი უფასოა. ტრენინგი ხშირად ინდივიდუალურად იმართება. მუნიციპალიტეტს უფრო დიდი ბიუჯეტი რომ ჰქონოდა, მაშინ მეტი ტრენინგის ჩატარება იქნებოდა შესაძლებელი ამის საფუძველზე. ეს საჭიროებებზე დაფუძნებული პროექტია და საერთაშორისო დახმარება სასარგებლოა ამ მიზნისთვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი სასწავლო ცენტრი გადამზადებას სთავაზობს პენიტენციურ სისტემაში მყოფ მსჯავრდებულებს და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ ყოფილ მსჯავრდებულებსაც, რათა მათ რეაბილიტაციაში დაეხმარონ და სოფლის მეურნეობაში ახალი პროფესიების ძიებაში ხელი შეუწყონ.

4.1.3. მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა საჭიროებები

დასაქმებულთა მესამედზე მეტი (37%) არაფორმალურ ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა, რომელთაგან თითქმის ყველა დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობის სექტორში.[66] თითქმის ყოველი მეათე თანამშრომელი (8.2%) დროებითი კონტრაქტით მუშაობდა 2020 წელს. ამ პირებს შეიძლება სურვილი ჰქონდეთ, რომ თავიანთი კვალიფიკაცია გაიუმჯობესონ უფრო მუდმივი სამუშაო კონტრაქტის მისაღებად. 2019 წელს მთავრობის მიერ ჩატარებულ კვლევაში პროფესიული სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, მოსახლეობის 12% (427,000 ადამიანი) სოციალურად დაუცველი იყო მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო (MESCS, 2020). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და დევნილებს ასევე ესაჭიროებათ თავიანთი უნარების განვითარება, რაც შეიძლება გულისხმობდეს როგორც საბაზისო, ასევე უფრო მაღალ დონეს, ან სპეციალიზაციას და გადაკვალიფიცირებას.

პროფესიული განათლების სფეროში ინკლუზიურობის უზრუნველყოფა პროფესიული განათლების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. ხუთი საზოგადოებრივი პროფესიული კოლეჯი უნივერსალური დიზაინის პრინციპზეა აგებული და ყველა საზოგადოებრივი კოლეჯი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე. ინფრასტრუქტურულ მოწყობებთან ერთად, საზოგადოებრივი პროფესიული განათლების დაწესებულებებს შეუძლიათ მიაწოდონ სპეციალური სერვისები ზემოაღნიშნულ ჯგუფებს (მაგ. ჟესტური ენის თარჯიმანი, ასისტენტები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, ტრანსპორტი და ა.შ.) და ადაპტირებული სასწავლო მასალები და სახელმძღვანელოები გამოიყენონ; უნარების სააგენტოს ინფორმაციით, პედაგოგებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების სპეციალური ტრენინგი მუდმივად იგეგმება და იმართება. ამავე წყაროს ცნობით, მომზადებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფის რეგულაციაც, რომელიც ამჟამად მონაწილე მხარეებთან განხილვის პროცესშია. EMIS-ის სტატისტიკის მიხედვით, სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების პროფესიული სწავლების დაწესებულებაში ჩარიცხვების რაოდენობა იზრდება.

ქუთაისში სსიპ კოლეჯი „იბერია“ მიზნად ისახავს, რომ ინკლუზიური გახდეს. კოლეჯში ტრენინგები იმართება 26 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისა და ეტლით მოსარგებლე ხუთი ადამიანისთვის. თბილისის მერია 50 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის გადამზადებას აფინანსებს, რაშიც შედის მათი ტრანსპორტირების თანხა და ასევე გამოყოფილია სპეციალური სასწავლო ასისტენტები. ცერებრული დამბლის და სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის ჟესტური ენის სპეციალისტებიც უზრუნველყოფილია.

თბილისის მერია ასევე მხარს უჭერს მოწყვლადი ადამიანების განათლებას და გადამზადებას, როგორიცაა ემიგრანტები, დევნილები, სოციალური შემწეობის მიმღები პირები და მრავალშვილიანი ადამიანები. ყურადღება გამახვილებულია დასაქმებაზე. გადამზადება უზრუნველყოფილია თბილისის ტურიზმის კოლეჯ „იკაროსში“ არაფორმალურ მოკლევადიან კურსებზე 400-მდე სტუდენტისთვის, რომლებიც კურსის ბოლოს მერიის მიერ გაცემულ სერტიფიკატს იღებენ. აღნიშნული კურსები დარეგისტრირებულია მერიის ვებგვერდზე „ისწავლე და დასაქმდი“. სტუდენტთა ტრანსპორტირების ყველა ხარჯს მუნიციპალიტეტი ფარავს. დევნილები დამატებით

[66] ILOSTAT ონლაინ მონაცემები 2022 წლისთვის.

დაფინანსებას იღებენ: დღიურ ანაზღაურებას და ასევე აღჭურვილობის ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც სამუშაო გრაფიკის მიხედვით არის გამოყოფილი.

საზოგადოებრივ საქმეთა სკოლას რამდენიმე სამიზნე ჯგუფი ჰყავს, მათ შორის არიან თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები (ზოგიერთი უკრაინიდან) და უმუშევარი მშობლები, გარდა რეგულარული კლიენტებისა, რომლებიც არიან სასულიერო პირები, საჯარო მოხელეები და სამხედრო პერსონალი. ის ასევე უზრუნველყოფს გასვლით საკომუნიკაციო სერვისებს მობილური გუნდების მეშვეობით რაიონებსა და სოფლებში.

4.2. დამსაქმებლების მოლოდინები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წლიდან 2023 წლამდე განხორციელებული შრომის ბაზრისა და დაწესებულებების უნარების კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ პროფესიაზე მოთხოვნა ბევრად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სხვებზე, მაგ. სპეციალისტებსა და ტექნიკოსებზე მზარდი მოთხოვნა, რაც ქარხნის ან საწარმოს მუშაკებზე და ე.წ. ფიზიკურად მომუშავე პერსონალზე მზარდ მოთხოვნას აღემატება. მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, დამსაქმებლები პირველ რიგში კოგნიტური და პროფესიული უნარების მქონე მუშაკებს ეძებენ, ხოლო ასეთ უნარებზე მოთხოვნას თან ახლავს ისეთი სოციალურ-ემოციური უნარები, როგორიცაა ღიაობა და კეთილსინდისიერება. კოგნიტურ და პროფესიულ მახასიათებლებს შორის ტექნიკური უნარები საკვანძოა ყველა თანამშრომლისთვის, ხოლო ინჟინრების, სამეცნიერო და ადმინისტრაციული მუშაკებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მათემატიკური აზროვნების უნარი, წიგნიერება და პრობლემის გადაჭრის უნარები, ხოლო ქარხნისა ან საწარმოს თანამშრომლების ძირითადი უნარები მოიცავს წიგნიერებას, კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უნარს, ასევე დამოუკიდებლად მუშაობის და საკუთარი დროის მართვის უნარს (Posadas et al., 2018).

მსოფლიო ბანკის მიერ 2019 წელს ჩატარებულმა საწარმოთა კვლევის თანახმად, კომპანიების 14.9% მიიჩნევს, რომ მათი ყველაზე დიდი დაბრკოლებაა არასათანადოდ განათლებული პერსონალი, ხოლო 42.5% ამ ფაქტორს მთავარ დაბრკოლებად განიხილავს.[67] მსოფლიო ბანკის უახლესი კვლევა ამტკიცებდა, რომ დიგიტალიზაციაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური ცვლილებების გამო, მაღალი დონის კოგნიტური და ციფრული უნარების განვითარება ასევე არსებითი იქნება, რათა ქართველებს მომავალში უფრო მაღალპროდუქტიულ სამუშაოებზე დასაქმებაში დაეხმაროს. მიუხედავად ამისა, პროფესიული სასწავლებლების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულებს ხშირად აკლიათ ის უნარები, რომლებიც საჭიროა ახლადგაციფრულებულ სამუშაო ადგილზე (მსოფლიო ბანკი, 2022b). გარდა ამისა, რბილი უნარები გადამზადების პროგრამების სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება, რადგან მუშაკებს უფრო მეტად სჭირდებათ ხოლმე კარგი სოციალური და ქცევითი უნარები ინტერდისციპლინურ გუნდებში მუშაობისთვის (მსოფლიო ბანკი, 2022b). მსოფლიო ბანკის ანგარიშმა დაასკვნა, რომ „ახალმა უნარების სააგენტომ მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა შეასრულოს ამ კუთხით, პროფესიული განათლების სტანდარტები განსაზღვროს საჯარო და კერძო სექტორებთან თანამშრომლობით და ხელი შეუწყოს სამუშაოს შესაბამისი უნარ-ჩვევების უზრუნველყოფას საჯარო პროვაიდერებს შორის

[67] მსოფლიო ბანკის საწარმოთა კვლევები [ცვლადი კოდი IC.FRM.OBS.OBST9].

პროფესიული ტრენინგების გაზრდით და დივერსიფიკაციით, ასევე, კერძო პროვაიდერების მხრიდან ტრენინგების სტიმულირებით“ (მსოფლიო ბანკი 2022b: 71). ამრიგად, ზრდასრულთა განათლების განვითარება, მათ შორის, საშუალო პროფესიული განათლების ჩათვლით, გადამწყვეტი იქნება მომზადება-გადამზადებისადმი მოქნილი მიდგომის უზრუნველსაყოფად, რომელიც დამსაქმებლების სწრაფად განვითარებად მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

5. ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფაზე წვდომა

2020-დან 2022 წლამდე, უწყვეტი პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (CVET) პროგრამებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 159%-ით გაიზარდა დაბალ საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (ETF, 2024). თუმცა, ჩარიცხვის შესაძლებლობები შეზღუდულია და CVET-ზე მოთხოვნა ხელმისაწვდომი ადგილების ოდენობას აღემატება. პროფესიული განათლების რეფორმამ მოკლე ციკლის მომზადება-გადამზადების ხელმისაწვდომობა გაზარდა კერძო სექტორის და ზრდასრულთა განათლების ზოგადი განათლების პროვაიდერების გაფართოების გზით, მაგრამ ამ გაუმჯობესების მასშტაბები ჯერ კიდევ არასაკმარისია არსებული საჭიროებების მიმართ.

5.1. ჩარიცხვის პირობები

ზრდასრულთა განათლების ფორმალურ პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პროცედურები 2019 წლის 10 აპრილის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 71n ბრძანებით განისაზღვრება. პროვაიდერებს შეუძლიათ გონივრული მოთხოვნები წამოაყენონ თავიანთ პროგრამებზე ჩარიცხვისთვის; თუმცა, როგორც წესი, მომზადების პროგრამებში ჩასართავად რაიმე სპეციალური მოთხოვნები არ არსებობს, ხოლო გადამზადების პროგრამებზე შეიძლება კონკრეტული წინარე ცოდნა იყოს საჭირო. ერთ-ერთ საზოგადოებრივ პროფესიულ კოლეჯში, რომელსაც ჯგუფი ეწვია, სტუდენტების ჩარიცხვის კრიტერიუმი დამოკიდებული იყო დადასტურებაზე და არა დამოუკიდებელ ქულებზე. ყველა სტუდენტს მინიმუმ საბაზო განათლება უნდა ჰქონდეს, მაგრამ არ არსებობს ასაკობრივი შეზღუდვა და სტუდენტების დაახლოებით 90 პროცენტი 18 წელზე უფროსი ასაკისაა. შესაძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სტუდენტების მიღებაც, ვისაც კარიერის შეცვლა სურთ შუახნის ასაკში. წარსულში, ზრდასრულთა რაოდენობაზე ლიმიტი იყო დაწესებული, რაც სტუდენტური შემადგენლობის 30%-ს წარმოადგენდა, მაგრამ ეს შეზღუდვა უკვე აღარ მოქმედებს.

მაგალითად, კოლეჯ „იკაროსში“ ერთ ადგილზე დაახლოებით 10 კონკურენტი მოდის. განაცხადების თაობაზე გადაწყვეტილებას დარგის სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული მიმღები კომისია იღებს, რომელიც განმცხადებლების მოტივაციას და მათ არსებულ უნარებსა და შესაძლებლობებს განიხილავენ ინტერვიუების საფუძველზე, რაც უფრო ეფექტურად არის მიჩნეული, ვიდრე მისაღები პრაქტიკული ტესტები. მოკლევადიანი პროგრამებისთვის ბიზნეს სექტორი აქტიურად მონაწილეობს შერჩევის პროცესში და მაღალია კონკურენცია ადგილებისთვის. მაგალითად, კულინარიის კურსზე 200 განმცხადებლიდან 20 ჩაირიცხა, რომელთაგან 16 კურსის დასრულებიდან ერთ თვეში დასაქმდა.

5.2. ფიზიკური წვდომა

ავტორიზაციის პროცედურებით, პროფესიული განათლების და მომზადება-გადამზადების პროვაიდერებს მოეთხოვებათ, რომ წვდომასთან დაკავშირებული კრიტერიუმები შეასრულონ და ამიტომ ყველა კოლეჯი მინიმალურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. თუმცა, ეს მოლოდინი ყოველთვის არ სრულდება. თბილისის ერთ-ერთი კოლეჯის შენობასთან მისასვლელი საფეხურები მაღალია/ციცაბოა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სხვა შესასვლელი არ არის მოწყობილი. მეორე მხრივ, ფიზიკური წვდომა უზრუნველყოფილია უსინათლო ადამიანებისთვის იატაკზე სპეციალურად მოწყობილი ტაქტილური ზედაპირით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წინა კარიდან შშმ პირებისთვის მისაწვდომი შესასვლელი არსებობს, შენობის შიგნით ლიფტები არ არის. კოლეჯს სპეციალური მანქანები ჰყავს კოლეჯში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მისაყვანად და ცდილობს, რომ თავისი პროგრამები მარტოხელა დედების საჭიროებებს მოარგოს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი განათლების ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი ტრენინგის უმეტესობა ქალაქებსა და დაბებში იმართება, საბავშვო ბაღების შემთხვევაში კი - ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში. ქუთაისში, მაგალითად, ცენტრი მონაწილეთა ტრანსპორტირებას და განთავსებას უზრუნველყოფს. ცენტრი ტრენინგს იმგვარად გეგმავს, რომ მისაწვდომობის საკითხების ეფექტურად იყოს მოგვარებული. განთავსება გათვალისწინებულია 2 ან 3-დღიანი სასწავლო კურსების შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ტრენინგი მხოლოდ ერთი კვირა გრძელდება.

მოკლე ციკლის მომზადება-გადამზადების პროგრამების შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით, ზრდასრულთა უმეტესობას გრძელვადიან პროგრამებზე დარეგისტრირება ურჩევნია, რომლებიც პირისპირ ტრენინგს მოიცავს. ეს გრძელვადიანი პროგრამები, როგორც წესი, ჩვეულებრივ სამუშაო საათებში იმართება, დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე, თუმცა, გამონაკლისებიც არსებობს, როდესაც ტრენინგი ორ ცვლაში მიმდინარეობს (სიფრაშვილი, 2023). ეს ხელსაყრელია უმუშევარი ზრდასრული მსმენელებისთვის, განსაკუთრებით ბავშვიანი ქალებისთვის, ვისაც თავიანთი შვილებისთვის საბავშვო ბაღების მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ. ამის საპირისპიროდ, ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ან ოჯახური ვალდებულებები აქვთ დღის განმავლობაში, ტრენინგზე დასწრებას ვერ ახერხებენ. ამიტომ ბევრი ზრდასრული მსმენელისთვის მოსახერხებელი იქნება მეტი მოკლე ციკლის სასწავლო პროგრამის არსებობა, შემოკლებული სადიპლომო კურსებით და დისტანციური სწავლების ვარიანტებით.

5.3. წვდომასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვები

რამდენიმე პროფესიული სწავლების კოლეჯი მომზადება-გადამზადების პროგრამებს შაბათ-კვირას ან საღამოს სთავაზობს, დასაქმებული ადამიანების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ, ზოგადად, ამ მხრივ დიდი ხარვეზი ფიქსირდება. ეს ნაწილობრივ განპირობებულია მოკლე ციკლის პროგრამების დაფინანსების სიმცირით (თუმცა, სახელმწიფო დაფინანსება ხელმისაწვდომია განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს, უნარების სააგენტოს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მეშვეობით) და მუნიციპალიტეტების მეშვეობით, ასევე დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით). მოკლე ციკლის სასწავლო პროგრამებზე შეზღუდული წვდომა ზოგიერთ ზრდასრულ მსმენელს უბიძგებს, რომ შეუფერებელ

გრძელვადიან პროგრამებზე ჩაირიცხოს, რასაც შედეგად მოჰყვება ბევრი გაცდენა, სწავლის მიტოვება და გრძელვადიან პერსპექტივაშიკოლეჯის დასრულების დაბალი მაჩვენებელი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ის ადამიანები, ვისთვისაც ქართული მეორე ენაა, განსაკუთრებით დაუცველები არიან ამ უარყოფითი ტენდენციების მიმართ, რასაც მოკლე ციკლის სასწავლო პროგრამების მიწოდებაში ჩავარდნა იწვევს (სიფრაშვილი, 2023).

ზრდასრული მსმენელების წინაშე არსებულ სხვა გამოწვევებს შორისაა ადგილობრივ კოლეჯში ტრანსპორტირების ხარჯები, განსაკუთრებით სოფლად, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი შუადღის მერე აღარ მუშაობს, რაც მსმენელებისთვის საღამოს გაკვეთილებზე დასწრებას ართულებს.

ერთ-ერთი კვლევით ძირითადი გამოწვევები გამოვლინდა პროფესიულ კოლეჯებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დანერგვასთან დაკავშირებით (სიფრაშვილი, ნ.დ.). მიუხედავად იმისა, რომ კანონი ყველა სტუდენტზე მორგებული სასწავლო გეგმების აუცილებლობას აღიარებს, პრაქტიკული გამოწვევები მოიცავს დაფინანსების შეზღუდულ ოდენობას და ადმინისტრაციული შესაძლებლობების ნაკლებობას. კოლეჯებში არასაკმარისია როგორც რესურსები, ასევე გამოცდილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ეფექტურად განსახორციელებლად. სხვა კვლევამ აჩვენა, რომ ზრდასრულთა განათლების პროგრამებში ჩართვის მოტივები ძირითადად დაკავშირებულია გარე ფაქტორებთან, როგორიცაა პროფესიული ორიენტაცია, პროფესიული და ეკონომიკური სარგებელი (ქიტიაშვილი და ტასკერი, 2016). თუმცა, ისეთი ბარიერების გამო, როგორიცაა ფინანსებისა და ინფორმაციის ნაკლებობა, ისევე როგორც საკმარისი დრო სწავლისთვის, ბევრ ზრდასრულ ადამიანს ასეთი განათლების მიღების შესაძლებლობა აღარ აქვს.

ზრდასრულთა განათლების სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რაც დაკავშირებულია აკრედიტაციასა და კურსის უზრუნველყოფასთან, განსაკუთრებით არაფორმალური სწავლების კონტექსტში. ბევრ პროვაიდერს უჭირს აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილება არაადეკვატური სასწავლო ინფრასტრუქტურის და არასაკმარისი ინვესტიციების გამო, როგორიცაა ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების შესრულების პრობლემა. გარდა ამისა, ზრდასრულ მსმენელებს ხშირად აკლიათ მოტივაცია, ამას გარდა, შეზღუდულია წვდომა პროფესიული ორიენტაციის სერვისებზე, რაც მათ საგანმანათლებლო და პროფესიულ განვითარებას ხელს შეუწყობდა. ამჟამად, მხოლოდ სამუშაოს მაძიებლები და მოწყვლადი ჯგუფები სარგებლობენ პროფესიული ორიენტაციის ინიციატივებით მიზნობრივი პროექტების ფარგლებში იმ დროს, როცა ზრდასრული პოპულაციის უფრო დიდი ნაწილი უყურადღებოდ რჩება.

6. პროგრამებში არსებული ადგილები და გაფართოების პოტენციალი

2022 წელს გრძელვადიანი პროფესიული პროგრამების ფარგლებში 15,747 ადგილი არსებობდა, ხოლო მოკლე ციკლის სწავლების შესაძლებლობები უფრო შეზღუდული იყო (სიფრაშვილი, 2023). ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა პოტენციურ შესაძლებლობებზე გაცილებით დაბალია, რასაც მოწმობს განაცხადების დიდი რაოდენობა ხელმისაწვდომ კურსებზე ყველა ტიპის განათლების პროვაიდერს შორის და ყველა დონეზე. გარდა ამისა, კვლევის შედეგად (LFS)

ვლინდება, რომ მონაწილეობის დონე შედარებით დაბალია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პროცესში, თუკი ამ მაჩვენებელს რეგიონის ქვეყნებსა და ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოებს შევადარებთ, რომლებიც განვითარების ანალოგიურ დონეზე არიან. ქვეყანაში შესაძლებლობების გაფართოების და ზრდასრულთა განათლების შემდგომი განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს.

6.1. ადამიანური და ფინანსური რესურსები

6.1.1. ადამიანური რესურსები

ზემოთ ჩამოთვლილ სხვადასხვა პროვაიდერებს ადამიანური რესურსების მდიდარი არჩევანი გააჩნიათ სხვადასხვა პროფესიებში სპეციალიზებული გამოცდილებით. საქართველოში ზრდასრულთა განათლების დაფინანსების უმეტესი ნაწილი (გარდა კომპანიების მიერ სამუშაო ადგილზე ჩატარებული ტრენინგებისა) იმ ტიპის წყაროებიდან მოდის (სხვადასხვა სამთავრობო ორგანოების სპეციალური გადაწყვეტილებები, დონორთა დაფინანსება), რომლებიც სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფენ. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური მომზადება-გადამზადების კურსების დაფინანსება საკმაოდ ეფექტურია ყველა სახის პროგრამის განხორციელების ხარჯების დაფარვისას, პედაგოგების ხელფასების ჩათვლით, პროფესიული განათლების კოლეჯების უმეტესობა ყველა პედაგოგებს ან მათ უმეტესობას კონტრაქტის საფუძველზე ასაქმებს. ამის შედეგები კი დროთა განმავლობაში შეიძლება იყოს პედაგოგიური პერსონალის დემოტივაცია, კურსის განვითარების შესაძლებლობის დაქვეითება, ან მსმენელთა მუდმივი მონიტორინგის უნარის კლება. რამდენიმე მაგალითი სწორედ ამის მტკიცებულებას იძლევა.

მაგალითად, სსიპ კოლეჯში „იკაროსი“, მაშინ როცა ყველა მასწავლებელს გავლილი აქვს მასწავლებელთა გადამზადების კურსები, მათგან დაახლოებით ოთხი მეხუთედი კერძო სექტორიდან მოდის. მათი უმეტესობა კურსდამთავრებულია თავის დარგში, რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს და დაქირავებულნი არიან კოლეჯის მიერ, თავიანთი სპეციალობის სფეროში სასწავლო კურსების ჩასატარებლად. კოლეჯში დასაქმებული პედაგოგების ერთი მეხუთედი მუდმივ შტატშია, რომელთა ნაწილი იქ უკვე მრავალი წელია, რაც მუშაობს.

ქუთაისის სსიპ კოლეჯში „იბერია“ 60-მდე პედაგოგიური თანამშრომელია, რომელთაგან 20 მოკლე ციკლის კურსებს უძღვება. ყველა მასწავლებელს უმაღლესი განათლება აქვს, ხოლო მოკლევადიანი კურსების პედაგოგს ასევე სამწლიანი პრაქტიკული გამოცდილებაც სჭირდება. პედაგოგები დაქირავებულნი არიან ხელშეკრულებით კერძო სექტორიდან და ხელფასს საკონტრაქტო საათების რაოდენობის მიხედვით იღებენ. ყველას აქვს გამოცდილება იმ სფეროში, რომელშიც ასწავლის, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთს აქვს მასწავლებლის კვალიფიკაცია. კოლეჯი ამ პედაგოგებს მასწავლებელთა ტრენინგებს უტარებს. ჩვენი რესპონდენტის თქმით, მთავარი გამოწვევაა ის, რომ მასწავლებლებს არ მოსწონთ მოკლე ციკლის კურსებზე ან კურსების ნაწილებზე სწავლება. უფრო მეტიც, ბევრი მასწავლებლის ყოლა, რომლებიც თითოეული კურსის მცირე ნაწილს ასწავლიან, იმას ნიშნავს, რომ არავინ არ არის პასუხისმგებელი საერთო შეფასებაზე. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ კურსს თავისი „ხელმძღვანელი“ ჰყავს, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის განვითარებაზე, მათ ანაზღაურებას არ აძლევენ კურსის ჩატარებისთვის, არამედ ისინი ხელფასს იმავე კონტრაქტის საფუძველზე იღებენ, როგორც ყველა სხვა მასწავლებლები. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა ხელფასები იზრდება, ისინი მაინც გაცილებით დაბალია, კერძო სექტორში დასაქმებული პედაგოგის ანაზღაურებასთან შედარებით.

„კონსტრუქტ2“ პროფესიულ კოლეჯში 41 თანამშრომელია დასაქმებული, რომლებიც როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან კურსებს ასწავლიან. გრძელვადიან კურსებზე პედაგოგები ხელშეკრულებით არიან დასაქმებულნი. იმის გამო, რომ მასწავლებლების პოვნა რთულია, კოლეჯი კადრებს მთელი საქართველოდან იღებს. მოკლე ციკლის კურსების მასწავლებლებს პარტნიორი კომპანია უზრუნველყოფს. მოკლევადიანი კურსების ზოგიერთი მასწავლებელი კოლეჯის კურსდამთავრებულია. მასწავლებლის ხელფასი შედარებით დაბალია და დარიცხული ოდენობა საათში მხოლოდ 20 ლარია.

6.1.2. ზრდასრულთა განათლების დაფინანსების წყაროები

ზრდასრულთა განათლება, მათ შორის მომზადება-გადამზადების პროგრამები, სხვადასხვა წყაროდან ფინანსდება, მათ შორისაა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (პროფესიული უნარების სააგენტო), დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მეშვეობით), მუნიციპალიტეტები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები, როგორიცაა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, აწარმოე საქართველოში და პრობაციის სააგენტო. ზრდასრულთა ფორმალური განათლება, მათ შორის საზოგადოებრივი პროფესიული კოლეჯები, სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სხვა სამინისტროების, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს და ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით, ხოლო დაფინანსების სხვა წყაროებია დონორთა დაფინანსება და მომხმარებლის მიერ გადახდილი საფასური. არაფორმალური განათლების პროვაიდერებს ასევე აქვთ დაფინანსების მრავალფეროვანი წყარო; ნაწილს დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ, ზოგს კი - სახელმწიფო ბიუჯეტი. არსებობს 32 მწვანე სტიპენდია გარემოსდაცვითი საკითხების გრძელვადიანი კვლევების მხარდასაჭერად. პროფესიული უნარების სააგენტო საგრანტო სქემებს ახორციელებს, რომლებიც პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის არაფორმალური და ექსტრაკურიკულარული აქტივობების უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

ჩანართი 7: მაგალითი: პროფესიული განათლების კოლეჯის დაფინანსება

> თბილისის სსიპ კოლეჯი „იკაროსი“ სახელმწიფოსგან ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. სადიპლომო პროგრამებისთვის ის ვაუჩერულ (ერთ სულ მოსახლეზე) დაფინანსებას იღებს, რომელიც მასწავლებელთა ხელფასებსა და გაკვეთილების ჩასატარებლად საჭირო მასალებზე იხარჯება. ადმინისტრაციულ ხარჯებს სახელმწიფო აფინანსებს სუბსიდირების გზით. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ აღჭურვილობის განახლება დააფინანსა, როგორიცაა სამზარეულოს აღჭურვილობა. მოკლე ციკლის კურსების შემთხვევაში, თითოეულს საკუთარი ბიუჯეტი აქვს, რომელიც საჯარო წყაროებიდან ფინანსდება მასწავლებელთა ხელფასების დასაფარავად.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ნებისმიერ პროვაიდერს აძლევს საშუალებას, რომ მოკლევადიანი სასწავლო პროგრამები შეიმუშაოს, ასეთი პროგრამების განსახორციელებლად სახელმწიფო დაფინანსების მიღება მხოლოდ იმ პროგრამებს შეუძლია, რომლებიც შესაბამისი მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით არის შემუშავებული. გარდა ამისა, დასაქმების ხელშეწყობის

სახელმწიფო სააგენტო გრძელვადიან უმუშევართა მომზადება-გადამზადების პროგრამებს აფინანსებს. ზრდასრულთა განათლება სამეწარმეო უნარებში აწარმოე საქართველოს პროგრამის Invest in Georgia ფარგლებში ფინანსდება, რომელიც გრანტებს უზრუნველყოფს პოტენციური მეწარმეების მოსამზადებლად, ვინც საკუთარი ბიზნესის დაწყებას გეგმავს. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია მოკლე ციკლის ტრენინგ პროგრამას აფინანსებს 16 პროფესიული განათლების კოლეჯში. კომპანიები ასევე უზრუნველყოფენ ფინანსურ რესურსებს ზრდასრულთა განათლების დასაფინანსებლად, მათ შორის პროფესიულ კოლეჯებში ინვესტიციების გზით.

დონორთა დაფინანსება ზრდასრულთა განათლების დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ევროკავშირის „Skills4jobs“ პროგრამა და USAID-ის პროგრამა „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ რეგიონებში მცხოვრებ მოზარდებს სამუშაო მზადყოფნისა და სამუშაოს ძიების უნარებს სთავაზობს. ეს რამდენიმე მილიონი ევროს ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ზრდასრულთა მომზადება-გადამზადებისთვის, რაც მოიცავს დაუცველ ჯგუფებს, მათ შორის ქალებს, ეთნიკურ უმცირესობებს და სოფლად მცხოვრებ თემებს. 2021 წელს აზიის განვითარების ბანკმა 41.2 მილიონი ევროს კრედიტი გასცა „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების პროგრამის“ განსახორციელებლად. პროექტი კვალიფიკაციის ცენტრებს განავითარებს კახეთისა და იმერეთის რეგიონებში, რაც პროფესიულ განათლებას უზრუნველყოფს 20 საჯარო სკოლაში. არაფორმალურ განათლებას ძირითადად თავად მოსწავლეები და სხვადასხვა დონორი პროექტები აფინანსებენ (DVV-საერთაშორისო, USAID, UNDP, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები) და უფრო ნაკლები წილით - სახელმწიფო ასიგნებები.

დაფინანსების ამ მრავალფეროვანი წყაროების მიუხედავად, თბილისსა და ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქში ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობების დიდი კონცენტრაციაა და სხვა ადგილებში მიწოდება შეზღუდულია, მაგალითად, სოფლად თუ ნაკლებად განვითარებულ მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში. ადგილობრივი თვითმმართველობები ლიმიტირებული ბიუჯეტებით და სამართლებრივი ვალდებულებებით არიან შეზღუდულები. აქედან გამომდინარე, საჭიროა უზრუნველყოფილი იქნას, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციებს მეტი შესაძლებლობები და დაფინანსება ჰქონდეთ, რათა მხარი დაუჭირონ დაბალი ფასის მქონე ან უფასო ტრენინგის შესაძლებლობებს ადგილობრივ დონეზე დაუცველ თემებში.

6.1.3. დაფინანსების მოდელები

მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულთა განათლების დაფინანსების მრავალფეროვანი მოდელი არსებობს, დაფინანსების უმეტესობა მიმართულია პროვაიდერებზე და არა ინდივიდებზე (თუმცა, როდესაც პროვაიდერებს სახელმწიფო აფინანსებს, მოსწავლეთა მგზავრობის ხარჯები შეიძლება დაიფაროს). 2019 წლიდან პროფესიული განათლების კურსები (რომლებიცზრდასრულთა პროფესიულ კურსებს მოიცავს) ერთ სულ მოსახლეზე დაფინანსების სისტემით ფინანსდება (ცნობილია როგორც „ვაუჩერის“ სისტემა), რომლის მეშვეობითაც მსმენელებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი კურსი საზოგადოებრივ დაწესებულებაში. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (პროფესიული უნარების სააგენტოს მეშვეობით) პროვაიდერებს აფინანსებს მომზადება-გადამზადების პროგრამებისთვის, ხოლო დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს სახელმწიფო ვაუჩერს გადასცემს (1000-დან 1500 ლარამდე), რომელიც მათ

პროფესიული განათლების კოლეჯების მიერ შემოთავაზებულ მოკლევადიან კურსებზე დასარეგისტრირებლად შეუძლიათ გამოიყენონ (Pfanzelt და სხვები, 2021). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ვაუჩერის“ სისტემა არის არა ინდივიდუალური ვაუჩერი, როგორც ასეთი, არამედ ერთ სულ მოსახლეზე დაფინანსების სისტემა; ეს მხოლოდ ფორმალურ განათლებას ეხება. ვაუჩერები ფიქსირებულ თანხაზე გაიცემა და შემოსავალზე არ არის დამოკიდებული.[68]

სულ მცირე, რამდენიმე მოკლე ციკლის პროგრამა უფასოა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ფინანსდება, ზოგი კი ფასიანია. საქართველოს საგანმანათლებლო ინიციატივების ასოციაცია კურსებზე საფასურს იმის მიხედვით აწესებს, თუ როგორია მიწოდებული მომსახურება და შედის თუ არა კვებაც. მათ აქვთ პროგრამა საბავშვო ბაღის მასწავლებლებისთვის, სადაც თვეში 100 ლარია გამოყოფილი ერთ ადამიანზე, ყოველკვირეულად ორსაათიანი შეხვედრებისთვის.

ინოვაციური მიდგომის ფარგლებში, რამდენიმე ზრდასრულთა განათლების ცენტრმა GAEN-ის ქსელში სოციალური საწარმოები შექმნა, რათა თავიანთი მოვალეობა შეასრულონ და ზრდასრულთა განათლება უზრუნველყონ მოწყვლადი ჯგუფების წევრებისთვის. ამ სოციალური საწარმოებიდან მიღებული ჭარბი შემოსავალი (მოგება) რეინვესტირდება ზრდასრულთა საგანმანათლებლო კურსების უზრუნველყოფაში, რომლებიც მონაწილეებს უსასყიდლოდ მიეწოდება. ამ მონაწილეთაგან ბევრი სოციალურად დაუცველია და ამ დაფინანსების მოდელის გამო სწავლის საფასურის გადახდა არ სჭირდებათ, ხოლო სხვა მონაწილეები შედარებით დაბალ საფასურს იხდიან. ასეთი სოციალური საწარმოების მაგალითებია კაფე პოპულარულ ტურისტულ მარშრუტზე, ლითონის კარების მწარმოებელი და ავტომანქანების სადიაგნოსტიკო სახელოსნო ქუთაისთან ახლოს.

7. დასკვნები და რეკომენდაციები

წინამდებარე ანგარიშში საქართველოში ზრდასრულთა განათლების სფეროში არსებული სიტუაციის მიმოხილვა არის წარმოდგენილი, რომელიც ფოკუსირებულია პოლიტიკასა და ინსტიტუციურ ჩარჩოზე, ზრდასრულთა განათლების პროვაიდერების მრავალფეროვნებასა და ზრდასრულთა განათლების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ხელმისაწვდომ რესურსებზე. საქართველომ სხვადასხვა პოლიტიკის რეფორმა განახორციელა ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის, ინფორმალური და არაფორმალური სწავლების აღიარება და დასაქმების სახელმწიფო მხარდაჭერის სააგენტოს შექმნა. ამან ასევე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ზრდა გამოიწვია.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (პროფესიული უნარების სააგენტოს მეშვეობით) მთავარი უწყებაა, რომელიც ხელმძღვანელობას და კოორდინირებას უწევს ზრდასრულთა განათლების პოლიტიკას და მიწოდებას. ის ეროვნული პროფესიული განათლების კვალიფიკაციებს შეიმუშავებს, პროფესიული განათლების პროვაიდერების შესაძლებლობებს აძლიერებს და დაფინანსებას გამოყოფს ტრენინგის პროვაიდერებისთვის. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

[68] ინტერვიუ საქართველოს განათლების ინიციატივების ასოციაციასთან.

(NCEQE) ზრდასრულთა განათლების პროგრამების აკრედიტაციაზე არის პასუხისმგებელი.

ნებისმიერ იურიდიულ პირს შეუძლია სახელმწიფოს მიერ აღიარებული მოკლე ციკლის კურსების ჩატარება ზრდასრულთათვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცების საფუძველზე. ზრდასრულთა განათლების პროვაიდერებს შორისაა სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯები, საზოგადოებრივი და კერძო პროფესიული სასწავლებლები, კერძო პროფესიული კოლეჯები, კერძო კომპანიები, ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ზრდასრულთა განათლების ცენტრები და უნივერსიტეტები.

ქართველებს შორის ზრდასრულთა განათლების მიმართ არსებული დადებითი აღქმის მიუხედავად, ფაქტობრივი მონაწილეობის მაჩვენებლები შედარებით დაბალია ევროკავშირის გამოცდილებასთან შედარებით. მთავრობამ ძალისხმევა გასწია ზრდასრულთა განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად და ზრდასრული მოსახლეობის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ გამოწვევები რჩება როგორც სწავლის ცუდი შედეგების, ასევე ზრდასრულთა განათლების და პროფესიული მომზადების შეზღუდული შესაძლებლობების თვალსაზრისით.

7.1. პოლიტიკის რეკომენდაციები

ქვემოთ მოყვანილი პოლიტიკის რეკომენდაციები გამოვლენილი ძირითადი საკითხებიდან გამომდინარეობს, ანგარიშის ზემოთ მოყვანილი ტექსტის სათაურების მიხედვით. ისინი თითოეული სათაურის ქვეშ შესრულებულ ანალიზებს და წარმოქმნილ გამოწვევებს ეყრდნობა. მათი შემოთავაზება მიზნად ისახავს, რომ უზრუნველყოფილი იქნას რეალისტური და პრაქტიკული სახელმძღვანელო მითითებები იმ ზომების შესახებ, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოში ზრდასრულთა განათლების ეფექტურობის და შესაძლებლობების ასამაღლებლად.

7.1.1. ზრდასრულთა განათლების პოლიტიკა და ინსტიტუციური ჩარჩო

მიუხედავად იმისა, რომ ფართო სპექტრის საკანონმდებლო აქტები, სტრატეგიები, პოლიტიკის ფარგლებში მიღებული ზომები, მმართველობითი სისტემები და დაწესებულებები არის შექმნილი ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფისთვის, კიდევ რამდენიმე ღონისძიება არსებობს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ზრდასრულთა განათლების სერვისების უკეთ მიწოდებისთვის მოსახლეობის შესაბამისი სეგმენტებისთვის, ზრდასრულთა განათლების სერვისებში მონაწილეობის და ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

7.1.1.a: პირველ რიგში, უნდა გაფართოვდეს ზრდასრულთა განათლების სფერო. ეს გულისხმობს ზრდასრულთა განათლების დამატებითი განზომილებების და ფორმების ჩართვას საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, განსაკუთრებით განათლების და გადამზადების სფეროში ევროკავშირის ორიენტირებით.

7.1.1.b: მეორე, საჭიროა პოლიტიკის სტრუქტურის შემუშავება და გაერთიანება ზრდასრულთა განათლების ყოვლისმომცველი ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც მკაფიო მიზნებს, სტანდარტებს და გაიდლაინებს განსაზღვრავს.

7.1.1.c: მესამე, მართვის სისტემები უნდა გაძლიერდეს ყველა სამთავრობო უწყებას, დამსაქმებელს, დასაქმებულთა წარმომადგენლებსა და ზრდასრულთა განათლების პროვაიდერებს შორის, კოორდინაციის უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის გზით. ზრდასრულთა განათლების მართვის ასეთი კოორდინაცია უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა სექტორსა და რეგიონში.

7.1.1.d: მეოთხე, საჭიროა შემუშავდეს ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ეფექტური სისტემა. ამის მისაღწევად, მონაცემთა შეგროვება უნდა გაუმჯობესდეს და რეგულარულად უნდა ჩატარდეს ზრდასრულთა განათლების მონაწილეობის, შედეგებისა და საჭიროებების ზემოქმედების ანალიზი.

7.1.2. ზრდასრულთა განათლების პროვაიდერები

გარდა ზრდასრულთა განათლების სფეროსა და სხვადასხვა სექტორში პროვაიდერების რაოდენობის არსებითი გაფართოებისა, მთავრობამ უფრო დიდი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს ზრდასრულთა განათლების პროვაიდერების უფრო მრავალფეროვან სპექტრს.

7.1.2.a: პირველ რიგში, ზრდასრულთა განათლების პროვაიდერი ორგანიზაციები კიდევ უფრო მრავალფეროვანი უნდა გახდეს და მოიცვას სკოლები, ბიბლიოთეკები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. ზრდასრულთა განათლების არსებული ცენტრები დაუცველ თემებში საჭიროებს მხარდაჭერას გეოგრაფიული განსხვავებების შესამცირებლად და მათი შეთავაზების დივერსიფიკაციისთვის. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ზრდასრულთა განათლება ხელმისაწვდომი იყოს ციფრულ პლატფორმებზე.

7.1.2.b: მეორე, ზრდასრულთა განათლების პროგრამების უფრო მრავალფეროვანი დიაპაზონი უნდა შემუშავდეს და მოხდეს მისი ხელშეწყობა, რათა სხვადასხვა დარგს მოემსახუროს და არა მხოლოდ IT სექტორს, თუმცა ის ასევე უნდა გაფართოვდეს ზრდასრულთა განათლების სერვისებზე მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ციფრულ ეკონომიკაში.

7.1.2.c: მესამე, უფრო მეტი უფლებამოსილება უნდა გადაეცეს მუნიციპალიტეტებს, რათა მათ საშუალება მიეცეთ მხარი დაუჭირონ ზრდასრულთა განათლების ინიციატივებს, მათ შორის GEAN ზრდასრულთა განათლების ცენტრებს. მუნიციპალიტეტებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ თავიანთი შენობების იჯარა დაფარონ, ან მუნიციპალური შენობები უსასყიდლოდ შესთავაზონ.

7.1.2.d: მეოთხე, არაფორმალური და ინფორმალური სწავლების (VNFIL) ვალიდაციის უფლების მინიჭების პროცესი უნდა გამარტივდეს ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. მაგალითად, პროფესიული განათლების პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ ავტომატური უფლება, რომ VNFIL შესთავაზონ იმ სფეროებში, სადაც ისინი გადამზადებას უზრუნველყოფენ.

7.1.2.e: მეხუთე, უნდა მოხდეს ცნობიერების ამაღლება წინარე განათლების აღიარების (RPL) უპირატესობების შესახებ და უფრო მეტი პროვაიდერის წახალისება, რათა ეს სერვისები შესთავაზონ.

7.1.2.f: და ბოლოს, ხარისხის სტანდარტები და პროცედურები უნდა გამარტივდეს, რათა ზრდასრულთა განათლებისთვის უფრო შესაფერისი და ნაკლებად ბიუროკრატიული გახდეს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა აცნობონ, რომ მათი არსებული პროგრამების აკრედიტაცია საკმარისია იმისთვის, რომ მათ მოკლევადიანი ტრენინგის ჩატარება შეძლონ და სერტიფიკატები გასცენ იმავე სფეროში. ასევე, უნდა მოხდეს მათი წახალისება, რათა ეს ფინანსური მხარდაჭერით გააკეთონ, საჭიროების შემთხვევაში.

7.1.3. საჭიროებები და მოლოდინები ზრდასრულთა განათლების მიმართ

ზრდასრულთა სწავლის საჭიროებები და მოლოდინები დიდი და მზარდია და მნიშვნელოვნად აღემატება არსებულ მიწოდებას. უფრო მეტიც, ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სერვისების მიწოდება არ არის დაბალანსებული სექტორის, კლიენტთა ჯგუფის და გეოგრაფიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ზომების მიღება, რათა უკეთ დაკმაყოფილდეს ზრდასრულთა განათლებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებები, ისევე როგორც დამსაქმებლების მოთხოვნილებები უფრო კვალიფიციური მუშაკების მიმართ.

7.1.3.a: უპირველეს ყოვლისა, უნდა განვითარდეს ისეთი მნიშვნელოვანი დამხმარე სერვისები, როგორიცაა ბავშვზე ზრუნვა, ტრანსპორტირება და მოქნილი სასწავლო განრიგი ზრდასრული მოსწავლეების დასაკმაყოფილებლად. ამჟამად, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს არ გააჩნია რესურსები მათ სერვისებზე გაზრდილ მოთხოვნილებასთან გასამკლავებლად.

7.1.3.b: მეორე, საჭიროა პერსონალიზებული სასწავლო გეგმების შემუშავება პროფესიული ორიენტაციის პარალელურად, რათა ზრდასრულ მოსწავლეებს თავიანთი საგანმანათლებლო საჭიროებების და კარიერული გზების ნავიგაციაში დაეხმარონ. პროფესიული ორიენტაციის სერვისები ყველა ზრდასრული ადამიანისთვის უნდა შემუშავდეს, არა მხოლოდ სამუშაოს მაძიებლებისა თუ სტუდენტებისთვის, რათა გაიზარდოს ინფორმირებულობა და ცნობადობა ზრდასრულთა განათლების ხელმისაწვდომ შესაძლებლობებზე, ასევე წახალისებული უნდა იქნას სწავლის შესაძლებლობების გამოყენება. სამუშაოს მაძიებლებისთვის ეფექტური სერვისების უზრუნველსაყოფად, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ მეტი პროფესიული ორიენტაციის კონსულტანტი უნდა დაიქირაოს.

7.1.3.c: მესამე, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს პროგრამები უკეთ უნდა იყოს მორგებული სოფლის მოსახლეობის საჭიროებებზე და უკეთ კოორდინირებული იქნას პროფესიულ კოლეჯებთან, რათა შეთავაზებული გადამზადება გაუმჯობესდეს და უფრო აქტუალური გახდეს სამუშაოს მაძიებლებისთვის.

7.1.3.d: მეოთხე, უნდა შემუშავდეს სტრატეგიები ზრდასრულ მოსწავლეებში მოტივაციის გასაძლიერებლად, როგორიცაა განათლების პირადი და პროფესიული სარგებლის ხაზგასმა. უნდა განხორციელდეს ჩართულობის ეფექტური სტრატეგიები მოსწავლეთა ინტერესის შესანარჩუნებლად, როგორიცაა ინტერაქტიული და პრაქტიკული სწავლის მიდგომები. საჭიროა ზრდასრულთა საგანმანათლებლო კურსების შეთავაზება მრავალ ენაზე, რათა მომსახურება ასევე გაეწიოს იმ ადამიანებს, ვისთვისაც სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის და ვინც ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენს.

7.1.3.e: და ბოლოს, რეგულარული შეფასებები უნდა განხორციელდეს ზრდასრული მოსწავლეების სპეციფიკური საჭიროებების გასაცნობიერებლად და პროგრამებიც შესაბამისად უნდა იყოს მორგებული, რათა სასწავლო პროგრამების შემუშავებისას ხარვეზები აღმოიფხვრას.

7.1.4. ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობა და მასზე წვდომა

ზრდასრულთა განათლების სერვისებზე დიდი პოტენციური მოთხოვნის მიუხედავად, მათი რაოდენობა მცირეა და არსებითი პრობლემები არსებობს მოწოდებულ სერვისებზე

წვდომასთან დაკავშირებით. ამ პრობლემის გადასაჭრელად რამდენიმე ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს.

7.1.4.a: უპირველეს ყოვლისა, დაფინანსების ფოკუსში უკეთ უნდა იყოს ასახული მოსწავლეთა საჭიროებები და მათი სწავლის შედეგები. დაფინანსების მექანიზმებმა სტიმული უნდა მისცენ მსმენელებს, რომ ზრდასრულთა განათლება მიიღონ, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას საერთაშორისო გამოცდილება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სასწავლო ანგარიშები, უფასო კრედიტები და დამსაქმებლისთვის დაწესებული საგადასახადო შეღავათები ან ქეშბექები იმ პირობით, რომ ადეკვატური მართვის შესაძლებლობები იარსებებს.

7.1.4.b: მეორეც, ზრდასრულთა განათლებაზე წვდომა უნდა გაფართოვდეს, რისთვისაც საჭიროა ორგანიზაციების წახალისება მოკლე ციკლის სასწავლო კურსების ჩასატარებლად. ზრდასრულებს სტიმული სჭირდებათ, რათა გადამზადება გაიარონ; მაგალითად, ტრენინგის ხელმისაწვდომობა ახლომდებარე გარემოში. ამის მიზანი უნდა იყოს ტრენინგის შეთავაზება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პოტენციური ბენეფიციარებისთვის გონივრულ სამგზავრო მანძილზე. ამიტომ, ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და დაფინანსებისას გეოგრაფიული განზომილების გათვალისწინება არის საჭირო.

7.1.4.c: მესამე, ზრდასრულთა განათლების პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა და მათი ხილვადობა უნდა გაიზარდოს მიზანმიმართული საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგული კამპანიების მეშვეობით, რისთვისაც საჭიროა ტრენინგის შეთავაზების კარგად ორგანიზებული კომუნიკაცია (მაგ. მისაწვდომი სასწავლო კატალოგის მეშვეობით, რომელიც სხვადასხვა პროვაიდერის პროგრამებს მოიცავს).

7.1.4.d: საბოლოოდ, უნდა შემუშავდეს პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ზრდასრულთა განათლებაზე თანაბარ წვდომას სხვადასხვა რეგიონებსა და მოსახლეობაში, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით.

7.1.5. ჩარიცხვის შესაძლებლობები და გაფართოების პოტენციალი – ადამიანური რესურსები

ზრდასრულთა განათლების განსავითარებლად, საჭიროა პედაგოგიური პერსონალის შესაძლებლობების ამაღლება, ვისაც საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების მიწოდება შეუძლია ზრდასრული მსმენელებისთვის. ამას კი ქვემოთ ჩამოთვლილი ზომების მიღება დასჭირდება:

7.1.5.a: პირველ რიგში, პროფესიულმა კოლეჯებმა უნდა განიხილონ ზრდასრულთა განათლების პროგრამებში მუდმივად ჩართული თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა და მოკლე ვადით დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის შემცირება. ეს ხელს შეუწყობს განწყობის ამაღლებას და უფრო მეტ პასუხისმგებლობას პროგრამის შემუშავებისა და მონიტორინგის მიმართ.

7.1.5.b: მეორეც, აუცილებელია სპეციალური საკვალიფიკაციო და გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება ზრდასრულთა განათლების პედაგოგებისთვის. უნდა შეიქმნას ზრდასრულთა განათლების პედაგოგის კვალიფიკაცია. სხვა მასწავლებლების პროფილების მსგავსად, ზრდასრულთა განათლების პედაგოგის პროფესიული სტანდარტი უნდა შემუშავდეს. ზრდასრულთა პედაგოგის განათლების სტანდარტები შეიძლება შეტანილი იქნას მასწავლებელთა განათლების არსებულ კრიტერიუმებში.

7.1.5.c: მესამე, ტრენერების უწყვეტი ტრენინგი და პროფესიული განვითარება აუცილებელია ტრენინგის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

7.1.5.d: და ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები უკეთესად უნდა გადამზადდნენ და მათი კომპეტენციებიც უნდა გაუმჯობესდეს.

7.1.6. ჩარიცხვის შესაძლებლობები და გაფართოების პოტენციალი - ფინანსური რესურსები

ზრდასრულთა განათლების დაფინანსების პოლიტიკა გაუმჯობესებას საჭიროებს და მისი მასშტაბებიც უნდა გაფართოვდეს. ამ მიზნის მიღწევის გზად შემდეგი ღონისძიებები შეიძლება ჩაითვალოს:

7.1.6.a: უპირველეს ყოვლისა, დაფინანსების მოდელი უნდა გაფართოვდეს და სწავლების ანგარიშების უნივერსალური სისტემა დაემატოს ყველა ზრდასრული ადამიანისთვის (თან ახლდეს ვაუჩერების მოქმედი სისტემა), ისევე როგორც ყველა ზრდასრულის უნარების ყოველწლიური შეფასების გარანტირებული უფლება და დაცული სამუშაო დრო თანამშრომლებისთვის, ტრენინგის ან გადამზადების უზრუნველსაყოფად (შესაძლოა თავდაპირველად უფრო დიდ კომპანიებში).

7.1.6.b: მეორე, დამატებითი დაფინანსების წყაროები უნდა იქნას უზრუნველყოფილი ზრდასრულთა განათლების პროგრამების მასშტაბის და მისაწვდომობის გასაფართოებლად. ამის მიღწევა შესაძლებელია ნაწილობრივ თანადაფინანსების მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც დამსაქმებლებს წაახალისებს, რომ მონაწილეობა მიიღონ ზრდასრულთა განათლებისა და ტრენინგის დაფინანსებაში (მაგ. საგადასახადო შეღავათებით). პროვაიდერები, რომლებიც სპეციალიზებულ კურსებს და პროგრამებს სთავაზობენ კომერციულ ბაზაზე, უნდა წახალისდნენ საგადასახადო შეღავათებით და სხვა დამხმარე ღონისძიებებით, როგორიცაა უფასო ან სუბსიდირებული ბიზნეს საკონსულტაციო სერვისები დამწყებებისთვის, ზრდასრულთა განათლებისა და გადამზადების სფეროში (პროვაიდერების რაოდენობის გაფართოების მიზნით).

7.1.7.c: მესამე, საჭიროა საკანონმდებლო ბაზის განახლება, რათა დაუბეგრავად ანაზღაურდეს ის დღეები, რასაც თანამშრომელი გადამზადებას დაუთმობს სამსახურის გარეთ, რათა მსმენელებს თავიანთი უნარების განვითარებისთვის ალტერნატიული ხარჯები შეუმცირდეს.

7.1.7.d: მეოთხე, მუნიციპალური ბიუჯეტები უნდა გაიზარდოს და სამართლიანად იქნას გამოყოფილი ზრდასრულთა განათლების ინიციატივების მხარდასაჭერად ყველა რეგიონში.

7.1.7.e: და ბოლოს, უნდა შემუშავდეს დაფინანსების მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს უკვე შეძენილი უნარების დადასტურებას და აღიარებას ინფორმალურ და არაფორმალურ კონტექსტში (VNFIL და RPL), მათ შორის ინფორმალური დასაქმების ან საზღვარგარეთ მუშაობის გზით.

8. გამოყენებული ლიტერატურა

Chitashvili, M. (2020). Higher education and state building in Georgia. In: S. F. Jones & N. Macfarlane (Eds.), *Georgia* (pp. 89-116). University of Toronto Press.

Diakonidze, A. (2023). Internalising precariousness: experiences of Georgian platform workers. *Transfer: European Review of Labour and Research*, 29(4), 439-455.

ETF (2024). *Torino Process System Monitoring Report: Georgia (2023).* Turin: European Training Foundation.

ETF (2020). *Digital Skills and Online Learning in Georgia: Digital Factsheet December 2019*. Turin: European Training Foundation.

ETF (2023). *Education, Skills And Employment: Trends And Developments*. Torino: European Training Foundation.

European Commission (2022). *Communication from the Commission to the European Parliament, the European Council and the Council Commission Opinion on Georgia's Application for Membership of the European Union* [COM(2022) 405 final]. Brussels: European Commission.

European Commission (2023a). *Memo: Key Findings of the 2023 Report on Georgia*. Brussels: European Commission.

European Commission (2023b). *Analytical Report following the Communication from the Commission to the European Parliament, the European Council and the Council Commission Opinion on Georgia's Application for Membership of the European Union* [Commission Staff Working Document, SWD(2023) 31 final]. Brussels: European Commission

Gilauri, N. (2017). *Practical Economics : Economic Transformation and Government Reform in Georgia 2004–2012* (1 ed.). Springer Open. https://doi.org/10.1007/978-3-319-45769-7

Jarvis, P. (2010). *Adult Education and Lifelong Learning: Theory and Practice*. (4th Edition), London: Routledge

Kitiashvili, A., & Tasker, P. B. (2016). The relationship between attitudes, motives and participation of adults in continuing education: The case of Georgia. *International Journal of Research and Reviews in Education*, *3*, 13-21.

MESCS (2020) *Socio-Economic Status of VET Students*. Tbilisi: Ministry of Education, Science, Culture and Sport.

Pfanzelt, A., Pfanzelt, H., & Vashakmadze, S. (2021). *Study on Adult Learning and Education in Georgia*. DVV International.

Posadas, P, M. Makovec, R.F. Jaef, C. Gruen, and M.I. Ajwad (2018). *Georgia at Work: Assessing the Jobs Landscape*. Washington, DC: The World Bank

PMCG (2023). Georgia Digital Ecosystem Country Assessment (DECA). Accessed through https://pmcg-i.com/publication/georgia-digital-ecosystem-country-assessment-deca/

Siprashvili, T. (2023). *Efficiency and Effectiveness of VET System in Georgia*. Torino: European Training Foundation

World Bank (2022a). *Georgia Human Capital Review*. Washington DC: The World Bank

World Bank (2022b). *Georgia Country Economic Memorandum: Charting Georgia's Future. Synthesis Report*. Washington, DC.: The World Bank.

Ziderman, A. (2017). Financing universities through vouchers: Lessons from the Republic of Georgia. *Higher Education Policy*, *30*(2), 161-184. https://doi.org/https://doi.org/10.1057/s41307-016-0008-6

9. დანართი

მონახულებული ინსტიტუციები	რესპონდენტების ტიპი
განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი)	პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი
უნარების სააგენტო	საჯარო ადმინისტრაცია
ეკონომიკის სამინისტრო: აწარმოე საქართველოში	პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი – კომპანიის სექტორი
საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	საჯარო ადმინისტრაცია
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საჯარო ადმინისტრაცია
დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო	საჯარო ადმინისტრაცია PES
დასაქმების რეგიონული ოფისი სსიპ ქუთაისი	საჯარო ადმინისტრაცია PES
თბილისის მერია	ადგილობრივი თვითმმართველობა
ქუთაისის მუნიციპალიტეტი	ადგილობრივი თვითმმართველობა
DVV საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი	არასამთავრობო ორგანიზაცია – დონორი
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია	არასამთავრობო ორგანიზაცია – ბიზნეს ასოციაცია
პროფესიული განათლების კოლეჯი „კონტრუქტ2“ და ზრდასრულთა ტრენინგ ცენტრი ზესტაფონი - ბიქეი ქონსტრაქშენი	პროვაიდერი – საჯარო-კერძო კოლეჯი
პროფესიული განათლების კოლეჯი „იბერია“, ქუთაისი	პროვაიდერი – საზოგადოებრივი კოლეჯი
პროფესიული ტურიზმის კოლეჯი „იკაროსი“, თბილისი	პროვაიდერი – საზოგადოებრივი კოლეჯი

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ენის სწავლება უმცირესობებისთვის)	პროვაიდერი – საზოგადოებრივი კოლეჯი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ცენტრი (მოკლე კურსები)	პროვაიდერი – უნივერსიტეტის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ცენტრი
აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი	პროვაიდერი – უნივერსიტეტის მასწავლებელთა გადამზადება
ხონის ზრდასრულთა განათლების ცენტრი (საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დაქვემდებარებაში) (მოკლე კურსები)	პროვაიდერი – საზოგადოებრივი კოლეჯი
შპს „საუნდ დიზაინი“ (მოკლე კურსები)	პროვაიდერი – კომპანია
სქილვილი	პროვაიდერი – კომპანია